



# მარკული

## სამეცნიერო

სამეცნიერო-საინფორმაციო ჟურნალი №12 (32), დეკემბერი, 2013

სასურსათო უსაფრთხოების  
დაცვა გთავავობის  
უპირველესი მოვალეობაა



მოვალეობის (ქინძი, კამა, ცერეცო,  
ოხრახუში) მავნე ორგანიზმები და  
ეთ წინააღმდეგ პიოლოგიური  
საშუალებებით პრძოლა

ISSN 1997-8729





MASSEY FERGUSON



**VALTRA**



*Challenger*



 **AGCO**  
Your Agriculture Company

**WORLD**  **TECHNIC**  
სამსახური ტექნიკა

ტელ./ფაქსი: (+995 32) 2 35 10 05; ტელ.: 2 34 76 33; 2 34 45 37  
[www.worldtechnic.ge](http://www.worldtechnic.ge) E-mail: [info@worldtechnic.ge](mailto:info@worldtechnic.ge)



**ახალი აგრარული  
საქართველო**  
AKHALI AGRARULI SAQARTVELO  
(New Agrarian Georgia)  
ყოველთვიური სამეცნიერო-  
საინიციატივო ჟურნალი.  
Monthly scientific-informative magazine  
დეკემბერი, 2013 წელი.  
№12 (32)

**სარედაქციო კოლეგია:**  
შოთა მაჭარაშვილი (მთ. რედაქტორი),  
ნუგარ ებანიძე, მახეილ სოხაძე,  
თამარ სანიიძე, ნოდარ ბრევაძე,  
გიორგი ბარისაშვილი (მეცნიერება-  
მკლიერის რედაქტორი რედაქტორი),  
თამარ გუგუშვილი (მდგლ. კურს. რედაქტორი).

**სამცნიერო საბჭო:**  
აკადემიურები, მეცნიერებათა  
დოქტორები, პროფესორები:  
რევსტ მახარობლიძე (თავმჯდომარე),  
ნოდარ ჩხატიშვილი, გურამ ალექსიძე,  
ნუგარ ებანიძე, პატრი კოლეგიშვილი,  
ელგუჯა საფაქტო, პატრი ნასყიდშვილი,  
ზუალ ბრევაძე, გეოგრაფ გუგუშვილი, ზურ  
ჯავახიძე, ზურაბ ჯინჯახაძე, ქრისტო  
კანიაშვილი, ალონ ტემშვილი, ნატო  
კაგაბაძე, გუგური ქერია, კასა ლაშხი, ომარ  
თევდორაძე, ნუგარ სარკველი, დავით ბე-  
დია, ორგები ტერია, ზურაბ ლოლაძე,  
კობა კობალაძე, ნუკრი მემარინიშვილი.

**გამომცემელი:**  
„აგრარული სექტორის  
კომპანიების ასოციაცია“ (ასკა);  
Agraruli Sectoris

Companiebis asociacia (ASCA);  
(Association of Agrarian Sector Companies).  
საქართველოს რეგიონული კუნძულები;  
კრიონიტებების კვლევითი ცნობრი „რეგიონიტ“;  
Regionica – Georgian Research Center for  
Regional Economic Priorities.

**რედაქციის მისამართი:**  
თბილისი (0119), აგლაძის ქ. № 32  
ტელ/ტელ: +995 (032) 2 34-76-33  
599 16 -18-31

Tbilisi (0119), Agladze str. № 32  
**E-mail:** agroasca@gmail.com  
**www.regionica.org/journal.**

**editor of English version Tamta Gugushvili**

დააკაბდონა გიორგი მასურაძე  
უკრნალი ხელმძღვანელობს  
თავისუფალი პრესის პრინციპით.  
The journal acts in accordance with  
the principles of free press.  
© სავტორო უფლება დაცულია.  
All rights reserved.  
რეფერირებადა 2011 წლიდან  
დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“

**WORLD TECHNIC**  
მსოფლიო ტექნიკა

თბილისი  
ტელ/ფაქს: (+995 32) 2 35 10 05.  
ტელ: (+995 32) 2 34 76 33

4



**სსურსათო უსაფრთხოების დაცვა  
მთავრობის უაირველესი მოსალებებისა**

ზოგადად, თანამედროვე მსოფლი-  
ოში სოფლის მეურნეობისა და სასურ-  
სათო უსაფრთხოებისადმი დიდი ყუ-  
რადლება რამდენიმე მოსაზრებითაა  
განპირობებული.



9

**აზარის აგრარული სექტორის  
დღევანდებრება და განვითარების  
არსავებივები**

90-იანი წლების შემდგომი პირველი  
დარტყმა აგრარული რეფორმის პირო-  
ბებში სწორედ მეჩაიერბამ განიცადა.

32

**რა უირატესობა მიმისუხუ  
სსოფლო-საგარეო კორპუსთივს**

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატი-  
ვები სარგებლობენ იმ საგადასახადო  
შედაგათებითაც, რომლებიც სოფ-  
ლის მეურნეობასთან მიმართებაში  
მოქმედებს.

## „ურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ გთავაზობი!

„ურნალი ართი პარალელური სანიმუშორი სარეალიანო ფართის  
ღირებულება შეადგენს: ყდის მორი გვირჩევი – 60 თეთრს (მთლიანი  
გვირჩევი – 350 ლარი), პოლისინგ გვირჩევი – 50 თეთრს (მთლიანი  
გვირჩევი – 300 ლარი), პოლი გვირჩევი – 15 კანა გდაზე – 60 თეთრს  
(მთლიანი გვირჩევი – 350 ლარი). შიდა გვირჩევი – 35 თეთრს (მთლიანი  
გვირჩევი – 200 ლარი).

„ურნალი „ახალი აგრარული საქართველო“ რეზენტირებადა 2009  
ლეიიდან. სამოციერო სფეროს მოცულობა რიზიუმის თანხლებით არ  
უდება პლატფორმის 1,5 ინტერვალით, 12-იანი შრიუმშით ნაბეჭდ 5  
თაბაზის გვირჩევს.

„ურნალის გამოცერა შეგიძლიათ არასისგან გამოცერა საგანმანათლებლის:  
„ელვაპი“ (ტელ.: (032) 2-38-26-73; (032) 2-38-26-74); „საბარესა+“ (577 97 90 10);  
„საბარესოლოს ფოსტა“ (577 117 272).

1 ლეიით ურნალის გამოცერა დაგიჯდებათ 24 ლარი, 6 თეთრი –  
12 ლარი.

8 ისრაელი – საქართველო:  
გამოცერა გრძელდება

13 გთხოვთ, გამოცერა დოკ  
ჩვეთის უსახელოებად

14 სარეალი სადრენაჟი არხების  
რეაგირებისას

15 სასაჩვალო და უთაგაფილავი  
ვიზიტი ინტენსივი

17 აგრარის გაციენის ფორუმი  
ევროპის დოკინის დაცვითის  
ერთულ გათომს იცის სამართლის

18 ეულის უსახელოები გამოცერა განვითარების  
მარკის სამართლის მინისტრი

19 რარეა - გაცოცხლებული  
ცარსული

20 გაყვლის რარმოვასის  
თანახმადოვნების ტექნიკოგიანი

25 მოცერა გამოცერა განვითარების  
დარტყმის აგრარული რეფორმის პირო-  
ბებში სწორედ მეჩაიერბამ განიცადა

26 გიორგი გაცოცხლებული  
ასოციაცია

28 ალუალის გასევლა

30 გიორგი გაცოცხლებული  
ასოციაცია

34 უსახელოების გადასახი

654 რეზენტირება გამოცერა განვითარების  
და კელავერმოვასის  
რეგიონები არომატის მინისტრი

30 კიბის უსახელოების  
დაცვითი მოცერა განვითარების  
მინისტრი

34 უსახელოების გადასახი

646 რეზენტირება გამოცერა განვითარების  
და კელავერმოვასის  
რეგიონები არომატის მინისტრი

30 კიბის უსახელოების  
დაცვითი მოცერა განვითარების  
მინისტრი

34 უსახელოების გადასახი

646 რეზენტირება გამოცერა განვითარების  
და კელავერმოვასის  
რეგიონები არომატის მინისტრი

Organización de las  
Naciones Unidas para la  
Agricultura y la  
Alimentación



# სასურსათო უსაფრთხოების დაცვა მთავრობის ეკირვებასი მოვალეობა

„სიღარიშე სასურსათო უსაფრთხოების განვითარების ძირითადი მიზანი“  
FAO-ს რომის დეკლარაციიდან, 1996 წლი.

სასურსათო უსაფრთხოება (უსაფრთხოება) განვითარება უზრდაშემცურ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და უოლოგიურ პროცესთა აათავონის. სურსათს, როგორც სასიცოცხლო უზრუნველყოფის მთავარ პოპულარობის, სტრატეგიული მნიშვნელობა აძვს.

საქართველოში უხლოებეს მომავალში გადასაჭრელი პრობლემებიდან უპირველესს სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფა წარმოადგენს. მისი გადაწყვეტა უმნიშვნელოვანესი სოციალურ-ეკონომიკური ამოცანაა. მასში მოასიზრება ქვეყნის უნარი (სამუალება) უზრუნველყოს საკუთარი მოსახლეობა კვების ძრითად პროდუქტებით, ადგილობრივი რესურსების წარმოების წარჯეო. დღისთვის ამ პრობლემისადმი ქვეყანაში დამკვიდრებული დამოკიდებულება და მისი რაოდენობრივ-ხარისხობრივი მახასიათებლების არსებული პარამეტრები, არა მარტო საფრთხეს უქმნის ფიზიოლოგური ნორმებით საქართველოს მოსახლეობის გამოკვებას, არამედ პრაქტიკულად გამორიცხავს ქვეყნის შემდგომ ინტეგრირებას მსოფლიო ეკონომიკური და მთლიანობაში საფრთხოს ქვეშ აყენებს ქართული სახელმწიფო ბრიობის განვითარების პრესკეტივებს.

ჩვენი ქვეყნისთვის ამ პრობლემის აქტუალობას აძლიერებს საერთაშორისო სასურსათო ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები, სურსათზე ფასების ზრდის დინამიკა, ეროვნული სასურსათო ბაზრის დღევანდელი მდგრადირობა და ექსპორტ-იმპორტის ბალანსის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რომელიც არსებითად დიდი იდენტურობის სურსათის იმპორტითა განვითარებებული (ცნობისათვის, 2012 წელს საქართველოში იმპორტირებულ იქნა 1,1 მლრდ. აშშ დო-

ლარის სასურსათო პროდუქცია, ხოლო ექსპორტმა მხოლოდ 443 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. საყურადღებოა ის, რომ იგივე მაჩვენებლები 2003 წელს 171 და 163 მლნ. აშშ დოლარი იყო).

მართალია, ეროვნული სასურსათო უშიშროება დაფუძნებულია საკუთარი წარმოების კვების ძირითად პროდუქტებით მოსახლეობის დაემაყოფილებაზე, მაგრამ ეს არ იმპაქტს სურსათის იმპორტზე სერთოდ უარის თქმას, რომლის გადიდება, როგორც წესი, ინგვეს ადგილობრივი წარმოების გარჩნაგებას და სურსათის თვითუზრუნველყოფის დონის შემცირებას. ამიტომა, რომ თაბამედროვე მსოფლიოში ქვეყნები, ხელმძღვანელობდენ რა კონკურრენტული უპირატესობის კანონის მოთხოვნებით, დასაშვებად მიიჩნევენ სამამულო ბაზარზე სურსათის იმპორტს 15-20%-ის ფარგლებში. ამ პირობებში არც ეკონომიკური სარგებლის მიღების შანსი იყარება და არც კონკურრენცია სუსტდება სამამულო საქონელმარმოებელთა შორის. ამასთან, საფრთხე არ ემუქრება არც ეკონომიკურ და არც სასურსათო დამოკიდებლობას.

დღეს უკვე აღარ კამათობს იმ ბანალურ ჭეშმარიტებაზე, რომ მიწის რესურსების მეტ-ზაკლებად მქონე ნებისმიერი ქვეყნისთვის სასურსათო უშიშროების მიღწევა აგრძოსასურსათო სექტორის განვითარებაზეა დამოკიდებული. ამ მიზნით განსაკუთრებული მნიშვნელობა ისეთი სამეურნეო და ეკონომი-

კური მექანიზმის შემუშავებას ენიჭება, რომელიც სრულად ითვალისწინებს ამ სექტორის განვითარების როგორც შიდა, ასევე გარე ფაქტორებსაც. თუ ამ მოთხოვნების დონეზე გავაანალიზებთ საქართველოს აგროსასურსათო სექტორის განვითარების ძირითად მახასიათებლებს, დავინახავთ, რომ ეკონომიკის ეს უმნიშვნელოვანესი სექტორი ჯერ კიდევ რეფორმირების პროცესშია და ამდენად აქ მოქმედ ერთიან, დასრულებული სახის სამეურნეო თუ ეკონომიკური ხასიათის მექანიზმზე ლაპარაკი არ შეიძლება. პირიქით, შეინიშნება ღრმა დისპროპორციები სექტორის ცალკეული დარგების განვითარებამი, ამასთან ერთად, სახეზეა სუსტი კავშირები და ჩინააღმდეგობები, რაც ინგვეს მთლიანად აგროსასურსათო სექტორის განვითარების სანარმოო-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუარესებას, მისი პროდუქტურული უშიშროების პრობლემის კიდევ უფრო გამწვავებას. ამაზე მეტყველებს დარგთაშორისი კავშირების რღვევა, არასწორი ფასების პარიტეტი სასოფლო და სამრეწველო წარმოშობის პროდუქციაზე, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაცემის დიდი მასშტაბები და სხვ., რაც სულ უფრო ზრდის საზღვარგარეთის ქვეყნებზე საქართველოს სასურსათო დამოკიდებულების ხარისხს, ადიდებს საგადასამხდელო ბალანსის დეფიციტს და ინგვეს მასთან დაკავშირებულ ნეგატიურ პროცესებს. სურსათის იმპორტზე ორიენტირება უარყოფითად აისახება ეროვნული სასურსათო პროდუქციის წარმოებაზე, რაც, საბოლოო ანგარიშით, მკვეთრად აქვეითებს ქვეყნის ეკონო-

მიკური უშიშროების დღნეს, ამცირებს  
სავალუტო რეზივენტის მოცულობას  
და ქმნის ეროვნული ვალუტის ინფლა-  
ციის საშიშროებას.

ୟୁଦ୍ଧାବ୍ଳ ଫ୍ରାଙ୍କ୍ରିତୀରେ, ରନ୍ଧ ହିଙ୍ଗେଣ୍ସ ଜ୍ଵେପାନାଶି  
ଶେଖମ୍ବନିଲ୍ଲୋ ମଦିମ୍ବ କ୍ଷେତ୍ରନାମିପୁରୀ ସିଫ୍ଟ୍ଯାଚିର  
ଏବଂ ମିଶଙ୍ଗା ଗାମରମଦିନାର୍ଗ ସାନ୍ତ୍ରିଲ୍ଲୁରୀ  
ଫ୍ରାନ୍କ୍ରିତୀରେ, କିରିତାଦାଦ, କ୍ଷେତ୍ରନାମିପୁରୀ ପରି-  
ଚ୍ଛେବଦ୍ଧି ସାନ୍ତ୍ରିଲ୍ଲୋଫଳ ମନନାନ୍ତିଲ୍ଲୋବିଲ୍  
ପାସିଉରି ରନ୍ଧିତାଦ ଗାନ୍ଧିରନ୍ଧବ୍ୟୁଦ୍ଧି.  
ମେଲ୍ଲିଲୋ ଗାମରମିପୁରୀର ଅଧିକ୍ଷେତ୍ରରେ,  
ରନ୍ଧ ଆରା ଗ୍ରାମ କ୍ଷେପାନାଶ ଏବଂ ମେଲ୍ଲିଲୋ  
ମେତ୍ର-ନାକ୍ଷେବାଦ ନରମାଲ୍ଲୁରି ଗାନ୍ଧିତା-  
ର୍ଯ୍ୟା କ୍ଷେତ୍ରନାମିପୁରୀର ଲୋହିରୀ ସାନ୍ତ୍ରିଲ୍ଲି  
ମେଲ୍ଲିରେବିଲ୍ ଗାର୍ଜେଥେ, ମିଠ ଉତ୍ତରର ସା-  
କାରିତାବ୍ୟେଳନ୍ସ, ସାଦାକ୍ଷି ସାମାନ୍ୟାନ୍ତ ସାନ୍ତ୍ରି-  
ଲ୍ଲିଲ୍ ମେଲ୍ଲିରେବିଲ୍ ଗାନ୍ଧିତାର୍ଯ୍ୟା ମାଲାଲ୍ଲି  
ମେଲ୍ଲିତ୍ତିଲ୍ଲିର୍ଯ୍ୟାକ୍ଷେପିର୍ଯ୍ୟାର୍ଥି ଗ୍ରାମକ୍ଷତିତ ବିଲ୍ଲିବ୍ୟେ-  
ଦା ମତ୍ତେଲ୍ଲି କ୍ଷେତ୍ରନାମିକ୍ଷେପି ଗାନ୍ଧିତାର୍ଯ୍ୟାଥ୍ୟ.  
ଏକ୍ଷେ ବିଲ୍ଲିକ୍ଷେପି ଉନ୍ନଦା ବିଲ୍ଲିକ୍ଷେପାସ, ରନ୍ଧ ଆରା ଗ୍ରାମ  
ଗାନ୍ଧିତାର୍ଯ୍ୟାବ୍ୟୁଦ୍ଧ କ୍ଷେପାନାଶ ଏବଂ ମିଲ୍ଲିଲ୍ଲିକ୍ଷେପି  
ନରମାତ୍ରିବିଲ୍ ତାତ୍ତ୍ଵବ୍ୟେଳନ୍ସ ଅଗରାର୍ଯ୍ୟାଲ୍ଲି ଶ୍ରେଷ୍ଠିରିଲ୍  
ସାନ୍ତ୍ରିଲ୍ଲୋଫଳ ମଥାରତାକ୍ଷିରିଲ୍ ଗାର୍ଜେଥେ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ მი-  
მართულებით ევროკავშირის ქვეყნების  
გამოცდილება, სადაც უკვე დიდი ხანია  
რაც ფუნქციონირებს სოფლის მეურ-  
ნების პროდუქციისა და ნედლეულის  
სახელმწიფო შესყიდვების სისტემა, რე-  
გულირდება სურსათის ექსპორტი და  
იმპორტი, გამოყოფა საჭირო სუბსიდი-  
ები სტრუქტურული გარდაქმნებისთ-  
ვის, სანარმოო და არასანარმოო ინფრა-  
სტრუქტურის შექმნისათვის, აგრარული  
პროდუქციის სამრეწველო გადამუშავე-  
ბისა და რეალიზაციისთვის, დგინდება  
პროდუქციის ნარმობის კვოტები, გა-  
რანტირებული ფასები და ა.შ. რაც შეე-  
სება საქართველოს, აქ პრაქტიკულად  
არც ერთი ზემოაღნიშნული სტიმული  
არ მოქმედებს. მიგვაჩნია, რომ აგრო-  
სასურსათო სექტორის სახელმწიფო  
რეგულირებისა და მხარდაჭერის სა-  
კითხი ჩვენს ქვეყანაში განხილული უნ-  
და იქნეს მენარმობის განვითარებასა  
და მიკროდონებზე ნარმობის თვითორე-  
გულირებასთან მტკიდრო კავშირში. ყვე-  
ლა შემთხვევაში სახელმწიფო რეგული-  
რების ფორმისა და მეთოდის განსაზღ-  
ვრისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს  
იმ კონკრეტულ ეკონომიკურ თუ ორგა-  
ნიზაციულ ღონისძიებებს, რომლებიც  
მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ნარ-  
მობის ეფექტიანობისა და კონკურენ-  
ტუნარიიანობის ამაღლებას, საბოლოო  
ანგარიშით კი, ქვეყანაში სურსათით  
თვითუზრუნველყოფას<sup>1</sup> აღიარებული  
ნორმების ფარგლებში. ამას ადასტუ-  
რებებს საერთაშორისო ეკონომიკური და

ფინანსური ინსტიტუტების დასკვნები, მსოფლიო პრაქტიკა და გამოცდილება.

ზოგადად, თანამედროვე მსაფლიოში  
სოფლის მეურნეობისა და სასურსათო  
უსაფრთხოებისადმი დიდი ყურადღება  
რამდენიმე მოსაზრებითაა განპირობე-  
ბული:

● სურასათით თვითუზრუნველყოფა  
უსაბორტხოებისა და მდგრადობის გა-  
რანციაა. მსოფლიო მოსახლეობაში სა-  
შუალო ფერის მკვეთრი ზრდა იწვევს  
საკუვებზე მოთხოვნასა და, შესაბამისად,  
მასზე ფასების განუხელელი ზრდის ტენ-  
დენციას. ამიტომ სასურასათო უშიშრო-  
ება ყველა სახელმწიფოს სტრატეგიაში  
ერთ-ერთ წამყვან ადგილს იკავებს;

- მოსახლეობის ტრადიციული საქმი-ანობა სოფლად ქვეყნის რეკრეაციული სიმდიდრისა და სოციალური ფასეულობების შენარჩუნე-ბას ნიშნავს;

● სასოფლო-სამეურნეო  
წარმოება ეროვნული იდენტურობისა და კულტურული  
მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ელემენტია. კულტურულად, სოფელი და ლონიერი გლეხებიც ერთს თვითმყოფად დღისას ცინაბისა და რაობის შენარჩუნების ერთ-ერთ მძლავრი იარაღია;

საქართველომ, სხვა ცივი-  
ლიზებულ ერთა მსგავსად  
უნდა გამოკვეთოს პრიორი-  
ტეტები სოფლის მეურნეო-  
ბაში. ჩვენი აზრით, პრიორი-  
ტეტები ამ სფეროში შეიძლე-  
ბა იყოს ორი მიმართულების  
პირველი, სოფლის, როგორც  
ტერიტორიული და სოცია-  
ლური ერთეულის შენარჩუ-

ნება (ამ ამოცანაში შედის კულტურული და ველური ლანდშაფტების დაცვა(გ) და მეორე, სასურსათო უშიშროების უზრუნველყოფები სოფლის მეურნეობის სტრუქტურის ჩამოყალიბება.

მაღლკვალიფიციური, სოციალურად  
და გონიეროვად განვითარებული ადამი-

ანი. იგი ქვეყნისთვის არანაკლებ დღიდი განძია, ვიდრე ეკოლოგიურად სუფთა გარემო და მსოფლიოში რეალიზებადი პროდუქტია. ამიტომაც, **სასოფლო-სამეურნეო პლიტიკის ძირითადი იდეაა გლეხვაცის მოფრთხილება და საზოგადოების გამოსაკვებად მისი შრომის სტიმულირება** (მინსტან მარადიული ურთიერთობა), ქვეყნის სურსათით თვითოუზრუნველყოფა, სოფელსა და ქალაქებს შორის სოციალურ-კულტურული განსხვავებების შემცირება. ასევა ჯანსაღ ქვეყნებში – ნაკლებ განვითარებული-დან დაწყებული და ყველაზე განვითარებული დემოკრატიებით დამთავრებული. მათ კარგად იციან, რომ ნააგებს

For more information about the study, please contact Dr. Michael J. Kupferschmidt at (415) 502-2555 or via email at [kupferschmidt@ucsf.edu](mailto:kupferschmidt@ucsf.edu).



ყველა, ვისაც არასწორი სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკა აქვს.

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების გა-  
მოცდილება ადასტურებს, რომ შრომი-  
თი რესურსების სამწარმეო გააჭირ-

რება ყველაზე კარგად სოფლად კონპე-  
რაციული მოძრაობის განვითარებითა  
შესაძლებელი. საყურადღებოა, რომ სო-  
ციალურ ეკონომიკური განვითარების  
საფუძვლად კოოპერაციულ საწყისებზე  
დამყარებული სოლიდარობისა და ურ-  
თიერთდახმარების გზა აირჩიეს თავის  
დროზე ევროკავშირის ქვეყნებმა, აშშ-  
მა, ისრაელმა და განვითარებული ეკო-  
ნომიკის მქონე ბევრმა სხვამ (მათ შო-  
რის ბალტის ქვეყნებმაც). ეს პროცესი  
ყველგან სახელმწიფოს აქტური მარე-  
გულირებელი როლითა და ხელშეწყო-  
ბით წარიმართა.

საქართველოს უდავოდ შეუძლია კო-  
ნკრიტულ საწყისებზე მოახდინოს  
სოფლად მოსახლეობის სამენარმეო აქ-  
ტივობის მობილიზაცია და არა მარტო  
სოფლის მეურნეობის, არამედ მასთან  
ტექნიკურ-ტექნოლოგიურად დაკავში-  
რებული დარღვების სწრატი რეაბილი-

1. სასურათო „თვითუზრუნველყოფა“ გულისხმობს კეცების ძირითადი პროცესუატურის ქეყნის მოსახლეობის მოთხოვნილების მაქსიმულურ დაწესებულებებს, ადგილობრივი წარმოების ხარჯზე. ამ შემთხვევებში ზუსტად არ არის განსაზღვრული სამატულო წარმოების ის მინიმუმი, რომელიც საკარისისა სასურათო უზრუნველყობის შესანარჩუნებლად. სხვადასხვა მოსაზღვრისთვის, ეს მონაცემი 80-85 პროცენტის ფარგლებში ჩრდილია (60%), აღინიშნული მაჩვენებელი არის მართობითი რაოენტრი, თარებული თანამდებობის რეალობიდან გამომდინარე, მდგრამარეობას კველიზე უკეთ ასახავს დევიზი „დამოუკიდებელობა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს იმდენი სურათი, რამდენის სპასალებასაც მასი ბირეოპოტენციალი იქცევა“.



ტაციაც და შემდგომი განვითარება. სო-  
ციალურ სოლიდარობაზე დაფუძნებუ-  
ლი მეურნეობრიობის ახალი ფორმების  
დამკვიდრებას ავტომატურად მოსდევს  
სოფლის მოსახლეობის მასობრივი და-  
საქმება, მათი შემოსავლების მკვეთრი  
ზრდა, აგრძარული შრომის ავტორიტე-  
ტის ამაღლება და სოფლის კომპლექსუ-  
რი და დაჩქარებული განვითარება. ესაა  
ცნების – „ჯანსაღი საშუალო ფენა“ –  
რეალური შენარსი.

საქართველოს აქცის შესაბამისი პიონერული კოტენციალი და სხვა კომპონენტები (მ.შ. გეოპოლიტიკური), რომლებიც აუცილებელია მოსახლეობის სასურსათო უზრუნველყოფისთვის (პიონერ-სურსის გამოყენებით შეუძლია L10-12 მლნ. ადამიანის გამოკვება). ამასთან, ის გამოირჩევა იმითაც, რომ აյ ადამიანის კვებისთვის აუცილებელი თითქმის ყველა სახეობის პროდუქტის წარმოების შესაძლებლობა და საკმარისი რეზერვია. ეს ნიშანავს, რომ სწორი აგრარული პოლიტიკის გატარების შემთხვევაში საქართველოს შეუძლია საკუთარი მოსახლეობის გამოკვება სამამულო წარმოების პროდუქციით. ანუ შეგვიძლია თავი დავაღინიოთ ნებისმიერ სასურსათო კრიზისს, გამოკვებოთ საკუთარი თავი და გარკვეული რაოდენობის სოფლის მეურნეობის პროდუქცია ექსპორტზეც გავიტანოთ.

როგორც ცნობილია, ქვეყნის სასურ-  
სათო უსაფრთხოების დაცვა გულისხ-  
მობის სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის  
სტაბილურ უზრუნველყოფას საკმარი-  
სი რაოდენობის, სრულფასოვანი, უვ-  
ნებელი და ხელმისამართი სურსათით  
(ვინაიდან სურსათი მიეკუთვნინება ადა-

სურსათის მოხმარების ნორმები და  
აქტები გამომდინარე, წლიდან წლამდე  
უარესდებოდა მოსახლეობის ჯანმრთე-  
ლობის მდგრამარეობა.

სასურსათო უსაფრთხოების ქვეშ 4  
ძირითადი კომპონენტი უნდა მოვაზ-  
როთ:

1. მოსახლეობის უზრუნველყოფა საჭირო რაოდენობის სურსათით.

ეს მიიღონევა როგორც ადგილობრივი სასურსათო პროდუქციის წარმოებით (თვითუზრუნველყოფა), ასევე არასაკამარისი პროდუქციის იმპორტით. ამ პრობლემის გადაწყვეტაში ძირითადი როლი ენიჭება სოფლის მეურნეობის სამინისტროს. თუმცა მნიშვნელოვანია ეკონომიკის სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურების თანამონანილეობაც (ინვესტიციების მოზიდვა, მნარმოებელთა ხელშეწყობა იაფი კრედიტებით, ტექნიკით, სასუქებით, წარმოებული პროდუქციის ბაზრის მოძრავა, დაზღვევის ორგანიზაცია, ასევე იმპორტით დაინტერესებული ბიზნეს-მენების ხელშეწყობა და სხვ.).

2. მოსახლეობის უზრუნველყოფა  
სრულფასოვანი და დაბალანსებული  
სურსათით.

მოსახლეობისათვის შეთავაზებული  
სურსათი უნდა იყოს მრავალფეროვა-  
ნი და ხარისხოვანი, რაც უზრუნველ-  
ყოფს მომხმარებლის მიერ სასურსათო  
პროდუქტის მიღებას ფიზიოლოგიუ-  
რი ნორმების შესაბამისად. ეს ნიშნავს  
სსვადასხვა სურსათის იმ რაოდენიბით  
მოხმარებას, რაც უზრუნველყოფს ორ-  
განიზმის დაპალანსებულ მომარაგებას  
საჭირო ცილებით, ცხიმებით, ნახშირ-  
წყლებით, ვიტამინებითა და ორგანიზ-  
მისოვის საჭირო მიკროლემენტებით.

აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტა-  
ში სოფლის მეურნეობის სამინისტროს-  
თან ერთად პრიორიტეტული როლი  
ენიჭება ჯანმრთელობის სამინისტრო-  
საკ.

### 3. მოსახლეობის უზრუნველყოფა უკნებელი სურსათით.

შესაძლოა სურსათი რაოდენობრივად  
საკამარისი იყოს და დაცული იყოს მისი  
მოხმარების ბალანსი, მაგრამ შეიცავ-  
დეს ჯანმრთელობისათვის საშიშ ქიმიურ  
ნივთიერებებს და მიკრობიოლოგიურ  
დამტინძურებლებს (რადიონუკლიდები,  
მძიმე ლითონები, პესტიციდების, ნიტ-  
რატების ნარჩენები, სხვადასხვა ნეგა-  
ტიური მოქმედების მიკრობები, ბაქტე-  
რიები და სხვ.). ამ პრობლემის მონიტო-  
რინგი და სურსათის უვნებლობის დაცვა  
ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს  
პრეროგატივაა, რაც უნდა განხორცი-  
ელდეს „სურსათის უვნებლობის“ კანო-  
ნის შესაბამისად. კერძოდ, შესაბამისი  
სამსახურის მიერ უნდა ნარმოებდეს  
სისტემატური მონიტორინგი (ლაბორა-  
ტორული შემოწმება) სურსათის ნარ-  
მოების ადგილზე, ასევე ტექნოლოგიუ-  
რი გადამუშავების პროცესში და სავაჭ-  
რო ქსელში, რამაც უნდა უზრუნველყოს  
ა.წ. „მიკვლევადობის“ განხორცილება.

4. მოსახლეობის უზრუნველყოფა  
ხელმისაწვდომი სურსათით.

სურსათზე უნდა არსებობდეს როგორც ფიზიკური, ასევე მატერიალური სელმისაზღვდომობა. პირველში იგულისხმება ის, რომ საჭირო სურსათი ქვეყნის ნებისმიერი მხარისთვის უნდა იყოს სელმისაზღვდომი.<sup>2</sup>

ფიზიკური ხელმისაწვდომობის არ-  
სებობისას უკვე წინა პლანზე გამოიდის  
სურასათზე ფინანსური ხელმისაწვდო-  
მობა ანუ მომხმარებელს არა მარტო  
სურვილი, არამედ მისი შექნის საშუა-  
ლებაც უნდა გააჩნდეს. დღეისთვის ფაქ-  
ტია, რომ ქვეყნის მოსახლეობის 72%  
არასარულყოფილად იყვებება. ეს პრობ-  
ლემა ყველაზე აქტუალურია სასურსა-  
თო უსაფრთხოების დაცვის საქმეში და  
ობიექტურად მოითხოვს რადიკალური  
ზომების მიღებას ქვეყნის მოსახლეობის  
ფიზიკური გადარჩენისთვის.

განვიხილოთ სასურსათო უსაფრთხო-  
ების თითოეული კომპონენტი:

1. რა ძგომა რეინბაშია სასურათო  
პროდუქციის წარმოება საქართველოში  
და რამდენად ხორციელდება მოსახლე-

3. მაგალითად, ახალებალაქს უნდა მიყნოდოს აჭარისში მოწეული ციტრუსი და პირიქით ახალებალაქიდან აჭარას – კარტოფლით, ამის გამონარციულებას სახელმწიფო უნდა მიიღოს თუ პირდაპირ არა, ირიბი მონაწილეობა მოვაწრეთა ხელშეწყობის გზით.

ლოში ერთ სულ მოსახლეზე აგრძარული პროდუქციის წარმოების ინდექსი 29%-ით შემცირდა, რაც ყველაზე უარესი მაჩვენებელია მსოფლიოს 194 ქვეყანას შორის. ეს მაჩვენებელი ბალტიის ქვეყნებში გაიზარდა 38-47%-ით, ბელარუსში – 64%-ით, მოლდოვაში – 16%-ით, აზერბაიჯანში – 32%-ით, სომხეთში კი 89%-ით.

ნათესი ფართობების 2-ჯერ შემცირებასთან ერთად (2003-2011) 4-ჯერ შემცირდა ხორბლის წარმოება (თვითუზრუნველყოფა 35%-დან 6%-მდე დაეცა), სიმინდის, შესაბამისად – 1,6-ჯერ, კარტოფილის – 2-ჯერ, ბოსტნეულის – 2,5-ჯერ, ხორცის – 2-ჯერ, ხილის, ყურძნის, ციტრუსების – 5-ჯერ და ა.შ.

ფაქტობრივად შეწყდა ისეთი სტრატეგიული ნედლეულის წარმოება, როგორიცაა ჩაი და თამბაქო (ეს უკანასკნელი სურსათს არ მიეკუთვნება, მაგრამ მემცნარეობის ეს დარგი უმნიშვნელოვანესი იყო როგორც ადგილობრივი საწარმოებისათვის, ასევე თამბაქოს ნედლეული წარმატებით გამოიყენებოდა ექსპორტისათვის).

საყურადღებოა ის, რომ თითქმის 2-ჯერ შემცირდა ძირითად სასოფლო – სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობაც, რაც საშუალოდ 3-ჯერ წაელებია, ვიდრე განვითარებულ ქვეყნებში. მოსავლიანობის შემცირება პირდაპირი შედეგია წინა ხელისუფლების მიერ იმ ღონისძიებებზე უარის თქმისა, რომლებიც აუცილებელია აგრონარმოების განვითარებისა და შენარჩუნებისთვის. მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების მასობრივი გაუქმება ან შეზღუდვა (სოფლის მეურნეობა მეცნიერებაზე დამყარებული ინდუსტრია), სოფლიად საქონელმწარმოებლების ბედის ანაბარად მიტოვება, მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით მომარაგებასა და პროდუქციის რეალიზაციაზე ხელის აღება და სხვ.

ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის, როგორც ქვეყნისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგის იგნორი-

რებაზე ნათლად მეტყველებს უკანასკნელ ნლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისთვის გამოყოფილი მიზერული თანხები (0,4-1,5%-ის ფარგლებში) და შემოსული უცხო ინვესტიციებს მოცულობა (საშუალოდ ქვეყანაში შემოსული ინვესტიციების 1%).

აგრარული სექტორის მიზანმიმართული განადგურების პოლიტიკის განხორციელების შედეგია აგრეთვე ის, რომ აგრარულ ქვეყანაში მოსახლეობის მიერ მოხმარებული სურსათის 70%-ზე მეტი

ვიდან აცილების ან შედარებით ოლად გადატანის მიზნით, დღეს პრაქტიკულად ყველა ქვეყანა ცდილობს მნიშვნელოვნად გაზარდოს სასურსათ პროდუქციის ადგილობრივი წარმოება და შეძლებისდაცვად მოახერხოს სურსათით თვითუზრუნველყოფა.

ამ მხრივ საყურადღებოა საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სტრატეგიის იჯიციალური პარმეტრების გაცნობა, რომლებიც მოცემულია ცხრილში:

პროდუქციის სახე	პარამეტრები, ათ.ტ.		
	ოპტიმალური	დღეს არსებული	კრიტიკული
მარცვლეული	1300	220,7	750-800
კარტოფილი	450	228,8	250
ბოსტნეული	600	175,7	200-252
ხილი და კენკრა	580	180	300-330
მცენარეული ცხიმები	35	8,0	15-20
შაქარი	170	50	100-110
ხორცი (ცოცხალი წონით) (2011 წლის მონაცემებით)	150	45,3	85-90
ძროხის რძე (2011 წლის მონაცემებით)	990	523,6	550-570
კვერცხი, მლნ. ცალი (2011 წლის მონაცემებით)	610	427,6	330-350

იმპორტულია. ქვეყანაში შემოდის სასურსათო პროდუქციის ისეთი სახეობებიც, რომლის ძირითადი მნარმოებელი თვით საქართველო იყო (კარტოფილი, პომიდორი, კიტრი, სტაფილო და სხვა ბოსტნეული, ხილი). მაგალითად, ბოლო წლებში კარტოფილის იმპორტი 19-ჯერ გაიზარდა მაშინ, როცა ამ პროდუქციით თვითუზრუნველყოფა ქვეყანაში პრაქტიკულად 100%-ს შეადგინდა.

დარგისადმი გატარებული ასეთი პოლიტიკა სრულიად მიუღებელი იყო ქვეყნისათვის, მაგრამ სამაგიეროდ ხელს აძლევდა მაღალი რანგის ჩინოვნიკებს, რომლებსაც ხელში ჰქონდათ ჩაგდებული სასურსათო პროდუქტების იმპორტის მონოპოლია.

სამწუხაოოდ, არავის უფიქრია უახლოეს პერიოდში მოსალოდნელ უწვევა-ვეს კელიმატურ კატაკლიზმებზე და მისგან მოსალოდნელ მწვავე სასურსათო კრიზისზე (რომელიც, საერთაშორისო ექსპერტების დასკანებით, გარდაუვალია მსოფლიოში), რომლის ნებაზორი შედეგები უპირველესად სურსათის იმპორტზე დამკიდებულ ქვეყნებზე აისახება.

აღსანიშვნია, რომ უახლოეს პერიოდში გარდაუვალი სასურსათო კრიზისის თა-

როგორც ცხრილიდან ჩანს, საქართველოში დღეისათვის არსებული სურსათის რესურსების მოცულობა მნიშვნელოვნად ჩამორჩება არა მარტო მატიმალურს, არამედ კრიტიკულსაც კი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილში მოყვანილი „ოპტიმალური“ პარამეტრები შეესაბამება ახალ „რეკომენდებულ“ ნორმებს, რომელიც სპეციალურად მნიშვნელოვნადაა შემცირებული საარსებო მინიმუმის გაიაფების მიზნით. ამის გამო ეს ნორმები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს. კერძოდ, ხორცისა – 2,5-ჯერ, რძისა – 1,5-ჯერ, კვერცხისა – 1,6-ჯერ და ა.შ.

ზემოაღნიშნული შედეგია იმ არასწორი აგრარული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ხელისუფლება 2003-2012 წლებში და რომელმაც, თავის მხრივ, სოფლიად შექმნა გაუსაძლისი საყოფაცხოვებო პირობები, რის შედეგადაც დაინიჭება მნიშვნელოვნად შემცირებული საარსებო მინიმუმის გაიაფების მიზნით. ამის გამო ეს ნორმები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს. კერძოდ, ხორცისა – 2,5-ჯერ, რძისა – 1,5-ჯერ, კვერცხისა – 1,6-ჯერ და ა.შ.

ზემოაღნიშნული შედეგია იმ არასწორი აგრარული პოლიტიკისა, რომელსაც ატარებდა ხელისუფლება 2003-2012 წლებში და რომელმაც, თავის მხრივ, სოფლიად შექმნა გაუსაძლისი საყოფაცხოვებო პირობები, რის შედეგადაც დაინიჭება მნიშვნელოვნად შემცირებული საარსებო მინიმუმის გაიაფების მიზნით. ამის გამო ეს ნორმები მნიშვნელოვნად ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტებით აღიარებულ რეკომენდებულ ნორმებს. კერძოდ, ხორცისა – 2,5-ჯერ, რძისა – 1,5-ჯერ, კვერცხისა – 1,6-ჯერ და ა.შ.

ამათ მოდის სასურსათო პროდუქციის მეცნიერებათა აკადემიის წევრი აუდიტორი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი



## ისრაელი – საქართველო: მეგობრობა გრძელდება

ნოემბრის პოლოს თაილისში მიმდინარე სოფლის გაურცეობის, კვების მრავალობის, გადა-  
მუშავებელი და შემუშავებელი ტექნოლოგიის მე-13 საერთაშორისო გამოფენის ფარგლებში  
საქართველოში ისრაელის საელჩოს და უშუალოდ ელჩის იუვალ ფუძის რეგისტრით სამუშაო  
ვიზიტით იმყოფებოდნენ ისრაელის უმსკოლესი აგროკომანიერის წარმოგადგენლები.



ისრაელი საქართველოს ძირძველი მეგობარია და ორ ქვეყანას შორის ურთიერთობები ყოველთვის სამა-  
გალითო იყო. დღესაც ისრაელსა და საქართველოს შორის სხვა სფერო-  
ებთან ერთად სოფლის მეურნეობის სფეროში აქტიური თანამშრომლო-  
ბა გრძელდება. როგორც საქართ-

ველოში ისრაელის ელჩი, მისი აღმა-  
ტებულება იუვალ ფუქსი აღნიშნავს,  
ისრაელის მხარე მზადაა სოფლის მეურნეობის დარგში გამოცდილე-  
ბა გაგვიზიაროს და საქართველოს აგროკომანიებს დაეხმაროს თანა-  
მედროვე ტექნოლოგიების დანერგ-  
ვაში.

AFIMILK – [www.afimilk.com](http://www.afimilk.com)  
AGRI-CLOUD – [www.agricloud-ltd.com](http://www.agricloud-ltd.com)  
AGROMILK – [www.agro-milk.com](http://www.agro-milk.com)  
AGROTOP – [www.agrotop.co.il](http://www.agrotop.co.il)  
AMIAD – [www.amiad.co.il](http://www.amiad.co.il)  
ARBEL – <http://www.arbel-int.com>  
ARIL SYSTEM – <http://www.arilsystem.com>  
BEFRESHCORP – <http://befreshcorp.com>  
BERMAD – [www.bermad.com](http://www.bermad.com)  
FRESCO – [www.frescofarm.co.il](http://www.frescofarm.co.il)  
GOLD L.H. Tech. Tel/Fax: +972 8 651 3410; [goldlon@mail.ru](mailto:goldlon@mail.ru)  
HEFESTUS – [www.hefestus-slb.com](http://www.hefestus-slb.com)  
J Group Global LTD(JGG) – [www.j-group-global.com](http://www.j-group-global.com)  
JURAN TECHNOLOGIES – [www.juran.co.il](http://www.juran.co.il)  
M.G.M – Service LTD – [www.mgmservice.ge](http://www.mgmservice.ge)  
NAANDANJAIN – [www.naandanjain.com](http://www.naandanjain.com)  
NETAFIM – [www.netafim.com](http://www.netafim.com)  
NOVOPACK MACHINERY LTD – <http://novopack.net>  
S.D.A SPICE – [www.sda-spice.com](http://www.sda-spice.com)  
TAL-YA – [www.tal-ya.com](http://www.tal-ya.com)  
SRUGO MACHINES ENGINEERING LTD – [www.srugo.co.il](http://www.srugo.co.il)  
Ziv Matalon Consultant &Management L.T.D Tel/fax: +972 8 6513410; [goldlon@mail.ru](mailto:goldlon@mail.ru)

თბილისში გამართულ შეხვედრებ-  
ზე ისრაელის წამყვანი აგროკომანი-  
ების წარმომადგენლებმა, რომლებიც  
დაინტერესებულები არიან საქარ-  
თველოში ტექნოლოგიების ინდუს-  
ტრიის ექსპორტით, სხვა დარგების  
პრეზენტაციები წარმოადგინეს.

მათ ინტერესთა სფეროში შედის:  
საირიგაციო ტექნოლოგიები, სათ-  
ბურები, მეხილეობა, მებოსტნეობა,  
მარკეტინგი, გადამმუშავებელი და-  
ნადგარები, შესაფუთი მოწყობილო-  
ბები, მერძევეობა, რძის გადამუშა-  
ვება, აგროტექნოლოგიური კონსულ-  
ტაცია და სათევზე მეურნეობები.

აქვე გთავაზობთ იმ კომპანიების  
ნუსხას, ვებ-გვერდების მითითებით,  
სადაც თქვენ შეგიძლიათ დეტალუ-  
რად გაეცნოთ მათ საქმიანობას და  
საერთო ინტერესების გამონახვის  
შემთხვევაში საქმიანი ურთიერთო-  
ბაც დაამყაროთ.

საქართველო ინფორმაცია



# ესტური აგრძელები სტრუქტური და მართვის მიზანის დამტკიცები



ნიადაგურ-კლიმატური თუ სხვა ეპოლოგიური თავისებ-  
ურისათ აგრძელები სუბტროპიკული აღმოჩენისათვის აზარ-  
უნიკალური კუთხება. აგრძელები ხელსაყრდენი აგრძელება-  
ური პირობები მრავალდარგოვანი და მაღალრენტაბე-  
ლური სასოფლო-სამუშაოები წარმომადის შემთხვევის საშუა-  
ლობას იქლება.

გასული საუკუნი 80-90-იანი წლებიდან დაწყებული ქვე-  
ყანაში სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგები: მეზილეო-  
ბა, მებოსტრეობა, მეციტრუსეობა, მევენახეობა, მეჩაიეობა,  
რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 392000 ჰა-ს, ხო-  
ლო მთლიანი წლიური შემოსავალი – 2 მილიარდ მანეტზე  
მეტს, კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. აღნიშნუ-  
ლი კულტურების ფართობები ორჯერ და მეტად შემცირდა,  
რაც ამონირვებითა და მოუცვლელობითა გამოწვეული. ამან  
მკვეთრად შეამცირა მოსავლიანობა, გაუარესდა პროდუქ-  
ციის ხარისხი, მთლიანად მოიშალა მცენარეთა დაცვის სამ-  
სახური, ნიადაგის მოვლის ლონისძიებები, შეწყდა პროდუქ-  
ციის ცენტრალიზებული დამზადება.

90-იანი წლების შემდგომ პირველი დარტყმა აგრარული  
რეფორმის პირობებში სწორედ მეჩაიეობამ განიცადა, გაჩე-  
ხა და მიტოვებული იქნა ჩაის პლანტაციების დიდი ნაწილი.  
ქართული ჩაის ხარისხი იძენდა დაცუცა, რომ მისი გასაღე-  
ბის ბაზრები მკვეთრად შემცირდა, ჩაის ბურქის ნარგავები  
ან მთლიანად იღუპება ან იმდენად დაწინებულია, რომ ნორ-  
მალურ მოსავალს ველარ იძლევა, ზოგან ჩაის პლანტაციები  
საერთოდ გაველურდა. გლეხობამ, რომელიც ამ საქმიდან ვე-  
რანაირ სარგებლს ველარ ნახულობდა, ჩაის ბურქის შენარ-  
ჩუნების და მოსავლის მოყვანის სტიმული დაკარგა, რამაც  
ქვეყნაში მეჩაიეობის კრიზისი გამოიწვია. საქართველოს ჩა-  
ის პროდუქციის მთავარი მომხმარებელი რუსეთი იყო. ქარ-  
თული ჩაის პროდუქციის ასეთი დაკინიტებას დროს კი რუსეთ-  
მა ალტერნატიული წყაროები მოიძია.

როგორც ვხედავთ, ქვეყნაში შექმნილი ურთულესი პოლი-  
ტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის შედეგად პოლო 20  
წლის მანძილზე მეჩაიეობის დარგი უმძიმეს მდგომარეობაში  
აღმოჩნდა. ქვეყნის ეკონომიკისა და მოსახლეობის ფულადი  
შემოსავლების ამ უმთავრესი დარგის შესაძლებლობები ამ-  
ჟამად 10-15%-ით თუ იქნება გამოყენებული.

ამჟამად, როდესაც ჩაის დარგი ქვეყნაში გადაშენების პირას  
მივიდა, მისი აღდდების ხერთადერთ პრიორიტეტულ ფორმად  
ფერმერული მეურნეობების ორგანიზება მიგვაჩნია. ამისათვის  
საჭიროა თითოეული ფერმერისათვის 3-5 ჰა ჩაის პლანტაციე-  
ბის იჯარის წესით გადაცემა, ყველა აკროტექნიკური ლონის-  
ძიებების ჩატარებით პექტრილი 2,5-3 ტონა ხარისხოვანი ჩაის  
ფოთლის მიღება და 4-5 ტონა პროდუქციის ნარმოება.

სასოფლო-სამუშაოები პროდუქციაზე ფასების ლიბერა-  
ლიზაციის პირობებში ჩაის კულტურას ე.წ. კონკურენტები  
გამოუჩნდება. ბოლო წლებში ჩვენში თხილის გაშენებამ ეჭ-  
ვის ქვეშ დააყენა ჩაის პლანტაციების არსებობის საკითხი,  
განსაკუთრებით პრივატიზებულ ნაკვეთებზე. სამწუხაროდ,  
მომდევნო წლებში თხილის პროდუქციაზე ფასების რეგულირებას  
თურქეთი ახდენს და ჩვენ, როგორც მისი მეზობელი ქვეყანა,  
ყოველთვის მასზე ვიქებით დამოკიდებული.

სადლეისოდ მეტად პრობლემური გახლავთ მეჩაიეობი-  
სა და საერთოდ სუბტროპიკული მემკვნარეობის დარგთა  
ახალგაზრდა თაობით შევსების საკითხი, მხედველობაში  
მაქვს არა მარტო რიგითი სეციალისტები, არამედ მეცნიერ-  
თანამშრომლებიც. ჩაის გადამტუშავებელ სფეროს თითქმის  
ალარ ჰყავს კვალიფიციური ტიტეისტერების, ბიოქიმიკოსე-  
ბის, ტექნოლოგიის სხვა სფეროს საეციალისტების ახალგა-  
ზრდა ცელა. სოციალურად დაუცველი ძველი თაობა თან-  
დათანობით ხელიდან გვეცლება. სამწუხაროდ, სამეცნიერო  
– კვლევით დაწესებულებებს ნაკლები ყურადღება ექცევა.

დღევანდელ საქართველოში მეციტრუსეობის განვითარე-  
ბის პრობლემები არ შეიძლება განვიხილოთ მხოლოდ საბაზ-  
რო ეკონომიკისათვის დამასასიათებელი კანონების კონტექ-  
სტით, იგი განსაკუთრებულ მიდგომას და სახელმწიფოებრივ  
ხედვას საჭიროებს. მას აუცილებლად ესაჭიროება სახელმ-  
წიფოებრივი მხარდაჭერა და მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე  
ტენდენციების გათვალისწინებით სასწრაფო რეაბილიტაცია.

საბჭოთა კავშირის დამლის შემდეგ ძველი ეკონომიკური  
კავშირების რღვევის გამო ექსპორტი მინშენელოვნად შემ-  
ცირდა. ამჟამად ციტრუსოვანი კულტურების მოსავლის 10-  
ჯერ შემცირების მიუხედავად ექსპორტირება ძნელდება.  
ასე მაგალითად, 1995 წელს ციტრუსების ექსპორტმა შეად-  
გინა 7 მლნ აშშ დოლარი, 2000 წელს ექსპორტის მოცულო-  
ბა მცირდება 2,3 მლნ-მდე, ხოლო 2012 წელს – 1,5 მლნ აშშ  
დოლარადმდე.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ სუბტროპიკულ ზონა-  
ში მეციტრუსებისათვის ახალი ფართობების ათვესების  
რეზიტაციები ამონტურულია და დარგის განვითარება, ძირი-  
თადად, ინტენსიფიკაციის ფაქტორებზეა დამოკიდებული.  
დარგის რენტაბელობის დონის ამაღლება ბიოლოგიურად  
მობერებული (ამორტიზირებული) ხების შეცვლით, პროგ-  
რესული აგროტექნიკის, სწორი ორგანიზატორული და ეკო-  
ნომიკური ფაქტორების გამოყენებით, სანერგების მოწყო-  
ბით, უხვად და რეგულარულად მსხმიოარე ჯიშების გამოყ-  
ვანით და მათი ელიტური ხერგებით ახალი პლანტაციების  
გაშენებით უნდა მოხდეს.

ჩვენში არსებული ციტრუსოვანთა ბაზები სამოცდაათ  
წელზე და უფრო მეტი ხნისაა. თეორიულად და პრატიკულ-  
ად დამტკიცებულია, რომ ეს მცენარე 50-55 წლის ასაკად-  
დეა მაღალპროდუქტული, შემდეგ მოსავალი თანდათანო-  
ბით მცირდება და ნებისმიერი აგროლოგის გამოყენების გატარებაც  
კი სასრულელ შედეგს არ იძლევა.

აღნიშნული საკითხის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ ღო-  
ნისძიებას ციტრუსების პლანტაციების გაახალგაზრდებება  
ნარმოადგენ. კერძოდ, ბიოლოგიურად მობერებული მცენა-  
რები ადგილობრივ პირობებით უკეთ შეგუებული უხვად და  
სტაბილურად მსხმიოარე ადრემნიფაზით ჯიშებით, კლონები-  
თა და ფორმებით უნდა შეიცვალოს. ამორტიზებული ხების  
ახალგაზრდა ნარგავებით ჩანაცვლება გაზრდის მოსავლია-  
ნობას, შესაბამისად ამაღლდება ეკონომიკური ეფექტიანობა  
და რამდენიმე წელიწადში მთლიანად გაახალგაზრდავებულ  
პლანტაციებს მივიღებთ.

ფინანსური თვალსაზრისით აღნიშნული ღონისძიება რომ  
ეკონომიკურად მომგებიანი იქნება, ამას ჩვენი გაანგარიშე-  
ბაც ადასტურებს; ამორტიზებული მცენარები ჰექტარზე



საშუალოდ 6,6 ტონა ნაყოფს იძლევა, ახალგაზრდა (25 წლის) კი – 30 ტონას, რასაც ყოველწლიურად ფერმერებისა და კერძო მესაკუთრებისათვის დამატებითი მოგების მოტანა შეუძლია.

მეცნიტრუსე ფერმერების მოგება განისაზღვრება სტანდარტული და არასტანდარტული ნაყოფის სარეალიზაციის ფასების მიხედვით. მარკეტინგული პრობლემების მოგვარებისას საადრეო ჯიშების 1 კგ ნაყოფის ფასი 1 ლარს გადააჭარბებს, არასტანდარტული ნაყოფის ლირებულება 40-50 თეთრი იქნება. აქედან გამომდინარე, როცა საადრეო მანდარინის ხვედრითი წილი ფერმერულ მეურნეობებში 60-70 %-ს მიალწევს, მაშინ ფერმერი 1 ჰა მანდარინის ბალიდან დაახლოებით 3500-4000 ლარის შემცვალების მიღებს.

ციტრუსოვნების ახალი, გაუმჯობესებული ჯიშების გა-  
მოყავნის და წარმოებაში დანერგვის მხრივ სხვა ქვეყნებმა  
ძალიან გაგვისწრეს, ისევე როგორც სხვა დარგებში. ჩვენ-  
თან ეს პროცესი ცნობილი პოლიტიკური და ეკონომიკური  
სირთულეების გამო ჩამორჩა. მისასალმებელია, რომ აჭარის  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სხვადასხვა ქვეყ-  
ნებიდან შეძენილი და ჩამოტანილია ციტრუსოვანთა ნერ-  
გები: მანდარინის, ფორთოხლის, ლიმონისა და პიმელოს 5  
სახეობის, 50 ჯიშის ციტრუსოვანთა სანერგე მასალა. აქე-  
დან 14 ჯიში მანდარინია. ისინი გაშენებულია ჩაქვის სანერ-  
გე მეურნეობის ტერიტორიაზე, საიდანაც აიღებენ საანამყენ  
კვირტებს ციტრუსოვანთა ნერგების მასობრივი წარმოები-  
სათვის.

სადედე ნაკვეთზე ციტრუსოვანთა ნარგავები, ჯიშების მიხედვით, უძნებად და სექციებადაა გაშენებული და ეტიკეტირებული, სადაც შეიძლება ნებისმიერი ჯიშის მიგნება. აქაა სექტემბრიდან ნოემბრის ჩათვლით მზიფადი ჯიშები, უვირუსო, გაუმჯობესებული თვისებების და მაღალხარისხოვანი ნაყოფით. ვფიქრობთ, რომ ეს ახალი ჯიშები ჩვენს პირობებში კარგად გაიღლიან აკლიმატიზაციასა და ადაპტაციას, შეეგუებიან ადგილობრივ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებს და მოგვცემენ უკეთეს მოსავალს, როგორც ეს სხვა კულტურების – მაგალითად, ჩაის, ხეხილის, ბოსტნეულის შემთხვევაში მოხდა.

ამ მხრივ არ უნდა დავივინქოთ ასევე დღემდე არსებული მანგარინის ჯიშებს შორის ყველაზე საუკეთესო ჯიში – „ტი-ახარა უნბიუ“, რომლის ნაყოფები ოქტომბრის პირველ დეკადაში მნიშვნელა და კარგადა შეგუებული ადგილობრივ პირობებს. აღნიშნული ჯიში 35%-ით მეტი მოსავალს იძლევა დარაონებულ ჯიშ – „უნშიუსთან“ შედარებით და თანაც ნაყოფის უკეთესი ხარისხით გამოიჩინა.

ମିସାଲାନ୍ଧେବୁଳିଆ ଆସ୍ଵେ କୁଣ୍ଡଲେଟିବ୍ ମୁଣ୍ଡିପିଲାଲ୍‌ଫ୍ରେଂଟିଲ୍ ସାଙ୍ଗେଲ ଗବାରାମୀ ଆଫାରିସ ଅଗର୍ବାଲ୍‌ଏର୍ବିଲ୍‌କ୍ରେନ୍‌ଟରିସ ମିନ୍‌ଇର 11 ତେଜ୍-ତ୍ରାରଂଶ୍ ବେବିଲୋଗନ୍‌ବେବ୍‌ଡିସା ଓ ବାଠିସ ସାଫ୍‌ଏର୍, ସାକୋଲ୍‌ଏକ୍‌ପିର୍ ଓ ସାଫ୍‌ମୋନିବ୍‌ରାପିର୍ ସାନ୍ଦେରାଗିସ ମର୍ମିକୁର୍ବା, ସାଫ୍‌ଟାଇପ ଡିଲ୍‌ବିସାତବିସ ସାଥ ତେଜ୍‌ତାରଂଶ୍ ଗାଶ୍‌ବେବ୍‌ବୁଲିଆ ବାଠିସ ସାସ୍‌ବ୍ୟାକର୍ଜ ଓ ସାଲ୍‌ଗିନ୍ 25 ଜୀବିସ ନେରଗବୀ. ଆସ୍ଵେ ବେବିଲୋଗନ୍‌ବେବ୍‌ଡିସ ବାଶ୍‌ଲିସ, ମବ୍‌ଲିସ, ବାଲ୍‌ବିସ, ଆଫିମିସ ଅଫର୍‌ମିବ୍‌ରମିନାର୍ଗ ବାଗାଲା ଜୀଶ୍‌ବୀ, ରମର୍‌ଭେଲତା ଅତ୍‌ବିସେବାପ ରମର୍‌ଭେଲାଫ ମିନ୍‌ବଦ୍‌ବ୍ୟାକ 2014 ଲ୍ଲିସ ଗାହାତ୍‌ବ୍ୟାଲ୍‌ନ୍ହେ.

მეციოლუსეობის დარგში არსებული მდგომარეობის გა-  
მოსწორება და არსებული პირობების მოგვარება შესაძლე-  
ბელი იქნება მხოლოდ სერგისული მომსახურების შექმნით,

რაც გულისხმობს: მანენებელ-დაავადებათა დიაგნოსტიკას, მის კვალობაზე პრეპარატების სახეობისა და რაოდენობის, ნამღლობათა ვადების, ჯერადობების, კონცენტრაციების, სამუშაო ხსნარების მოცულობების და ლოდინის პერიოდის ზუსტ განსაზღვრას, საჭიროების მიხედვით ნიადაგის ნიმუშების აღებას და ქიმიური შედეგების განსაზღვრას, რეკომენდაციების საფუძველზე აგრძელი მიკატებით ნიადაგის განვიყირებას, ნამღლობათა მაღალეფექტურად და ხარისხი-ანად ჩატარების უზრუნველსაყოფად თანამედროვე დისპერსიული შემასხურებელი ტექნიკის შეძენას და გამოყენებას.

მეტაგრაფოგა

აჭარის მაღლმთანი რაიონების ეკონომიკის განვიტაციული ძის ძირითადი და ტრადიციული დარგი კვლავ კრიზისულ მდგომარეობაშია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ თამაბაქოს ნარმოება 5060 ტონიდან 250-300 ტონამდე შემცირდა. სავალალო შედეგის ძირითადი მიზეზი ნედლეულზე შედარებით დაბალი შესასყიდვი ფასებია. მიუხედავად ამისა, თამაბაქოს მწარმოებელთა ინტერესს ამ დარღისადმი კვლავ დღიდა. მნარმოებელთა დაინტერესებას კიდევ უფრო მეტად შეუწყონელი უცხოელი ბიზნესმენების გამოჩენამ, რომელებიც დაინტერესებული არიან მაღლხარისხოვანი და ნაკლებიკოტინიანი აჭარის თამაბაქოს ნედლეულის შესყიდვით. ამ მხრივ ბიზნესმენთა დაინტერესება კიდევ უფრო გაიზარდა, როდესაც წარმოებაში გამოიყენდა ჩვენს მეტ ტრაპაზონისა და სამსუნის შეჯავარების შედეგად მიღებული ახალი ჯიში „ქედის ადგილობრივი ჰიბრიდი“, რომელიც მოსავლანობით, ხარისხით, არომატითა და ნიკოტინის დაბალი შემცველობით აჭარაში დარაიონებულ სამსუნებს აღემატება. მოგება ჰექტარზე 1780 ლარს შეადგენს.

თამბაქოს ნედლეულზე ფასების რეგულირებით შეიძლება მივაღწიოთ მოსახლეობის ისეთ მატერიალურ დაინტერესებას, რომ აჭარამ არა მარტო რეგიონის დასაქმაყოფილებელი ნედლეული დაამზადოს, არამედ საზღვარგარეთ გასატანი პროდუქციის მნიშვნელოვანი რაოდენობა(კ ანარმოოს.

ერთობლივი

მევენახეობას შიდამთიანი აჭარის ეკონომიკაში, მეთამ-  
ბაქეობის შემდეგ, მნიშვნელოვანი ადგილი უჩირავს. 2014  
წლისათვის დაგეგმილია ვენახის ფართობის 100 ჰექტარით  
გაზრდა. ამ მხრივ განსაკუთრებული პრიორიტეტი „ჩიავერს“  
უნდა მიენიჭოს, რადგანაც საერთაშორისო ბაზარზე წითელ  
და ვარდისფერ ღვინოებზე დიდი მოთხოვნაა. ამასთან, აღსა-  
ნიშნავია, რომ ამ ჯიშის ვენახს განსაკუთრებული პირობები  
არ სჭირდება. იგი თოვქმის კულტურული ძეგლება გავაშენოთ -  
გზების გასწროვ, ღოლებზე, ეზოებში და სხვა. ასევე მნიშვ-  
ნელოვან კურადღება უნდა მიეცეს „ალადასტურის“, „კო-  
ლიკაურის“, „ციცქას“ და სხვა ჯიშების გაშენებას, პომელ-  
იც სხვადასხვა სამეცნიერო დაწესებულებების მიერ არის  
რეკომენდდებული აჭარის მთის რაიონებისათვის. ტექნოლო-  
გია გულისხმობს ეკონომიკური პირობებისა და ჯიშების ბი-  
ოლოგიური თვისებების მიხედვით კვების არეალის, შტაბის  
სიმაღლის ოპტიმალური ვარიანტისა და საყრდენი ტიპის  
შექმნებას. საკარაულო ეკონომიკური ეფექტი იმაში გამოხა-  
ტება, რომ ფართობის ერთეულზე განეული ხარჯები ორჯერ  
ანაზღაურდება.

ერთობლივი

განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს შიდა და მაღალ-მთიანი აქარის მეზილეობა. უპირველესად, უნდა შენარჩუნდეს ხეხილოვანი ჯიშების გენოფონზე და მეჩეტერი ბალები შეივსოს ყინვაგამძლე და მაღალმომსავლიანი ჯიშებით. ამ მიზნით ეცექტურია ვაშლის ახალი სელექციური ჯიშები „დელისი“, (ჰიბრიდული ფორმა 21/15) და „ხორუმი“ (ჰიბრიდული ფორმა 5/54). რომლებიც ხასიათდებიან ნაცოფის საშუალო ზომით (160-190 გრ), მაღალი გემური თვისებებით, ქეცისა და ნაცრის მიმართ იმუნურობით. ინახება მაისის შუარიცხვებამდე, ჰეტეროზიგური ირგვება 1000 ძირი. ანალოგიური ლონისძიებებით უნდა განხორციელდეს სხვა თესლოგნებისა და კურორტების აღდგენა-რეაბილიტაცია. ამასთან, ფერმერებთან და შენარჩუნებთან შეხვედრების დროს სხირად ისმის

საკითხი არსებული ხეხილის რეალიზაციის თაობაზე. ისინი მოთხოვენ აჭარის მაღალმთან რაიონებში ერთი წვენების ქარხნის გახსნას.

სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კივის, თხილასა და კაკლის სელექციური ჯიშების გაშენებას. კივი, რომელიც მრავალ ლიტერატურაში „სიცოცხლის ხილად“ არის (ცნობილი, ჩვენს სუბტრიპიკები სწრაფად ინერგება. მისი ბიოლოგიური თავისი სუბურებელიდან გამომდინარე, იგი თავისუფლად შეიძლება გავაშენოთ შიდამთანი აჭარის მეჩქერი და განუახლებელი, დაბალი სიხშირის ტყის კორომებში. შედევგად, ავითვისებთ ტყის უსარგებლო უბნებს და მნიშვნელოვნად გავზრდით ესოდენ მნიშვნელოვან პროდუქციას. გასაშენებელი ჯიშებიდან უპირატესობა უნდა მიერინოს „ჰაიგარდს“.

თხილის ბალების გაშენება უმჯობესია ერთშეტამბიანი და-ბალტიანიანი ხის ფორმით, შემცირებული კვების არეალზე. სავარაუდო ეკონომიკური ეფექტი 50-60%-ით გაიზრდება და მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება პროდუქციის ხარისხი.

დეგრადირებულ და დაბალნაყოფიერ მინებზე გზის პირებზე და ტყის პირებზე უნდა გაშენდეს კაკლის ახალი ჯიში (ფორმა №5) „წონიარისი“, რომელიც მაღალმოსავლიანობითა და მაღალხარისხიანობით გამოიჩინება. 1 ძირი 400 კგ. ნაყოფს იძლევა, გული ნაჭუჭიდან ადვილად ცალკევდება და გამოსავლიანობა 52-53 %-ს შეადგენს.

იქიდან გამომდინარე, რომ მესმინდეობა და მეკარტო-ფილეობა მაღალმთიანი აჭარის ერთ-ერთი უძველესი და ტრადიციული დარგებია, აუცილებელია უახლოესი ტექნო-ლოგიების პრაქტიკულად გამოყენება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჯიშთგანახლებას ახალი სელექ-ციური ჯიმებით, რისთვისაც ფართოდ უნდა იქნას გამოყენე-ბული საქართველოს მემკენარეობის სამეცნიერო-კვლევი-თი ინსტიტუტის ჩეკომენდაციები.

მებოსტნეობის განვითარების ხელშემწყობი ღონისძიების მიზნით საჭიროა რამდენიმე სასათბურე მეურნეობის ამოქ- მედება, რაც საშუალებას მოგვცემს მთელი წლის განმავლო- ბაში დავაკმაყოფილოთ საკურორტო ზონის მოსახლეობა. აჭარის პირობებში ასევე ყურადღების ღირსია ყაბაყი და პა- ტისონი. შესწავლილი საკუეთესო ჯიშების წარმოება მნიშვ- ნელოვნად გააფართოვებს ბოსტნეული კულტურების ასორ- ტიმენტს.

ცუნძობილია მცენარე - სტევია, როგორც შაქარზე უტყვიბილე-  
სი კულტურა, ამიტომ აუცილებლად გვესახება მისი პლანტა-  
ციების ფართო მასშტაბით გაშენება. ის აგრეთვე სამკურნა-  
ლო თვისებებით ხასიათდება. სტევიის ძირითად გლუკოზიდს  
- სტევიოზიდს აქვს დამაკონსერვებლის თვისება, რომელიც  
ენინააღმდეგება ინდის სოკოებისა და ბაქტერიების გავრცე-  
ლებას, ამიტომ წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული  
საკონსერვო წარმოებაში. რისტვისაც აუცილებელია სტევიი-  
ას პლანტაციების ფართო მასშტაბით გავრცელება. გამოკვ-  
ლევებით დადგინილია, რომ იმერეთის რეგიონში შეიძლება  
ჰეტეროზიგ 10 ტონამდე სტევიის ნედლეულის მასის მიღება,  
რაც 60-70 ტონა შაქრის ექვივალენტია (1კგ. ნედლეული მასა  
სტევიისი ექვივალენტირია 6-7 კგ. შაქრისა, ე. ი. ერთი მცენა-  
რიდან შესაძლებელია 700-800 გრამი ნედლი მასის მიღება).

ახლა ბევრს ლაპარაკობენ სასოფლო-სამეურნეო წარმომადისათვის გრძელვადიან, საშეღავათო პერიოდიანი და დაბალპროცენტიან კრედიტებზე, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს, თუ როგორ განხორციელდება იგი. ბევრისათვის გაუგებელი კია ყოველმხრივ შეკირცვებული გლეხებაციის იმდებზე უალრეასად დსტატიული სასოფლო-სამეურნეო წარმომადის მოტოვება, ე. წ. ხელშემწყობი და საფინანსო როგანიზაციებიც ბიც მას ისეთ პირობებს სთავაზობენ, უბრალოდ, გაუგებარია. საკმაოდ მოლონიერებული წარმოება უნდა გქონდეს, რომ დაგაფინანსონ ე. წ. შემდგომი განვითარების მიზნით, ან მოითხოვენ ქონებრივ გარანტიებს.

გამოდის, კველაფერში ისევ მოსახლეობა ყოფილა დამნაშავე, განსაკუთრებით იმაში, რომ ფული არა აქვს, სოციალურადაც დაუცველია, შია, ცივა და ამის გამო შესაძლოა ინკვესტიციის, სესხის თუ გრანტის რაღაც ნაწილი ამ მიზნითაც გამოიყენოს.

“თითქმის ყველა პროგრამა და პროექტი აგრობიზნესის ხელშეწყობას ითვალისწინებს, არადა სოფლად პირველადი

ნარმოებას მისახედი, რადგან აგრობიზნესი სასოფლო-სამეურნეო წარმოების უფრო მაღალი საფეხურია. აგრობიზნესი შესთავაზო სოფელს, რომელიც სიღარიბის ზღვარზეა, უფრო დაცინვას ჰგავს, ვიდრე პარტნიორობასა და დახმარებას. და ეს მასინ, როცა ამ ჩევენს ხელშემწყობთა ქვეყნებში სასოფლო-სამეურნეო წარმოებას ისეთი თანადგომა აქვს, რომ ფაქტობრივად დოტაციაზეც კი იმყოფება. ესაა სუფსიდიები, დანამატები პროდუქციის წარმოებაზე, რამდენიმენტობანი საშედევროთ პერიოდიანი უპროცენტო და დაბალპროცენტიანი, გრძელვადიანი სესხები, საქველმოქმედო პროგრამები, ანაზღაურებები სტიქიური მოვლენების ან სხვა რაიმე მიზეზით მოსავლის განადგურების, ბაზარზე ფასების მერყეობით გამოწვეული ზარალის დროს და ა.შ.

თუმცა ჩევნში დღეს მოლვანე საერთაშორისო ფონდების, პროგრამების, საგრანტო ღონისძიებათა სისტემაში ფერმებისა და გადამამუშავებელ სანარმოთა პირდაპირი გზით დაფინანსებას მოკრძალებული ადგილი უჭირავს. ისინი ფულს ძირითადად საორგანიზაციო-ადმინისტრაციული ღონისძიებებისათვის ხარჯავთ და სიმბოლურ ნაწილს თუ იყენებენ



პირდაპირი დაფინანსებისათვის. უკეთეს შემთხვევაში აფინანსებენ მხოლოდ უკეთ არსებულ წარმოებას, რომელსაც გაფართოება ესაჭიროება.

სამაგიეროდ, მისასალმებელია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინიციატივა - „აგროსერვისცენტრის“ შექმნა, რომელიც სამი მიმართულებით მუშაობს. ესაა ფერმერთა სწავლება-კონსულტაცია, სანერგე მეურნეობების მოწყობა-განვითარება და მსხვილებელი რესოსაზო პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პრაქტიკის აღდგენა-განვითარება, ასევე, შეს „ვეტერინარიის“ შექმნა, რომელიც მოემსახურება აჭარის მეცხოველეობას.

ასევე მტკივნეულია და სასწრაფო მოგვარებას მოითხოვს ბუნებრივი რესურსებით (სასარგებლო ნიალისეულით, სამ-შენებლო მასალებით, ზღვის და ტყის რესურსებით) სარ-გებლობის საკითხები. მათზე ხანგრძლივგადადიანმა იჯარამ (არენდამ) ან პრივატიზაციამ მათ მოპოვება-რეალიზაციაში ანარქია გამოიწვია. ხშირ შემთხვევაში ყოველგვარი საჯარო, საყოველთაო განხილვების გარეშე, საზოგადოებისათვის უცნონო გითარებაში დაიწყო ბუნებრივი სიმიდიდურეთა განსა-ხელმისაფარებრიობა, რომელის ერთ-ერთ სავალოანო მაგა-ლითად შეიძლება სატყეო მეურნეობაში ჩატარებული ე. წ. რეფორმა მივიჩნიოთ. შედეგად მივიღეთ ამ დარგის სრული ნგრევა და არასწორი საკადრო პოლიტიკით. სრულად იგ-ნორირებულია განათლებული მეტყველე-ინჟინერების სპეცი-ალობა. ასეთ გითარებაში საეჭვოა ამ ახალმა სტრუქტურამ შეძლოს ტყების შენახვა, მოვლა, აღდგენა-გაშენება და მისი რესურსების გეგმაზომიერი გამოყენება. და ეს მაშინ, რო-ცა ქვეყნის ტყეების 55 პროცენტზე მეტი გამეჩხრებულია და მერენის სამრენველო დამზადება კი არა, აღდგენისა და რეკონსტრუქციის სამუშაოებისა ჩატარებული. ნინა ნლებ-ში ზღვის დონიდან 1000 მეტრის სიმაღლეზე ჩატარებულმა უსისტემი ჭრებმა, მორების გათრევით გამოტანამ კორომე-

ბის, ფერდობების გატიტვლება გამოიწყოა. ასევა მთელი საქართველოს მასშტაბით და, ცხადია, აჭარაშიც. არავინ ფიქრობს ჭრაგავლილ ფართობებზე ტყის ხელოვნურ განახენი-ანებაზე, როგორც ამას უვროპაში, აშშ-ში, კანადაში, აზიისა და აფრიკის ბევრ სხვა ქვეყნებში აკეთებენ. ისე, ბოლო 15 წლის განმავლობაში ჩვენს რეგიონში და მთლიანად საქართველოშიც, ალბათ, მცენარეთა იმდენი ნერგია დარგული და გახარებული, რომ ყოველ 0,5 კვადრატულ მეტრზე ერთი ზრდასრული ხე უნდა გვხვდებოდეს. სინაძვილეში ეს ასე არ არის. ე. ი. მონაცემები ყალბია, ან ირგვება, მაგრამ მოუვლელობის გამო ნადგურდება.

და ბოლოს, აგრძელულ სეტტიონში რადიკალური ცვლილებები დაიწყება მაშინ, როდესაც გადაწყდება მაღალკალიფიციური, სწავლული აგრძნომებისა და ამ სფეროში დასაქმებული სხვა კადრების საკითხები.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემებით, რეგიონის შრომითი ბაზარი განიცდის აგრარული დარღვის სპეციალისტების დეფიციტს, რაც დასტურდება ჩვენში არ-სებული კვლევითი და სასწავლო დაწესებულებების ანალიზის შედეგებით, ამიტომ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტები შერჩეულია დოკტორონტა ინტერესების და ზრის მოთხოვნების გათვალისწინებით. მერძეს ის, რომ ჩვენი რეგიონის სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებების სერიოზულ დეფიციტს განიცდია ახალგაზრდა მეცნიერებათა დოკტორების აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალისას. მაგალითად, ფაკულტეტის აგრარული მიმართულების დეპარტამენტებში დასაქმებული 18 აკადემიური თანამდებობის პირთაგან დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე 62 წელს გადაცილებულია. თითქმის ასეთივე მდგომარეობა ჩაის, სუბტრონიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტში, სადაც 87 პროცენტზე მეტი 70 წლზე ზევითაა, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში კი – 65 პროცენტზე მეტი.

ମାରତାଳୀବା, ଏହି ସତ୍ୟକାରୀ ନିର୍ଭେଦୀକୁଣ୍ଠାଲୁରୀ ଦାଙ୍ଗେବିଳି ସାଗର-  
ନବୋବି ନାଥିଲୀ ଶୁଭ୍ରବୋଗେତଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାଙ୍ଗନୋବିଶ୍ଵାସୀ, ମାଗରାମ ଆଶରାରିଗୁପ୍ତୀ  
ମେବ୍ରନ୍ଦୀରୂପ-ପରାକ୍ରମିକୁଣ୍ଠାସ୍ତବୀ, ସାତାନାଧାରମ ଗାନ୍ଧାତଲ୍ଲେବିଶ୍ଵାସୀ ଏବଂ ମାଲା-  
ଲୀ କ୍ଷୁଦ୍ରାଲୀପିତ୍ରାଜୀବିଶ୍ଵାସୀ କୃମିତ୍ତେଶ୍ଵରାଶ୍ରମ ଶୈଖିବାଲୀଶ୍ଵରୀ ସାକ୍ଷା-  
ତାର ଗ୍ର୍ଯାମୀବାବୁ, ଏବଂ ଏକାଶି ଗାଢ଼ିରାଜିକୁଣ୍ଠାଲ୍ଲୀ, ରମ୍ବ ଦେବରାମ ଦ୍ୱାରାକୁଣ୍ଠାଲ୍ଲୀ  
କ୍ଷୁଦ୍ରାଲୀପିତ୍ରାଜୀବିଶ୍ଵାସୀ କୃମିତ୍ତେଶ୍ଵରାଶ୍ରମ ଶୈଖିବାଲୀଶ୍ଵରୀ ଏବଂ  
ମନ୍ଦିରାଙ୍ଗନୋବି ଶୁଭ୍ରବୋଗେତଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାଙ୍ଗନୋବି ଶୁଭ୍ରବୋଗେତଶ୍ଵର  
ନବୋବି ଏବଂ କୃମିତ୍ତେଶ୍ଵରାଶ୍ରମ ଶୈଖିବାଲୀଶ୍ଵରୀ ଏବଂ  
ଶୁଭ୍ରବୋଗେତଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାଙ୍ଗନୋବି ଶୁଭ୍ରବୋଗେତଶ୍ଵର ମନ୍ଦିରାଙ୍ଗନୋବି

ამასთან, სასიხარულოა ისიც, რომ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე მარტი 2013 წელს აგრძარულ სფეროში თოთხმეტმა დოკტორანტმა დაიცავა სადოქტორო დისერტაცია. მათ შორის პირველად აჭარის ისტორიაში ცამეტი ქალბატონია.

იმედია, ადგილობრივი ხელისუფლება და აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, პირადად მიზნისტრი ზაურ ფუტკარაძე, რომელიც აქტიურად იყო ჩართული სადისერტაციო ნაშრომების განხილვასა და დისერტაციების დაცვებში, გაითვალისწინებენ ახალი აკადემიური დოქტორების დასაქმების სკოლას.

მრავალნიშიანი პრატიკული მუშაობისა და ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს ძირითადი დასკანები, გამოყიდვის აქტრის ავტონომიურ რესპუბლიკაში საკითხის ატენუალობიდან:

1. აჭარის, როგორც ტურისტული რეგიონისათვის და ბუ-  
ფერული ზონისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენი-  
ჭება სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა  
დაცვის მიზნით სახელმწიფო კონტროლის გაძლიერებას,  
რომელიც წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლის, ჯანმრთე-  
ლობისა და ეკონომიკური ინტერესების ერთ-ერთ უმნიშვნე-  
ლოვანეს გარანტს. შესაბამისად, მიზანშეწონილია აჭარაში  
შეიქმნას რესპუბლიკის სურსათის სააგენტო, რომლის უფ-  
ლებამოსილებები არ შევა სურსათის უვნებლობის, ვეტერი-  
ნარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსით განსაზღვრული  
ისეთი უფლებამოსილებები, რომელსაც ერთიან ეროვნულ  
რეჟიმში ახორციელებს ეროვნული სააგენტო.

2. დღეისათვის აჭარაში 3500 ჰექტარამდე ჩაის პლანტაცია ირიცხება, საიდანაც 2050 ჰექტარი საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაშია, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებაში კი – 1450 ჰექტარი. მეჩეთის დარგის აღმრბილებისათვის და აღნიშნული მიმართულებით საინვესტიციო პროექტების განვითარებისათვის მიზანშეწონილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მინის ნაკვეთების გადმოცემა აჭარის ა/რ საკუთრებაში.

3. აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით გაშენებული ციტრუსის სადემონსტრაციო ნაკვეთი, რომელიც მრიცავს ციტრუსის ათამადე ჰერსპექტიულ ჯიშებს. ვინაიდან აღნიშნული სანერგებელი მეურნეობა გათვლილია ძირითადად სუბტროპიკულ ზონაში არსებული ამორტიზებული ბალების განხალებაზე და მოსახლეობაში არსებული ციტრუსის ჯიშების ადრეზნიფებადი და უსვემოსავლიანი ჯიშებით ჩანაცვლებაზე, მიზანშეწონილია სანერგებელი მეურნეობა მიუერთდეს სამინისტროს აგრისერებისცენტრს, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს წარმოადგენს აღნიშნული მიმართულება.

4. აჭარის ა/რ-ში ყოველწლიურად საშუალოდ 10000 ტონამდე ბოსტნეული, 13000 ტონა ხილი (თესლოვანი, კურკოვანი) და 60000 ტონამდე ციტრუსი ინარმოება. აჭარის მოსახლეობისა და ტურისტების წლიური მოთხოვნილება ბოსტნეულზე 70000 ტონამდე, ხოლო ხილზე – 50000 ტონამდე შეადგენს. შესაბამისად, მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება არასამრენველო პერიოდში იმპორტირებული პროდუქციით ხდება. რეგიონში პროდუქციის შემნახველი სამაცივრე მეურნეობის არარსებობის გამო ფერმერები იძულებული არიან პროდუქციის რეალიზაცია ერთდროულად, მოკლე პერიოდში მოახდინონ, რის გამოც სამომხმარებლო ბაზარს ფარბი პროდუქცია მიენიღდება, რაც თავისთავად სარეალიზაციო ფასების შემცირებასა და მნიშვნელოვანი ნაირის გაფუჭებას იწევს. ამასთან, არასამრენველოვანი მოსახლეობის მომხმარებელთა დაკმაყოფილება იმპორტული პროდუქციის ხარჯზე ხდება, რაც თავისთავად ხელს უწყობს ქვეყნის უარყოფით სავაჭრო ბალანსს და პროდუქციაზე ფასების ზრდას. აქედან გამომდინარე, საკმარისად აქტუალურია რეგიონში შეიქმნას უახლესი ტექნიკულოგიებით აღჭურვილი კომპლექსური სამაცივრე მეურნეობა.

5. ბოლო პერიოდში აჭარაში ამოქმედდა პირველი უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ბოსტნეულისა და დეკორატიული კულტურების შპს „საქართველოს სათბურების კომპანიის“ ახალსოფულის საჩითოლე სასათბურე მურნეობა (100%-იანი სახელმწიფო წილით). კომპანიის საქმიანობის ძირითად სფეროს ნარმოადგენს უვირუსო, მაღალხარისხიანი, დახურულ ფესვთა სისტემით გამოყენების ჩითილების წარმოება. აღნიშნული სათბურო ძირითადად ორიენტირებულია რეგიონის ადგილობრივ ფერმერულ მეურნეობებსა და სოფლად მცხოვრები მოსახლეობის ელიტური, უცირუსო



საჩითოლე მასალებით უზრუნველყოფაზე. ამიტომ, მიზანშე-ნონილია აღნიშნული სასათბურე მეურნეობა ირკებოდეს სამინისტროს დაქვემდებარებაში.

6. რეგიონისათვის დამახასიათებელი მწირი სასოფლო-სა-მეურნეო სავარგულები არ იძლევა სამუალებას ფართო მას-შტაბებით განვითარდეს აგრარული დარგის სხვადასხვა მი-მართულებები (მებოსტნეობა, მემარცვლეობა, მეცხოველეო-ბა). სწორედ ამიტომ, აჭარის ტერიტორიაზე სამელიორაციო სისტემის სრულად აღდგენა-რეაბილიტაციას (როგო ახალი არხების გაყვნას, ჰიდროტექნიკური და ჰიდრომელიორაცი-ული ნაგებობების, ცალკეულ მაგისტრალურ არხებზე ავარი-ული წყალსაგდებების, წყლის ჩამკეტი მარეგულირებელი ფა-რების, ურდფულების, მდინარეებისა და არხების ნაპირსამაგრი კედლების, ჯებირების მშენებლობას და სხვა) მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს რეგიონის აგრარული დარგის განვითარების საქმეში. დღეისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მასი-ურ სახნა-სათეს სავარგულებში სამელიორაციო სისტემები ძირითადად განთავსებულია 3350 ჰექტარ ფართობზე, რომ-ლებიც ორ ათეულ წელზე მეტია საერთოდ არ განმეოდილა და ჰრაქტიკულად გაუქმებულია, ამიგვებლობა მიწით, დაფარუ-ლი ჭილოფის, ისლის და ჭარბის სხვა მცენარეებით, რომელ-თა გაურცელების არეალი არხის სიგანეზე ზოგნ 4 მ-მდე აღ-ნევს, რაც საგრძნობოდ ამცირებს სახნა-სათეს სავარგუ-ლების ფართობებს. სწორედ ამიტომ მიზანშენონილია აღნიშ-ნულ ფართობებზე ჩატარდეს სამელიორაციო სამუშაოები.

7. დღეისათვის რეგიონის მუნიციპალიტეტებში ფუნქციო-ნირებს სამექანიზაციო საშუალებების ამხანაგობები, რომ-ლებიც შედავათიან ფასებში უნევენ მომსახურებას რეგიო-ნის ფერმერებს. მცირე და დიდი სამექანიზაციო საშუალებების ტექნიკური გამართვისა და სარემონტო სამუშაოების სერ-ვისისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს რეგიონში



ფუნქციონირებდეს სამექანიზაციო სერვისცენტრი, რომე-ლიც ალჭურვილი იქნება უახლესი სამექანიზაციო ტექნიკით, სათადარიგო ნაილებითა და დაკომპლექტებული იქნება კვალიფიციური სპეციალისტებით. აქედან გამომდინარე, მი-ზანშენონილია უახლოეს პერიოდში ამოქმედდეს მექანიზა-ციის სერვისცენტრი.

**რეგიონის მიზანი:**  
ა/ა) იპ აჭარის აგროსერვისცენტრის კონსულტაციი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კურსეპონდენტი

## ღია ცენტრი

# გთხოვთ, გამონახეთ დრო ჩვენთან შესახედრად

საქართველოს პრეზიდენტს, პატრი გიორგი მარგველაშვ-ილს; პარლამენტის თავმჯდომარეს, პატრი დავით უსუფაშ-ვილს; არების მინისტრს, პატრი ირაკლი ლარიშვილს:

ბატონებო, პირველ რიგში გილოცავთ საქართველოს ახალ პოლიტიკურ რეალობაში მშვიდობიანად გადასვლას. იმდენა, სამართლიანობის აღდგენის პროცესიც ბრძოლისა და დაპი-რისპირებების გარეშე ჩაივლის. ჩვენ, საქართველოს ფერმე-რები და სოფლის მეურნეობის მუშაკები, სულმოუთმელად ველოდით საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას და მთავ-რობის დამტკიცებას, ამიტომ ჩვენი პრობლემებით თავს არ გახსნებდით. შარშან, ნოემბრში, როდესაც საქართველოს ფერმერთა და სოფლის მეურნეობის მუშაქთა პროფესიონალები ჯერ არ იყო დაფუძნებული, საქართველოს პარლამენტს და მთავრობის მეთაურს მივმართეთ წერილით, სადაც კოკლედ მიმოვისილეთ ბოლო 6 წლის განმავლობაში ეროვნულ აგრა-რულ სექტორში ე.ნ. „ნაცრეფორმატორების“ დამანგრეველი პოლიტიკის შედეგად შექმნილი მძიმე მდგომარეობა და აქვე მიუუთითეთ ის საკითხები, რომლებიც სასწრაფოდ იყო მო-საგვარებელი, რათა გადაგვერჩინა და დროულად აგველორ-დინებინა მინასთან გასწორებული ეროვნული სოფლი და სოფლის მეურნეობა. იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურ-ნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოცხადდა და გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, ძველი ხელისუფლების დანატოვარი მემკვიდრეობა ჯერ კიდევ მძიმე ტვირთად გვანევს გლეხო-ბას, რაც იმაში გამოიხატება, რომ:

1. არ მოხდა სასოფლო-სამეურნეო მინებზე 400-500%-ით გაზრდილი ქონების (მიწის) გადასახადის გადახედვა და მი-სი გონივრულ ნიშნულამდე დაყვანა. ამის ნაცვლად გასული

წლის დასრულებისას, 2012 წლის 28 დეკემბერს, პარლამენტი კანონი მიიღო, რითაც არა მარტი წინა ხელისუფლების მიერ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მინაზე კატასტ-როფულად გაზრდილი კაბალური გადასახადი, არამედ დისკ-რიმინაციული გადასახადიც დაკანონისა და თან ადგილობრივ თვითმმართველობებს მიენიჭა უფლებამოსილება 150%-მდე კიდევ გაზარდონ გადასახადი. გაჩნდა გონივრული ეჭვი, რომ საქართველოს ბიუჯეტი ისეა დამოკიდებული სასოფლო-სა-მეურნეო მინების გადასახადებიდან ამოღებულ თანხებზე, რომ კანონპროექტის განხილვისათვის /უფრო მართებული იქნება – ნაკითხვისთვის/ დებუტატებმა დრო არ დაკარ-გეს. წინააღმდეგ შემთხვევაში იურისტები და არა მხოლოდ იურისტები ადგილად შეამჩნევდით დისკრიმინაციულ გადა-სახადაც და იმასაც, რომ ამ კანონით ადგილობრივი გლეხე-ბი კიდევ უფრო მძიმე დღეში ჩატარდებოდნენ და იძულებით იტყოდნენ უარს მინაზე;

2. არ მოხდა არც საურავების ჩამონიქრა, რეალური ნარჩე-ნის გაანგარიშება, სპეციალური გრაფიკით მისი ეტაპობრი-ვად გადახდა და არც შემოსავლების სამსახურის მხრიდან დადებული ყადაღების და საურავების მოხსნა. ამის გამო ფერმერების უმრავლესობამ ე.ნ. დაბალპროცენტიანი კრე-დიტების სიკეთით ვერ ისარგებლა და უცხოელებისათვის ქართული მინების მიყიდვაზე მორატორიუმის გამოცხადების მიუხედავად, საცხოვრებელი სახლის აუქციონზე გაყიდვის საფრთხის წინაშე დარჩენილები იჯახის თავშესაფრის გადა-სარჩენად ყველაფერზე მიღიან. ამ დროს დიდი და პატარა ჩი-ნოვნიკები რამდენიმე ათასიან ხელფასს არ სკერდებიან და პრემიებს და მეცამეტე ხელფასებს იღებენ იმ ბიუჯეტიდან, რომლის გამოცხადებებს ერთ თერთსაც არ პატიობენ;

3. არ ხდება სასაზღვრო ზოლის, ამ ზოლში მოქცეული და-სახლებული და დაუსახლებელი მიწების, აქ დასაქმებული ფერმერების მდგომარეობის შესწავლა და არც მათი შენარჩუნებისა და წახალისების ხელშემწყობი სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება. ქვეყნა წლებს განმავლობაში საომარ მდგომარეობაშია და სისხლით საკმაოდ ძევირი მიწები დავკარგეთ, მაგრამ უსისხლოდაც ბევრი მიწებს ვკარგავთ და-უზუსტებელი საზღვრებისა და ყოფილი ხელისუფლების ხელ-შეწყობითა თუ უნიათობით, რასაც სერიოზული შესწავლა და გამოძიება სჭირდება. დაკარგვა ადვილია, დაბრუნება – ძნე-ლი. ჩვენ კი დასაკარგი მიწა ნამდვილად არა გვაქვს;

4. არ ხდება შესწავლა, თუ რომდენად კანონიერად ხდებოდა უცხოელებზე ქართული მიწების მიყიდვა და არ ჩანს სახელმწიფოს ინტერესია ამ მიწების უკან დასაბრუნებლად. მართა-



ლია, გამოცხადებულმა მორატორიუმმა დროებით შეაჩერა ქართული მიწების უცხოელებზე გასხვისება, მაგრამ დროულად უნდა მოხდეს ამ საკითხის კარჩიებში მოქცევა;

5. არ მომხდარა ფერმერისა და ინვესტორის სტატუსისა და ფუნქციების განსაზღვრა. სამწუხაროდ, სამთავრობო დო-ნებზე არაერთხელ გაუღერდა, რომ ის უცხოელები ვინც მი-

ნები იყიდეს საქართველოში და ჩვეულებრივი გლეხებივით ამუშავებენ მას, ინვესტორები ყოფილან(?!). ისინი ჩამოვიდნენ საქართველოში დიდი თანხებით, აქ კი ჩვენი ფერმერები დახვდნენ გალატაკებულები, ანუ უცხოელები უკონკურენტო გარემობის მოხვდნენ. მათ ზურგს უმავრებენ თავიანთი ქვეყნიდან და ჩვენთან დახვდნენ „ყელზე ყულფჩამოცული“ ფერმერები, რომელთაც ვერაფრით ვუმსუბუქებთ მდგომარეობას;

6. არ შესწავლილა ე.ნ. სახელმწიფო პროგრამით ხორბლის და სიმინდის უხარისხმის შემოტანის, ფერმერებზე ძვირად მიყიდვის საკითხი და ამით გამოწვეული ზარალი. ეს ზარალი და 400-500%-ით გაზრდილი გადასახადი იყო ბოლო აკორდი, რომ საბოლოოდ წელში გატეხილიყო ფერმერი და გზა გახსნილიყო უცხოელი ე.ნ. ინვესტორებისთვის, რათა განუკითხავად ეყიდათ ქართული მიწა. ამ პროგრამით სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციისათვის“ გადასახდელი ვარი 67 ფერმერს ჯერ კიდევ დარჩის. სამწუხაროდ, ამ ფერმერებმა ვერც დაბალპროცენტიანი კრეფიტებით ისარგებლეს და ვერც სოფლის დახმარების პროგრამებში მოხვდნენ. ვალის დაბრუნების ბოლო დღე 30 ნოემბერი იყო, რის შემდეგაც დადგა მოვალე ფერმერების ქონების აუქციონის წესით გასხვისების საკითხი. ამით 67 ფერმერის და სხვა მოტყუებული ფერმერების მიმართ ახალი ხელისუფლება აგრძელებს ძველი ხელისუფლების პოლიტიკას, რაც არანარად არ წადგენა სოფლის მეურნეობას!

ბატონებო! ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ საკითხების, რის გამოსწორების გარეშეც შეუძლებელია ეროვნული აგრარული სექტორის აღორძინება, ჩვენი ფერმერების მოძლიერება და მათი უცხოელი კოლეგების, ე.ნ. ინვესტორების მიმართ კონკურენცუარიან გარემოში მოქცევა. იმისათვის, რომ უფრო უკეთ გაგაცნობა სოფლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა და ჩვენი ხედვები, გთხოვთ, გამონახოთ დრო ჩვენთან შესახვედრად.

პატივისცემით,  
ინენ გეორგიშვილი,  
საქართველოს ფერმერთა და ს/მეურნეობის მუშაკთა  
პროფესიონის პრეზიდენტი

## 05 თებერვალი

# სარწყავი სადრენაჟი არხების რეაბილიტაცია

საქართველოს გაერთიანებული სამელიორაციო სისტემების კომპანია ქვემო აღაზნის სარწყავი სისტემის ზონაში, სოფელ ვეჯინის მიმდებარედ ღია დამშრობი ქსელის რეაბილიტაციას ახორციელებს. სადრენაჟები სამუშაოები მიმდინარეობს გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფელ ვეჯინში, რომლის დასრულების შემდეგ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისთვის დაჭაობებული 924 ჰექტარი მიწის ფართობის კვლავ გამოყენება შესაძლებელი გახდება. აღნიშნული ფართობი 20 ნელზე მეტია დაჭაობებულია და სოფელ ვეჯინის მოსახლეობას ეკუთვნის. პროექტის ღირებულება 342,429 ლარია.

აღნიშნული სამუშაოები კომპანია ამ საკუთარი ძალებით ერთი თვის წინ დაიწყო და, სავარაუდო, 2014 წლის 1 მარტს დასრულება.

კომპანიას დაგეგმილი აქცე ქვემო აღაზნის ზონაში აღაზნისპირა მასივის დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია,

რასაც კომპანიის დაკვეთით სააქციო საზოგადოება „უკრაინის მელიორაციისა და წყალსამურნეო მმენებლობის სათაო საპროექტო-საძიებო და სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი“ დააპროექტებს.

„სადრენაჟები სამუშაოები ჩატარდება გურჯაანის მუნიციპალიტეტის სოფლების კარდენაბის, ბაკურციის, კოლაგის, ძირკოვის, ჭანდარის, ვაზი-სუბნის, ჩუმლაყის, ყიტანის და ქალაქ გურჯაანის 3000 ჰა დაჭაობებულ ფართობებზე.“

სადრენაჟები სამუშაოებს კომპანია საკუთრი ძალებით განახორციელებს. ობიექტი შეტანილია კომპანიის 2014-2017 წლების სარეაბილიტაციო სამუშაოების პროგრამაში. აღნიშნული პროექტის ნინასწარი, სავარაუდო ღირებულება 4,5 მლნ ლარი.

ქვემო აღაზნის სარწყავი სისტემის ზონაში აღაზნისპირა მასივის დამშრობი სისტემების რეაბილიტაციის სამუშაოები 2015 წელს დასრულდება.



# სასარგებლო და გთავისაზღვის 30%იტი იტალიაში

მიმღებარე ცლის წოვაზე ძართველ გვავინახოთა და მიმღებარე ჯუზი სამუშაო და გაცემითი მიზნის ვიზიტით იტალიას ვიზია და ადგილობრივ მიმღებარე და მიმღებარე საძირანობას გაეცნო. ვიზიტის ორგანიზაცია, ფინანსურ და ორგანიზაციულ მასაზე ასუსტი პრეზენტაცია გამოიჩინა SYNGENTA-ს საქართველოს წარმომადგენლობაზ აიღო. ვიზიტის შესახებ აზრი გამოიიარა SYNGENTA AGRO SERVICES AG საქართველოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ზურაბ ლომაძემა.

— ქართველი მევენახები და მეღვინები იტალიიდან წარუმლელი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ, სადაც ისინი გაეცნენ მათი იტალიელი კოლეგების საქმიანობას, ვაზის მოვლის, ასევე მავნებელ-დავადებებისგან დაცვის ახალ მეთოდებსა და საშუალებებს, ღვინის დაყენების თავისებურებებს და დავაგემოვნეთ მაღალხარისხიანი იტალიური როგორც თეთრი, ისე წითელი ღვინოები — გვითხრა ბატონმა ზურაბმა.

— აღსანიშნავია რომ მევენახეობისა და მეღვინეობის მხრივ იტალია საფრანგეთთან და ესპანეთთან ერთად მსოფლიო ლიდერია, ხოლო ბოლო ორი წელია ის მსოფლიოში ღვინის წარმოებით პირველ ადგილზე.

ძირითადი ვიზიტები გვექნდა იტალიის მევენახეობისა და მეღვინეობის უმთავრეს რეგიონებში: ემილია რომანიასა და ტოსკანაში, სადაც მთელი იტალიის სამრეწველო მევენახეობის 70%-ზე მეტია თავმოყრილი. ესაა ე.ნ. „იტალიის კახეთი“, როგორც მოსწრებულად უნდა ჩვენი დელეგაციის ერთ-ერთმა წევრმა წევრმა ოთარ ქურთიაშვილმა, თელავის ღვინის მარანის მევენახეობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა. სიტყვამ მოიტანა და გაგაცნობთ ჩვენი დელეგაციის დანარჩენ წევრებსაც. ესენია: თამაზ კონჭოშვილი, სს „ქინძმარაულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავჯდომარე, ბესიკ ბუზალაძე — კომპანია „ბადაგონის“ მთავარი აგრონომი, ტრისტან გაფრინდაშვილი, მეღვინეობის კომპანია „ხარებას“ მევენახეობის დარგის ხელმძღვანელი, ვასილ გიორგაშვილი — ამავე კომპანიის მთავარი სპეციალისტი, ნოდარ ქევზშვილი — მეღვინეობის კომპანია „ჯი ვი ეს“-ის მთავარი სპეციალისტი. ნანა ჩიგოგი-

ძე — Syngenta-ს პარტნიორი კომპანია „აგროტერიდინგ პლიუსის“ საკონსულტაციო სამსახურის უფროსი.

პირველად ვერციერ ემილია რომანიას რეგიონის ფიტოსანიტარიის სამსახურის სათაო ოფისს, სადაც სპეციალისტებმა დაწერილებით გაგვაცნეს ოლქის ფიტოსანიტარული მდგომარეობა, ვაზის, ხებილის, ზეთისხილის და ბოსტნეული კულტურების ძირითადი მავნებელ-დავადებები და მათი საწინააღმდეგო საშუალებები, სპეციალური პროგრამები, რომლებიც დამუშავებულია იტალიელი მეცნიერების მიერ და წარმატებით გამოიყენება პრაქტიკაში. საინტერესო და სასიამოვნო იყო იმის მოსმენა, რომ ამ რეგიონში უმეტესად იყენებენ Syngenta-ს პრეპარატებს, რომლებიც წარმატებით იცავენ მცენარეებს და მაღალი ხარისხის მოსავალს იღებენ.

მომდევნოდეს ვერციერთა მარეგიონში ერთ ერთი ძლიერ ღვინის მწარმოებელ კომპანიას, რომლის მეპატრონება და ხელმძღვანელია უმბერტო ჩეზარი. იგი 600 ჰა-ზე მეტ ვენახის და 30 ჰა ზე



თისხილის პლანტაციებს ფლობს, აქვს საკუთარი ღვინის საწარმო და უზარმაზარი სარდაფი, აწარმოებს ზეთისხილის ზეთსაც. მან თვითონვე დაგვათვალიერებინა თავისი საწარმო და საგანგებოდ მოვლილი ვენახები, დაგვაგემოვნებინა 3 სახეობის ღვინო. ამ საწარმოს სპეციალისტებმა გაგვაცნეს ვაზის მავნე ორგანიზმებისაგან დაცვის სისტემა, რომელიც Syngenta-ს პრეპარატებს ემყარება, როგორებიცაა: რიდომილ გოლდი, პერგადო, ტოპაზი, დინალი, თიოვიტ-ჯეტი, სვიტჩი, ამპლიგო და სხვ.

ტოსკანის რეგიონებში ჩვენი მასპინძელი იყო ოჯახური საწარმო-ანტინორი, რომელსაც მარტო იტალიაში კი არა, კალიფორნიაში, საფრანგეთსა და სამხრეთ აფრიკაშიც აქვს მრავალი ასეული ჰექტარი ვენაზი და საკუთარი ყურძნის გადამზუმებელი საწარმოები, ღვინის სარდაფები და ჩამოსასხმელი ხაზები, აწარმოებს საუკეთესო ხარისხის მშრალ თეთრსა და წითელ ღვინოებს, მათ შორის — შუშუნა ღვინოებსაც. საწარმოს სპეციალისტებმა



დელეგაციის წევრებს დაგვათვალიერებინეს საკუთარი ვენახები და ქარხანა, ლვინის საცავი, გაგვიზიარეს თავი-ანთი გამოცდილება ლვინის დაყენების შესახებ, ხოლო საწარმოს დირექტორმა, რომელიც ამავე დროს მთავარი მევენახე სპეციალისტია, დაწვრილებით გაგვაცნოვაზის დაცვის სისტემა, რომელიც ემყარება ასევე ძირითადად Syngenta-ს პრეპარატებს. ჩვენი სპეციალისტები დაინტერესდნენ ამ



პრეპარატებით და ალსანიშნავია, რომ ბევრი მათგანი საქართველოშიც წარმატებით გამოიყენება.

ალსანიშნავია ისიც, რომ მთელი ვიზიტის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყვნენ Syngenta-ს ემილია რომანიასა და ტოსკანის რეგიონების წარმომადგენლები, ყოველმხრივ ვერძნობდით მათ ყურადღებას და მონდომებას, რათა ჩვენი მოგზაურობა უფრო შინაარსიანი და ინფორმაციული ყოფილიყო.

ვიზიტის პროგრამით გათვალისწინებული იყო და დაგვათვალიერეთ ქალაქების: ბოლონიის, კიანტის, გროსეტოს, სიენას და ფლორენციის ღირშესანიშნაობები და სხვა კულტურის ობიექტები.

ვიზიტის დასკვნით ნაწილში მოვაწყვეთ ქართული ლვინოების დეგუსტაცია ჩვენი იტალიელი კოლეგებისა და მასპინძლებისათვის. ვიყავით ძალიან ამაყები, როდესაც იტალიელმა კოლეგებმა ძალზე მაღალი შეფასება მისცეს კომპანიების „ქინდმარაულის“, „თელავის ლვინის მარნის“, „ხარებას“, „ჯი ვი ეს“-ის როგორც თეთრ, ისე წითელ ლვინოებს.

ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ქართული ლვინო საზღვარგარეთ ჩვენი ქვეყნისათვის ნამდვილად სავიზიტო ბარათია. ეს ნათლად დავინახეთ მევენახება-მელეკინების ისეთ მსოფლიო ფლაგმანში, როგორიც არის იტალია.

აქვე გთავაზობთ დელეგაციაში შემავალი რამდენმე სპეციალისტის კომენტარს.

როგორც კომპანია „ბადაგონის“ მთავარი აგრონომი ბესი ბუზალაძე განმარტავს, ეს იყო ძალზე საინტერესო და ნაყოფიერი ვიზიტი იტალიაში, გავეცანით იტალიელი კოლეგების საქმიანობას, დაგვათვალიერეთ ვენახები, რამაც ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე. ყველაფერი

მოვლილი და დალაგებულია. გავეცანით მათ მიერ გამოყენებულ აგროტექნიკას.

ჩვენსა და მათ შორის ძირითად განსხვავებას თანამედროვე ტექნიკის მიღწევების გამოყენება წარმოადგენს. მაგალითად, ჩვენ ვაზის ასაკავად ხეს, აკაციის საყრდენებს ვიყენებთ, რაც

ყოველ მეორე წელინადს შესაცვლელი. ხოლო ისინი დაშტამბულ, მოთუთიავებულ რეინის საყრდენებს იყენებენ, რაც დიდხანს ძლებს და არც ყურძენს აზინებს.

### თავაზ კონციაშვილი სს „ქინდმარაულის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:

ეს იყო ძალიან საინტერესო სამუშაო ვიზიტი. დილიდან საღამომდე დატვირთულები ვიყავით, მოვიარეთ ბევრი ადგილი, ვენახები, ლვინის სანარმოები. გარკვეულ წარმატებებს ჩვენც ვალნევთ, მაგრამ იქ მაინც სხვა ვითარებაა, საკმაოდ ნინ არიან და ჩვენი მიზანიც ის არის, რომ ანალოგიურად გამართული ვენახები და ლვინის ქარხანა გვექინდეს. ალსანიშნავია ის ფაქტი, რომ სინუენტას წა-

რმომადგენლები მუდმივად ჩვნითან იყვნენ და ყველა წვრილმანს გვიხსნიდნენ. მცენარეთა დაცვის საკითხებზე სრული ტრენინგი ჩაგვიტარეს. ის კომპანიები წარმატებინ იყენებენ სინუენტას მცენარეთ მოვლის საშუალებებს და დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ჩვენც ვიყენებთ ამ პრეპარატებს ნაწილობრივ, მაგრამ რაც ვნახე, იმდენად მოხიბლული დაგრჩი, რომ ჩვენს სპეციალისტებს აუცილებლად გავუზიარებ იქ მიღებულ გამოცდილებას და რეკომენდაციას გავუწევ, რომ სინუენტას პრეპარატები უფრო მეტად გამოიყენონ.

### ცოდარ ქვეშიშვილი – მელვინეობის კომპანია „ჯი ვი ეს“-ის მთავარი სპეციალისტი:

საოცრად მოვლილი და დალაგებული ქვეყანაა. ძალიან მოვიხიბლე ნანახითა და განცდილოთ. ისე კარგად აქვთ ვენახები მოვლილი, წუნს ვერ დასდებ. ვაზის დაავადებებისადმი ბრძოლისა და მიღვორის თავისებური ხედვა აქვთ. ვენახში გაივლი, მოგენონება, დასუფთავებულია ყველაფერი. ვაზი ჯანსაღად დაგას, ქარხებში იდეალური წესრიგია. მუშაობენ უახლესი ტექნიკისა და ტექნოლოგიების გამოყენებით და შედეგსაც შესაბამისს აღწევენ. მე ბევრი ისეთი რამ დავინახე, რისი გადმოღებაც ჩვენთანაც თავისუფლად შეიძლება, თუნდაც ჩვენი ვაზის მოვლა იყოს. სინუენტას ვაზის მოვლის საშუალებებს იქ წლებისა მასობრივად იყენებენ და შედეგით კმაყოფილები არიან. ლვინოებიც საუკეთესო აქვთ. ამაყობენ კიდეც. არც ჩვენ გვაქვს ცუდი ლვინო, მაგრამ ვაზს მეტი მოვლა და ლვინოს კი პოპულარიზება სჭირდება და ისე ჩვენც გავმართავთ საქმეს. ამიტომ მეტიც ცოდნაა საჭირო.





# აგრარიკოს მეცნიერთა ფორუმი

28-30 ნოემბერს ქუთაისში სასტუმრო „პატრატის“ საპოლიტიკო დარბაზში ჩატარდა სამეცნიერო პოლიტიკული კონფერენცია – „აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების პომარციბაზიზაცია“.

კონფერენციის ორგანიზატორი იყო განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საკონფერენციო გრანტის CF 41/10-150/13 სამეცნიერო ხელმძღვანელი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი გულნარა ლვალაძე; კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე – აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი გიორგი ლავთაძე; საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე – უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, პროფესორი მერაბ ირემაძე; ანსუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი, შალვა კირთაძე; ანსუ-ს რექტორის მოადგილე, პროფესორი როლანდ კოპალიანი; საკონფერენციო გრანტის პასუხისმგებელი მდიგანი, დოქტორანტი გიორგი ჩაჩუა; საორგანიზაციო კომიტეტის წევრები: პროფესორი გოგი ჩირაძე; ანსუ-ს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი სპეციალისტი, პროფესორი ბადრი ზივზივაძე; ანსუ-ს აგრარული ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი რამაზ კილაძე; ანსუ-ს აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტის უფროსი, პროფესორი როზა ლორთქიფანიძე; ანსუ-ს პროფესორი, ტექნიკის მეცნიერების დოქტორი ქეთევან კინწურაშვილი; ანსუ-ს აგრარული ფაკულტეტის პროფესორი მაყვალდა ფრუიძე.

კონფერენციის მიზანი იყო საქართველოს აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების წარმოჩენა, მათი გაცნობა საქართველოს მთავრობის,

ადგილობრივი ფონდებისა და ბიზნესწრეებისთვის.

კონფერენციას ესწრებოდნენ: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერების დოქტორი თამაზ მარსაგიშვილი; სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ბიოლოგიის მეცნიერების დოქტორი, აკადემიკოსი გურამ ალექსიძე; სოფლის მეურნეობის მეცნიერების აკადემიკოსები: ვლადიმერ ცანავა, რევაზ მახარობლიძე, ჯემალ კაციტაძე, ელგუჯა შაფაქიძე, რეზო ჯაბინძე, აკადემიის სწავლული მდიგარი ანატოლი გიორგაძე; აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე სულიკო ბერიძე, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი ზურაბ მიქელაძე; საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ტექნიკის მეცნიერების დოქტორი ოთარ ქარჩავა; მცენარეთა დაცვის, ნიადაგმცოდნების, სატყეო მეურნეობის, მეფუტკრეობის, მეპრინველობის, ჩაის მრეწველობის, თამბაქოს მრეწველობის, მედაფრნივების, მეთხილეობის და სხვა დარგების განვითარების საკითხებს ეხებოდა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა განათლების მინისტრის მოადგილემ, რომელმაც დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა, გააცნო სამინისტროს გეგმები, რომელშიც გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში შეხვედრა იუნესკოს და ევროკავშირის წარმომადგენლებთან, რომელსაც სურვილი აქვთ მატერიალურ-ტექნიკური დახმარების განევის მიზნით გაეცნონ საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს, მათ შრომებსა და პროექტებს.

ნუნუ ჩაჩინანმა, თამარ ხაჩიძემ, მალხაზ მიქაბერიძემ, ნანა გოგიშვილმა, დალი სოლოლაშვილმა და სხვებმა.

კონფერენციას ასევე ესწრებოდნენ კომერციალიზაციით დაინტერესებული დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა რაიონის ფერმერები და ბიზნესმენები.

კონფერენციის მუშაობას უძღვებოდა ანსუ-ს სრული პროფესორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერების დოქტორი როლანდ კოპალიანი.

კონფერენციის მონაწილეებმა 30-ზე მეტი მოხსენება მოისმინეს, ნახეს გულნარა ლვალაძის სრულმეტრაჟიანი ფილმი იმერეთის რეგიონში სოფლის მეურნეობის არსებული მდგომარეობის შესახებ.

კონფერენციაზე კომერციალიზაციისთვის წარმომადგინეს პროექტები, რომელებიც ძირითადად დასავლეთ საქართველოში საკონსერვო წარმოების, ხილ-ბოსტნეულის შრობის, ბოსტნეულის გადამუშავების, მეფუტკრეობის, მეაბრეშუმეობის, მეფრინველობის, ჩაის მრეწველობის, თამბაქოს მრეწველობის, მედაფრნივების, მეთხილეობის და სხვა დარგების განვითარების საკითხებს ეხებოდა.

კონფერენციის მუშაობა შეაჯამა განათლების მინისტრის მოადგილემ, რომელმაც დადებითად შეაფასა კონფერენციის მუშაობა, გააცნო სამინისტროს გეგმები, რომელშიც გათვალისწინებულია უახლოეს პერიოდში შეხვედრა იუნესკოს და ევროკავშირის წარმომადგენლებთან, რომელსაც სურვილი აქვთ მატერიალურ-ტექნიკური დახმარების განევის მიზნით გაეცნონ საქართველოს აგრარიკოს მეცნიერებს, მათ შრომებსა და პროექტებს.



კონფერენციის მუშაობა საბოლოოდ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა გურამ ალექსიძემ შეაჯამა, რომელიც დაწვრილებით შეეხო საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ძირითად პრობლემებს და გამოთქვა სურვილი კონფერენციაზე წარმოდგენილი საინტერესო პროექტები გრანტის სახით შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო გრანტებით დაფინანსდეს.

კონფერენციაზე წარმოდგენილი და მიღებული იქნა დასავლეთ საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების ღონისძიებათა პროექტები, ასევე გადაწყდა, რომ ანალოგიური კონფერენცია გაიმართოს ყოველწლიურად და შეიქმნას აგრარიკოს მეცნიერთა კვლევის შედეგების კომერციალიზაციის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი.

**ნუზარ გაბაშვი,**  
**ანსუ-ს პროფესორ-ემერიტუსი,**  
**ტექნიკის მეცნიერების დოქტორი**

## აღიარება

# ქვემის ღვინის დაყენების ქართულ მეთოდს იუნესკომ კულტურული მემკვიდრეობის ძაგლის სტატუსი მიანიჭა

იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ღვინის დაყენების მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიაზე ქვემოთ დამტკიცირდებოდა კულტურული მემკვიდრეობის ძაგლის სტატუსი მიანიჭა.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის გურამ ოდიშარიას ხელმძღვანელობით საქართველოს დელეგაცია ქალაქ ბაქეში, იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-8 სესიას დაესწრო.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ: საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კულტურულ და ჰემანიტარულ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი ქეთევან კანდელაკი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი რუსუდან მირზიკაშვილი, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის საერთაშორისო ექსპერტი რუსუდან წურნუმია და ასოციაცია „ქართული ღვინის“ აღმასრულებელი დირექტორი თინა კეზელი.

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაცვის მეთოდის ნომინაციას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყნის თვის, რადგანაც ეს პირველი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლია, რომელიც იუნესკომ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენციის ამოქმედების შემდეგ დაამტკიცა.

ეს ახალი ნომინაცია აამაღლებს საქართველოს, როგორც უძველესი კულტურის მქონე ქვეყნის ცნობადო-

ბას საერთაშორისო მასშტაბით, რომელმაც არა მხოლოდ შემოინახა ქვევრის ღვინის დაყენების 8000-წლიანი ისტორია, არამედ დღესაც აცილებლებს მას ქართული სტუმართმოყვარეობის, ადამიანთა ურთიერთობისა და მათი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების აღმნიშვნელი ტრადიციებით.

ქვევრის ღვინის ტრადიციული დაცვის მეთოდის შეტანა იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში ხელს შეუწყობს ზოგადად ქართული ღვინის პოპულარიზაციას საერთაშორისო ბაზარზე.

2011 წელს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით



ქვევრის ღვინის დაყენების ქართულ შეთოდს უმაღლესი ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

2012 წლიდან კულტურის სამინისტროს მიერ შექმნილა მრავალდისციპლინარული სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მოამზადა იუნესკოს ნომინაციაზე წარსადგენი დოკუმენტაცია. იუნესკოს მოთხოვნით მომზადდა ქვევრის ღვინის დაყენების ამსახველი 10 წუთიანი დოკუმენტური ფილმიც (რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილი).

ქართული მხარის მიერ უკვე შემუშავებულია არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის შესახებ კანონის პროექტი, რომელიც მომავალში პარლამენტს წარედგინება განსახილველად.

ზოგადი ინფორმაცია: არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კონვენცია იუნესკომ 2003 წელს მიიღო. არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად

მიჩნეული ზეპირი გადმოცემები, ტრადიციული მუსიკა, ცეკვა, ინსტრუმენტები, საგნები, არტეფაქტები, რიტუალები, ფესტივალები, ხალხური რეწვა, ადათ-ჩვევები, კულტურული სივრცეები.

საქართველო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კონვენციას 2007 წელს მიუერთდა, რითაც სახელმწიფომ აღიარა არამატერიალური მემკვიდრეობის დაცვის აუცილებლობა და იკისრა კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები, რაც გულისხმობს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველყოფის მიზნით მის იდენტიფიკაციას, ინვენტარიზაციას, კვლევას, შენახვას, დაცვას, აღორძინებას, პოპულარიზაციას და ა.შ.

მარანი, ჯი

## ჩვენი სიმღიდე

# ჩარჩო - მაცროცელებული ცარცული

ქართულ ტრადიციულ მეღვინეობაში ათეულობით სხვადასხვა საღვინე ჭურჭელი გვხვდება, რომლებიც მზადდებოდა: თიხისაგან, საქონლის ტყავისაგან, სპილენძისაგან, მინისაგან, საქონლის რქებისაგან თუ ოქრო-ვერცხლისაგან. ზოგიერთი საღვინე ჭურჭლის სახელი ჩვენთან უცხო ენიდანაა დამკვიდრებული, თუმცა მარნის, სუფრის, ღვინის ტრანსპორტირებისა თუ ღვინის სასმისად ხმარებული მრავალფეროვანი ჭურჭლის აბსოლუტური უმრავლესობა ქართული სახელებითა სახელდებული. მართლაც ძალზე მრავალფეროვანია ქართული ტრადიციული საღვინე ჭურჭელი, რაც, ალბათ, ერთი მხრივ თავად ქართული ღვინის მრავალფეროვნებასაც უკავშირდება, ხოლო მეორე მხრივ იმას, რომ ქართული მეთუნეობა და კონკრეტულად მეჭურჭლეობა, როგორც ამ სფეროს ერთ-ერთი დარგთაგანი, საქართველოში მრავალ საუკუნეს ითვლის და, ამასთან, ძალიან მაღალ დონეზეც ყოფილა განვითარებული. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითად ქართული არქეოლოგიური აღმოჩენების არაერთი პრეცენვალე ნიმუშის მოტანა შეიძლება.

განსაკუთრებული გემოენებითა და ორიგინალობით ჩვენი მდიდარი არქეოლოგიური მასალიდან ღვინის სასუფრე ჭურჭელი გამოირჩევა, ხოლო ზოგიერთის, მათ შორის ძველი წელთაღრიცხვის მონაპოვრის მსგავსება დღევანდელ სასუფრე ჭურჭელთან პირდაპირ გაოცებას იწვევს. ეს გარემოება ალბათ იმას მიანიშნებს, რომ ჩვენში ქართული საღვინე ჭურჭლის დამზადებას, მოყოლებული არქაული დროიდან, წყვეტა არ ჰქონია და შინამრენველობის ეს დარგი ყოველთვის არსებობდა საქართველოში. ასე მოაღწია ჩვენამდე ქართულმა მეჭურჭლეობამ და უფრო კონკრეტულად კი - ღვინის სასუფრე ჭურჭლის

დამზადებამ. თუმცა, სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართული დახვენილი სასუფრე ჭურჭლის წარმოება დღეისათვის თითქმის მივიწყებულია, თუ არ ჩავთვლით იმ რამდენიმე მეთუნეს, რომლებიც არ ივიწყებენ და ამასთან აგრძელებენ ძირძველ ქართულ ტრადიციებს და კვლავაც ამზადებენ სუფრის დახვენილ საღვინე ჭურჭელს. ერთ-ერთი ასეთი სასუფრე ჭურჭელი, რომლის დამზადებაც შეწყვეტილი იყო და ამ ცოტა ხნის წინ აღდგა, არის „ჩარექა“. ჩარექა ღვინის სასუფრე ჭურჭელია. იგი ორიგინალური მოყვანილობისაა. უმრავლეს შემთხვევაში მას აქვს პატარა ტური და განიერი, გადგმული ძირი, ქუსლი. ჩარექა ხში-



რად წითელი წერნაქითაა მოხატული, ხოლო ზოგჯერ მას ამონაკანრების სახით აქვს სხვადასხვა დეკორები. ეს ჭურჭელი იტევს დაახლოებით ერთ ლიტრამდე ღვინოს. ჩარექა გვევლინება ასევე ჭურჭლის მოცულობის განმსაზღვრელ საწყაო ტერმინადაც, თუმცა ჭურჭლის მოცულობის ძირითად განმსაზღვრელ ტერმინად დღეისათვის მაინც ლიტრაა მიღებული. ქართულ ენაში გვხვდება ტერმინი „ნახევარჩარექაც“, რომელიც ჩარექასაგან მხოლოდ მოცულობით განსხვავდება და შეადგენს მის ნახევარს, ანუ დაახლოებით 0,3-0,5 ლიტრს. იმვიათად შევხვდებით მოჭიქულ ჩარექებსაც, რომლებიც ჩვეულებრივი,

მოუჭიქავი ჩარექისაგან გამოირჩევა მხოლოდ ფორმის მცირედი სხვაობით, თუმცა არა მოცულობით. უნდა აღინიშნოს, რომ ჩარექა ზოგჯერ, და განსაკუთრებით კი საქართველოს მთიანეთში საარყე ჭურჭელსაც წარმოადგენს. ჭურჭელი ჩარექა ჩვენ, ძირითადად ქართლ-კახეთში გვხვდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ის ჭურჭელი, რომელზეც ჩვენ ამ წერილში გვაქვს საუბარი, კახური წარმომბისაა და იგი ძირითადად იყალთოსა თუ მის მიმდებარე მეთუნეობის კერებში უმზადებიათ ახლო წარსულში.

თელავთან ახლოს, სოფელ იყალთოს მეზობლად მდებარეობს სოფელი ანცური, სადაც მოღვაწეობს მეთუნე - მეჭურჭლე რამაზ გახე-

ტიშვილი. მან ამ ცოტა ხნის წინათ გადაწყვიტა აელორძინებინა კახური ჩარექების დამზადება, რასაც შესანიშნავად გაართვა თავი. მან მოიძია ამ ჭურჭლის ძველი ნიმუში, რომლის მიხედვითაც იდენტური ჭურჭლის დამზადება დაიწყო. რამაზ გახეტიშვილი ახალგაზრდა მეთუნეა, თუმცა მას საკმაოდ გამოცდილი ხელი აქვს. მასთან ხშირად მიდიან უცხოელი ტურისტები და სიამოვნებით იძენენ მის ნაწარმს. ფოტოსურათზე გამოსახული ორი ჩარექადან მარცხენა რამაზ გახეტიშვილის მიერ ახლახანს დამზადებული ჩარექაა, ხოლო მარჯვენა დაახლოებით 100 წლისაა და იყალთოშია დამზადებული. რამაზი თავის ნამუშევრებს უმეტესწილად წითელი

წერნაქით ამჟობს. მას სახელოსნოცა და ქურაც საკუთარ ეზო-კარში აქვს გამართული. გარდა ამისა, მას აქვს საკუთარი რქანითლის ჯიშის ვენახი და მარანი, სადაც შესანიშნავ ღვინოსაც აყენებს. ახლო მომავალში იგი გეგმავს ალორძინოს უნიკალური კახური საღვინე ჭურჭელა „გოზაური“, რომელიც უკვე რამდენიმე ათწლეულია აღარ მზადდება კახეთში.

წარმატება ვუსურვოთ მეთუნე რამაზ გახეტიშვილს და იმედი ვიქონიოთ, რომ მის მიერვე სხვა დავინცებული ქართული საღვინე ჭურჭლის წარმოებაც ალორძინდება.

**მოწვევი პარისავალი,**  
მცხეთა, 2012 წ.



## მაყვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიები

ვიწყვავთ ახალი ეპონომიკური შესაძლებლობების ინიციატივის (NEO) მიერ მოწოდებული სახელმძღვანელოს „მაყვლის წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიების“ პიზდვას.



მაყვალი (ლუბუს-ის სახეობა) მაღალი ღირებულების მქონე ბუჩქოვანი კენკროვანი კულტურაა, რომლის მოყვანა საქართველოს მრავალფეროვან აგრო-კლიმატურ პირობებში წარმატებითაა შესაძლებელი. ამჟამად მაყვალი ქვეყანაში დიდი რაოდენობით არ მოჰყავთ, მაგრამ მისი წარმოების გაფართოება ძალიან პერსპექტიულია. მაღალი ხარისხის მაყვლის სტაბილური მიწოდების შესაძლებლობის მქონე ფერმერებს გასაღების ბაზრის დიდი პერსპექტივა ექნებათ როგორც ქვეყნის მიზნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. მაყვლის წარმოების გრძელვადიანი მდგრადიობისთვის საჭიროა მოყვანის და მოსავლის აღების შემდგომი ტექნიკოლოგიების მუდმივი გაუმჯობესება, ასევე, მოსავლის აღების პერიოდის გახანგრძლივება ჯიშების დივერსიფიკაციის და სათბურების გამოყენების გზით.

მაყვლის მოყვანა შეიძლება ძალიან მომგებიანი იყოს თუმცა მოყვანის ხარჯებიც საკმაოდ მაღალია. აუცილებელი წარმოების ხარჯები მოიცავს მაღალ-ხარისხოვანი სანერგე მასალის შესყიდვას, ნეტოოვანი სარწყავი სისტემის მონტაჟს, მცენარეთა დაცვის საშუალებების შეძენას და სასოფლო-სამეურნეო მოწყობილობების, საყრდენი სისტემის მოწყობის მასალას და ასევე დასარგავად, გასასხლავი, მავნებლებისგან დაცვის და მოსავლის აღების პროცესებისთვის საჭირო მუშახელს.

ამ სახელმძღვანელოს მიზანია მაყვლის წარმოების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის მოწოდება.

### ნაკვეთის შერჩევა

მაყვლის გასაშენებლად ადგილს შერჩევისას საჭიროა რამდენიმე ძირითადი ფაქტორის გათვალისწინება; მათ შორისაა ნიადაგის ტიპი და ნაყოფიერება, დრენა-

ჟი, ქარისგან დაცვა, განათება, წყლის ხელმისაწვდომობა და ამ ადგილზე წინამორბედი კულტურები. მაყვლის გასაშენებლად უნდა შეირჩეს კარგად განათებული ადგილი. მაყვალი არ უნდა დაირგას ხეების რიგების ან



სურათი 1. მაყვლის დეროზე კვირტების ზრდის ნაკლებობა გაზაფხულზე ზამთარში ყინვით გამოწვეული დაზიანების გამო.

შენობების ჩრდილში. საუკეთესოა დრენირების კარგი სისტემის მქონე, ბუნებრივად ნაყოფიერი, მაღალი ორგანული ნივთიერებებით მდიდარი (2-4%) ნიადაგი, სადაც pH-ის მაჩვენებელი მერყეობს 6.0 და 7.0 შორის. მაყვლისთვის ხელსაყრელია ქვიშნარი ან თიხნარი ნიადაგი, თუმცა ის კარგად ხარობს ასევე კარგი დრენაჟის მქონე თიხიან ნიადაგზეც. ნაკვეთის შერჩევისას წყლის დრენაჟის საკითხი ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან მაყვლის ფესვთა სისტემა ნიადაგში 1 მეტრის ან მეტ სიღრმეზეა განვითარებული. მიზანშეწონილი არ არის მაყვლის გაშენება ქვედა შეულწევი შრის მქონე ნიადაგის ნაკვეთზე. უანგბადის დაბალი შემცველობისადმი მაყვლის ფესვების გრძნობიარობის გამო ნიადაგის ზედაპირიდან 1 მეტრის სიღრმეზე არ უნდა იყოს გრუნტის წყლები.

მაყვალი უნდა დაირგას სწორ ან ოდნავ დაქანებულ მიწის ნაკვეთზე.

აუცილებელია ნარგავების გარშემო უზრუნველყოფილი იყოს ჰაერის სათანადო მოძრაობა. ჰაერის მოძრაობა ამცირებს ტენიანობას მცენარეთა გარშემო და ხელს უშლის ფოთლების დაავადების ხელშემწყობი პირობების შექმნას. ჰაერის მოძრაობა ასევე ამცირებს გაზაფხულზე მცენარეების მოყინვის საფრთხეს. როდესაც მცენარეები დარგულია შედარებით მაღალ, დაქანებულ ნაკვეთზე, ცივი ჰაერი მიემართება ქვევით, ნაკვეთის ყველაზე დაბალ შესაძლო წერტილში. ვინაიდან ცივი ჰაერი შეკავდება ყველაზე დაბალ

ნერტიოლში, ჰაერის სათანადო მოძრაობის პირობებში ნაკლებ სავარაუდოა გვიანი გაზაფხულის ყინვებით ნარგავების დაზიანება. მეორეს მხრივ, საჭიროა მაყვლის დაცვა ძლიერი ქარისაგან, რომელიც ამცირებს მცენარეთა სიძლიერეს სავეგეტაციო სეზონის განმავლობაში, ინვეს ბურქის ზრდის შეფერხებას და შეიძლება გამოიწვიოს ზამთარში დაზიანება. ზაფხულის ცხელ

ქარებს შეუძლია ნაყოფის დესიკაციის და სიდამწვრის გამოწვევა და მცენარის წყლის მოთხოვნილების გაზრდა. ცხელი ქარის ზემოქმედება გამოიწვევს ბურქის სიძლიერისა და ნაყოფის ზომის შემცირებას.

ბორცვიან და მთიან ნაკვეთებში მაყვალი, როგორც წესი, ყველაზე კარგად იზრდება დაცულ ჩრდილოეთ ფერდობებზე. შესაძლებელია სამხრეთის ფერდობების გამოყენება, თუმცა გასათვალისწინებელია, რომ ზამთარში დღის განმავლობაში მცენარეთა ტემპერატურა შეიძლება იყოს მაღალი. იანვარ-თებერვალში რამდენიმე დღის განმავლობაში თბილი ამინდის შედეგად შეიძლება მოხდეს ვეგეტაციის დაწყების პროცესი, მოგვიანებით დამდგარმა ცივმა ამინდებმა კი შეიძლება დააზიანოს ისინი.

ახალი წერვების დარგვა უნდა მოხდეს რაც შეიძლება შორს ველური მაყვლისა და უოლოსაგან. მაყვლის ნარგავებზე დაავადების გავრცელების პიროვნებისათვის ნაკვეთი-

დან 300 მეტრის ფარგლებში საჭიროა ტყის კენკრის ნარგაობის მოცილება.

## ზამთრის ყინვით გამოცვეული დაზიანება

მაყვლის ყველა ჯიში მგრძნობიარე ზამთრის ყინვებისადმი, თუმცა დაზიანების სიხშირე და სიმძიმე დამოკიდებულია ჯიშზე. მაყვალი კარგად იზრდება საქართველოს თბილ რეგიონებში და ნაკლებად ყინვაგამძლეა უოლოსთან შედარებით. ზამთარში მაყვალი შეიძლება სერიოზულად დაზიანდეს უჩვეულოდ ცივი ზამთრის და მინიმალური თოვლის საფარის პირობებში. გარდა ამისა, შემოდგომაზე თბილი ამინდის შემდეგ ტემპერატურის სწრაფმა დაცუმამ შეიძლება გამოიწვიოს ლეროების დაზიანება, რადგან მათი აკლიმატიზაცია და სათანადო გაძლიერება არ მომხდარა ტემპერატურის ვარდნამდე. ძლიერი მოყინვით გამოწვეული დაზიანების სიმპტომებია ახალი კვირტების განუვითარებლობას ან საერთოდ ჩავარდნა შემდგომი წლის გაზაფხულზე.

გაყინვით გამოწვეული დაზიანების შედეგად ზოგიერთი კვირტი ალაგალაგ იზრდება და ფესირდება განმობის ლაქები (სურათი 1).

**პირველი წლის ყლორტებზე მსხმიარე (პრიმოკენი)** ტაპის მაყვლის ჯიშები, რომელიც წაყოფს იძლევა გვიან ზაფხულის/შემოდგომის პერიოდში, ჩვეულებრივ, ყინვით არ ზიანდება. გაზაფხულზე ახალი „რიმოცანე“ სახეობის ჯიშის მაყვალი, რომელიც წაყოფს იძლევა მოგვიანებითს, გამოდის ვარჯის უბანში არსებული კვირტებიდან ან მინისქვეშა ფესვებიდან. ეს ქსოვილები განლაგებულია მაყვლის შედარებით დაცულ ადგილებში, ამდენად, შედარებით გამდლეა მოყინვით გამოწვეული



გამართული



ნახევრად გამართული



მცოცავი

სურათი 2. სამი ტაპის მაყვალი დეროების ვეგეტაციური ზრდის მახასიათებლებიდან გამომდინარე



სურათი 3. პირველი წლის ნაყოფი დეროზე და ნაწილში Primocane ტიპის მაყვალზე.

დაზიანებისგან, ვერტიკალურ ტოტებზე განლაგებული განსხვავებით. კვირტებისგან ზამთრის ყინვა აზიანებს მაყვლის ყველა ჯიშის დეროს იმ შემთხვევაში, თუ ტემპერატურა და-ეცემა -20°C-ზე დაბლა. ზამთრის მოყინვით დაზიანებულ დეროებს აქვთ მშრალი, მოყავისფრო გული, დაუზიანებელი მაყვლის ხასხასა მწვანე დეროსგან განსხვავებით. ზოგჯერ შედარებით დაბალმა ყინვამაც (-10-დან -20°C მდე) შეიძლება გამოიწვიოს მაყვლის კენწერული კვირტის განადგურება.

გაზიაფხულზე ზრდის განახლებისას ზამთარში დაზიანებული დეროულრო მგრძნობიარე ხდება დაავა-დებებისადმი. გაზიაფხულზე, ტემპე-რატურის მატებასთან ერთად, რო-დესაც იზრდება ფოთლების წყლის

მოთხოვნილება, ზამთარში დაზია-ნებული ქსოვილების ზემოთ დერო-ების უბნები ჭკნება და საბოლოოდ გახმება. ეს ძირითადად ხდება მაყვა-ლის ყვავილობის და ნაყოფის ჩამო-ყალიბების დროს. -27°C ტემპერატუ-რა ჩვეულებრივ ითვლება კრიტიკულ ნერტილად, რომელიც დამტუბპელია მაყვლის ყველა ტოტისათვის. თუმცა, ქსოვილების განადგურება შეიძლება მოხდეს შედარებით მაღალ ტემპერა-ტურაზეც, იმ შემთხვევაში, თუ დერო სათანადოდ არ გაძლიერდა და ყინვე-ბი სწრაფად დადგა.

### პიშის შერჩევა

დეროს ზრდის მახასიათებლების მიხედვით განასხვავებენ მაყვლის სამ ფორმას. ესენია: სწორმდგომი, ნახევ-რადამართულდეროიანი და მხვიარა (სურათი 2).

სწორმდგომ მაყვალს სწორი და მყა-რი დერო ნარმოექმნება. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ტიპის მაყვალს არ სჭირდება საყრდენი სისტემა ვერტი-კალური ზრდის შესანარჩუნებლად. მისი ნარმოებისას, როგორც წესი, მას შპალერებიანი საყრდენებით ამაგრე-ბენ. მაყვალს ბევრი კვირტი აქვს ფეს-ვებზე და ადვილად ივითარებს პირ-ველი წლის ყლორტებს ფესვებიდან, ასევე ვარჯზე არსებული კვირტები-დან. ნახევრად სწორმდგომი მაყვა-ლი ივითარებს სწორ დეროებს, რომ-ლებიც თითქოს ამართულია, მაგრამ იმავდროულად პორიზონტალური მდგომარეობისკენ იხრება. დერო-ებისთვის აუცილებელია საყრდენი შპალერის მოწყობა. მხვიარა მაყვალი ივითარებს ტოტებს, რომლებიც პო-რიზონტალურად იზრდება და მათ-თვისაც ასევე საჭიროა საყრდენი შპალერი. ნახევრად სწორმდგომ და მცოცავი ტიპის მაყვალს აქვთ ფეს-ვზე ნამოზრდილი კვირტები და რო-

გორც წესი, ნარმოექმნიან „პირველი წლის ყლორტებს“ ვარჯის კვირტე-ბიდან. ზოგადად მცოცავი მაყვალი ნაკლებად ყინვაგამძლეა და არ არის ადაპტირებული საქართველოს შედა-რებით დაბალტემპერატურიანი რე-გიონებისთვის.

მსხმოარობის მახასიათებლების საფუძველზე განასხვავებენ ორი ტიპის მაყვალს. ესენია: მეორე წლის ტოტებზე მსხმოარე (florican) და პირველი წლის ტოტებზე მსხმოარე (Primocane). მეორე წლის ტოტებზე მსხმოარე ტიპის მაყვლის ტოტები იზრდება პირველი წლის განმავლო-ბაში, გვიან შემოდგომაზე ფოთლები ცვივა და ზამთარში გადადის მოსვე-ნების მდგომარეობაში. ახალი ვეგე-ტატიური ზრდა ეწყება მეორე წლის გაზაფხულზე, ყვავილობს მაისსა და ივნისის დასაწყისში, მოსავლის ალე-ბა კი, რომელიც განსხვავებულია ჯიშების მიხედვით, ხორციელდება ივლისის შუა რიცხვებიდან სექტემ-ბრის შუა რიცხვების ჩათვლით. ამ ტიპის მაყვალი მოსავალს არ იძლევა დარგვიდან დაახლოებით 4 კვირაში. მსხმოარე რიმოცანე ტიპის მაყვა-ლი ნაყოფს ისხამს მიმდინარე წლის ტოტების ზედა ნაწილში აგვისტოდან აქტომბრის ჩათვლით რამდენიმე თვის განმავლობაში. მათ ასევე შეუძლიათ ნაყოფის მოცემა მეორე წლის ყლორტების ქვედა ნაწილში ივნისსა და ივლისში ითხვევირიანი მოსავლის სეზონის განმავლობაში, იმ შემთხვე-ვაში, თუ არ გაისხლა და გადაურჩა ზამთარში მოყინვას.

უმეტეს შემთხვევაში მიზანშეწონილა Primocane ტიპის მაყვლის ძირში გასხვლა გვიან ზამთარში მოსვენე-ბის პერიოდში. ამ შემთხვევაში ხილის მოსავლიანობა კონცენტრირებულია გვიან ზაფხულსა და ადრე შემოდ-გომაზე. პირველი წლის ტოტებზე



სურათი 4. მაყვლის დარგვამდე ნიადაგში უნდა დაემატოს დიდი რაოდენობის ორგანული სასუქი.

მსხმოიარე Primocane ტიპის მაყვალი ცოტა ხნის წინ გამოიყანეს და მთელ მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე ჯიშია ხელმისაწვდომი (სურათი 3). Prime-Ark 45 და ლუბენ ორი ახლად გამოყანილი Primocane ტიპის ჯიშებია, რომლებიც პერსპექტიული იქნება საქართველოს აგროკლიმატური პირობებისათვის.

საქართველოში შეიძლება გაშენდეს მსოფლიოს იმ ადგილებში კომერციულად წარმოებული მაყვლის ჯიშები, სადაც საქართველოს მსგავსი აგროკლიმატური პირობებია. საჭიროა ეს ჯიშები გამოიცადოს რამდენიმე რეგიონში, კერძოდ, სამეგრელოსა და შიდა ქართლში უფრო ფართოდ და კომერციული დანიშნულებით გაშენებამდე. საქართველოში წარმოებისათვის რეკომენდებულია სწორმდგომი ფლორიცანე ტიპის ჯიშები: uachita, navaho, pache და Natchez.

ნახევრად სწორმდგომი ფლორიცანე ტიპის რეკომენდებული ჯიშებია: Black Satin, Chester, Hull, Thornfree, Triple Crown და Loch Ness. Primocane ტიპის რეკომენდებული ჯიშებია: Prime-Ark 45 და Reuben.

Ouachita არის ძალიან მაღალ-მოსავლიანი, საშუალო პერიოდის სიმწიფის მსხმოიარე, უეკლო ჯიში, რომელსაც აქვს ძლიერი ზრდა, კომპაქტური ყლორტები დიდი, მიმზიდველი კენკრით. ავაპო საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ კენკრას შესანიშნავი არომატით. Apache საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც იძლევა მაღალი ხარისხის, მსხვილ, ტკბილ კენკრას. Natchez – საადრეო პერიოდის სიმწიფის უეკლო ჯიშია, რომელიც ასევე იძლევა მსხვილ, ტკბილ კენკრას შესანიშნავი გემოთი. ის გამძლეა დაავადებისადმი და ახასიათებს სტაბილურად მაღალხარისხოვანი ხილი. Black Satin არის საშუალო-საადრეო პერიოდის სიმწიფის მაღალმოსავლანი ჯიში, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ და ტკბილ ხილს. Chester არის მაღალ-მოსავლიანი, საგვიანო პერიოდის სიმწიფის ჯიში, რომელიც მდგრადია დაავადებისადმი. მისი ნაყოფი უფრო მკვრივია სხვა ჯიშებთან შედარებით და ტრანსპორტირებას კარგად იტანს. არომატი მისაღებია, მაგრამ Hull ან lack Satin-თან შედა-

რებით ნაკლებად ტკბილია. Hull არის ძლიერი და უეკლო ჯიში, რომელიც იძლევა მსხვილ, მკვრივ, ძალიან არომატულ, ტკბილ ნაყოფს.

Thornfree-ს აქვს საშუალო-მსხვილი პრიალა შევი კენკრა გამოკვეთილი არომატით. ლეროები ძლიერი და ნახევრად სწორმდგომია. მისი მოსავლის აღება იწყება ივლისის ბოლოდან აგვისტოს დასაწყისამდე. Triple Crown ფართოდ ადაპტირებული უეკლო, მაღალმოსავლიანი ჯიშია კარგი არომატით. Loch Ness ასევე ძალიან პროდუქტიული უეკლო ჯიშია შესა-

ლას, ნიადაგში საკვები ნივთიერებების და ორგანული სასუქის შეტანას და მრავალნლიან სარეველებთან ბრძოლას. ნიადაგით გავრცელებადი მწერების პოპულაციის, როგორიცაა მავთულა ჭიები, (შემცირების მიზნით მაყვლის დარგვამდე უნდა დაირგას ტექნიკური კულტურები ან დაითესოს მარცვლეული. ეს განსაკუთრებით რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ნაკვეთზე მანამდე მოჰყავდათ კორდი ან შინაური ცხოველებისთვის საკვებად განკუთვნილი პარკოსანი მცენარეები.



სურათი 5. სასოფლო-სამეურნეო იარაღი ეფექტურად შლის ნიადაგის გაუმტარ ფენას.

ნიშნავი გემოთი. ის საადრეო ჯიშია სწორმდგომი ლეროებით და დაავადებებისადმი შედარებით გამძლეა. მას აქვს ხანგრძლივი მოსავლის კრეფის პერიოდი. იძლევა პრიალა, მიმზიდველ, არომატულ და ტკბილ კენკრას. Prime-Ark 45 და Reuben – ორი წამყვანი ჯიშია, მათ მსგავსი მახასიათებლები აქვთ, იძლევიან მაღალი ხარისხის მოსავალს და აქვთ ხანგრძლივი მოსავლის პერიოდი.

მაყვლის დარგვამდე ნაკვეთი უნდა გაიწმინდოს წინა კულტურის დარჩენილი ნებისმიერი ნარჩენებისგან.

ნიადაგი უნდა მოიხსნას ან დამუშავდეს შემოდგომაზე, მომავალ გაზიაფხულზე მაყვლის დასარგავად.

### ორგანული ნივთიერებები

ნიადაგის ორგანული ნივთიერებები ძალიან საჭიროა მაყვლის კარგი განვითარებისათვის. ისინი აუმჯობესებენ ნიადაგის სტრუქტურას და მინერალური ნივთიერებები გადაჰყავთ შესათვისებელ ფორმაში გამოტუტვისგან. ორგანული ნივთიერებები ასევე აუმჯობესებენ ნიადაგის წყალტევადობას. მნიშვნელოვანია სათანადო ყურადღების მიქეცევა ნიადაგში ორგანული ნივთიერებების მაღალი დონის შენარჩუნებაზე. ორგანული სასუქი შეიძლება წარმოდგენილი იყოს ცხოველის ნაკელთან

### ნაკვეთის მოზადება

მაყვლის პლანტაციის გასაშენებლად ნაკვეთი, საუკეთესო შემთხვევაში, უნდა შეირჩეს მცენარეების დარგვამდე ერთი წლით ადრე. ნაკვეთის მოსამზადებლად და ნიადაგის დასამუშავებლად საჭიროა სათანადო დრო. მინის მომზადების სამუშაოები შეიძლება მოიცავდეს ნიადაგის დრენაჟის გაუმჯობესებას, pH-ის შეცვ-



**სურათი 6.** ნიადაგის ნიმუშის ასალებად გამოყენებული ინსტრუმენტი.

შერეული თივის სახით, მწვანე მცენარეულობით (სუდანურა, ჭვავი, საშემოდგომო ხორბალი) ან კომპოსტით (სურათი 4). მთელ ნაკვეთზე ჰქექტარზე დაახლოებით 30-დან 50-მდე ტონა ორგანული სასუქი უნდა დაემატოს და გაიშალოს.

ორგანული სასუქის ნიადაგის მიკროორგანიზმების მიერ დაშლისთვის საჭირო იქნება აზოტის დამატება გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ჩახნულია სიდერატი პარკოსანი მცენარეები. დახლოებით 6 კგ აზოტის აქტიური ნივთიერება (N) უნდა იყოს შეტანილი ყოველ ტონა ცხოველის ნაკელში შერეულ თივაზე და 12 კგ. უნდა დაემატოს არაპარკოსანი მცენარეების ორგანულ სასუქს ან მწვანე ნაკელს, რაც ხელს უწყობს მის დაშლას. ქათმის ნაკელის შემთხვევაში იგი შემოდგომაზე უნდა შეერიოს 5-10 ტონა ერთ ჰქექტარზე. იდეალურ შემთხვევაში ორგანული სასუქი ნიადაგში უნდა ჩაიხნას დარგვამდე 10-15 სანტიმეტრის სიღრმეზე.

მაყვლის გასაშენებელი ნაკვეთი უნდა მოიხნას, დაიფარცხოს, საფუძვლიანად დამუშავდეს ან როტაციული კულტივატორით დამუშავდეს სულ მცირე 30 სანტიმეტრის სიღრმეზე. იმ შემთხვევაში, თუ ქვენიადაგი გარკეულწილად შეუღწევადია, ქვენიადაგის სიღრმისეული გაფარვიერება მოხვნამდე გაზრდის მის შეღწევადობას. ქვენიადაგის დამუშავება ხდება იარაღის (ჩიზელი, რაპერი) გამოყენებით, რომელიც ამჟავებს მიწას და ნიადაგში ქმნის 75-100 სმ. სიღრმის ვიწრო არხს (სურათი 5).

ჩიზელი, რაპერი შლის ნიადაგის ქვედა ნაწილში განლაგებულ გამკვრივებულ შრეს. ქვენიადაგის დამუშავება ნაკვეთზე ორჯერ უნდა ჩატარდეს 90-გრადუსიანი კუთხით. ქვენიადაგის დამუშავებისას ნიადაგი არ უნდა იყოს სველი, რათა ქვენიადაგის დამუშავების დადებითი შედეგები არ გაანიტრალოს კომპაქტირებით გამოწვეულმა ზიანმა.

### ნიადაგის ანალიზი

ანალიზისთვის ნიადაგის აღება უნდა მოხდეს მაყვლის გასაშენებლად განსაზღული ნაკვეთის სხვადასხ-

ვა ადგილებიდან დარგვამდე 1 ნლის განმავლობაში (სურათი 6). ნიადაგთან დაკავშირებული პრობლემების გამოსწორება ყველთვის უფრო იოლია დარგვამდე, ვიდრე ბალის გაშენების შემდეგ. რეკომენდებულია ნიადაგის სულ მცირე 5 ნიმუშის აღება 1 ჰქექტარი ფართობიდან.

ანალიზისას უნდა შემოწმდეს ნიადაგის არის რეაქცია pH-ისადმი, ორგანული ნივთიერებების შემცველობა, მარილიანობა, მაკრო და მიკროელემენტების შემცველობა და ნემატოდების პოპულაციების არსებობა. ნიადაგის ანალიზი, როგორც წესი, ტარდება სპეციალიზებულ ლაბორატორიებსა ან ინსტიტუტებში.

შესაძლებელია ასევე ნიადაგის pH-ის, მარილის შემცველობის და გარკეული მინერალური ელემენტების საზომი მარტივი აპარატურის შეძენა.

### ნიადაგის არის რეაქცია pH

ნიადაგის pH-ს ძალიან დიდი გავლენა აქვს მაყვლისთვის საკები ნივთიერებების ხელმისაწვდომობასა და მცენარის ზრდის სიძლიერეზე.

მაყვლისთვის ოპტიმალური pH დონე 6.5+0.5-ია, მთელ ფესვთა ზონაში.

მნიშვნელოვანი გადახრა ნიადაგი pH-ის ამ ზღვრებიდან უარყოფითად აისახება მცენარეთა განვითარების დონეზე. ნიადაგის ოპტიმალური pH შექმნის ისეთ გარემოს, სადაც მაყვლის ფესვები შეძლებენ არსებული მინერალური ნივთიერებების საკმარისად შეთვისებას.

მაყვლის დასარგავად განკუთვნილი ნაკვეთის ნიადაგის pH დონე მაყ-

ვლის დარგვამდე უნდა შემოწმდეს რამდენიმე ადგილიდან აღებული ნიმუშების ანალიზით. აღებული უნდა იქნას ზედა შრის (ზედა 15 სმ) და ქვენიადაგის (30-60 სმ სიღრმეზე) ნიმუშები. თუ რომელიმე შრის pH 6.0-ზე ნაკლები ან 7.0-ზე მაღალია, საჭირო იქნება კირის ან გოგირდის დამატება, რათა შეიცვალოს pH ნიადაგის ტესტის შედეგებიდან გამომდინარე.

ნიადაგის pH-ის კორექტირება საკვები ნივთიერებების მართვის ერთერთი ყველაზე ეფექტური მეთოდია მაყვლის მოსავლიანობის გასაუმჯობესებლად. ნიადაგის pH-ის კორექტირება უნდა შესრულდეს მაყვლის დარგვამდე. მაყვლის დარგვის შემდეგ ძალიან როტულია ნიადაგის pH-ის შეცვლა.

ნიადაგის pH-ის მაჩვენებლის გაზომვა იოლად შეიძლება პორტატიული pH-ის საზომი ხელსაწყოთი, რომელიც აღჭურვილია სპეციალური ელექტროდით წყალბადის იონების კონცენტრაციის გასაზომად. ნაკლებად ზუსტ შედეგებს მივიღებთ ფერებიანი ინდიკატორების და ლაქმუსის ქალალდის გამოყენებისას, თუმცა ნიადაგის pH-ის დასადგენად შესაძლებელია ამ მეთოდების გამოყენებაც.

ნიადაგის pH-ის დასადგენად ტარდება შემდეგ პროცედურა: 1 წილი ნიადაგი ერვა 1 წილ გამოხდილ/დეიონიზებულ წყალს, რომელსაც აქვს pH-ის ნეიტრალური დონე – 7. ნიადაგის და წყლის ნარევი უნდა შე-



**სურათი 7.** ნიადაგის pH-ის საზომი პორტატიული აპარატი.

ინჯლენს დაახლოებით 1 წუთის განმავლობაში, შემდეგ კი დაფეხს დასალექად pH ელექტროდის ნარევში მოთავსებამდე არანაკლებ 30 წუთის განმავლობაში (სურათი 7). საზომი ინსტრუმენტზე დაიწერება ნიადაგის pH-ის მაჩვენებელი.

# მცვანილის [ქინძი, კამა, ცერეცო, რსერაჟუში] გავრცელების და მათ წინაღმდეგ ბიოლოგიური სამუალებებით პრეზენტაცია

მცვანილის მცვანილობა საყოველთაოდაა ცენგილი. მას ადამიანის რა-  
ციონური დილი ადგილი უკავია. თუ გავითვალისწინებთ, რომ იგი ძირითა-  
დად ნიღლი სახით მოიხსარება, მის ბიოლოგიური საშუალებებით ნარ-  
მოებას განსაკუთრებული მცვანილობა ენიჭება. ამითომ განვითარდებულ  
ქვეყნები მცვანილის მოვლა-მოყვანა ძირითადად გილობრივი საშუა-  
ლებებით, კერძოდ, ორგანული სასუბჰისა და გილორიანალის გამოყვა-  
ნებით ხორციელდება.

ამჟამად საქართველოში მწვანილი ძირითადად მინერალური სასუქებით, ქიმიური პრეპარატებითა და ნაკელით მოჰყავთ. ქიმიური პესტიციდები მა-  
თი მაღალეფექტიანობის მიუხედავად უარყოფითი თავისებურებებით ხა-  
სიათდება – ის მარტო იმ ობიექტებზე კი არ მოქმედებს, რომელთა წინა-  
აღმდეგაცაა გამოყენებული, არამედ პოტენციურად საშიშია ადამიანისა  
და გარემოსათვის; მათი მოქმედება მარტო მათი გამოყენების პერიოდში კი არ მულავნდება, არამედ ეს მოვლე-  
ნა (ტოქსიკური მოქმედება) შეიძლება ქრონიკული გახდეს; ზოგიერთი გა-  
რემოშიც გროვდება, საკვებ პროდუქ-  
ტებში ნელ-ნელა კონცენტრირდება, რეალურ საშიშროებას უქმნის ადამი-  
ანსა და სასარგებლო ფაუნას, ინვევს ეკოსისტემისა და ბიოცენოზის ცვლი-  
ლებებს. საქართველოში ყველა პირობ-  
ა არსებობს, რომ მწვანილის მოვლა-  
მოყვანა როგორც ღია, ისე დახურულ  
გრუნტში მოხდეს ადგილობრივი წარ-  
მოების ორგანული სასუქისა და ბიო-  
პესტიციდების გამოყენებით.

**დღეს ჩვენი ფერმერები შემდეგ პრობლემებს აწყდებიან:**

- აგროვადების დარღვევა – რაც ინვევს მცენარის აღმოცენებას არა-  
სელსარელი ამინდის პირობებში.

- ნაკელი-რომელიცარარის (კომპო-  
სტირებული) ფერმენტირებული, ამი-  
ტომ შეიცავს სარეველების თესლს,  
მრავალ უარყოფით მოკროორგანიზ-  
მებს, რაც წინაპირობაა სხვადასხვა  
სოკოვანი და ბაქტერიული დავადე-  
ბებისათვის ასევე მავნებლებს (მახ-  
რას ნემატოდას და სხვას)


• მორნცვის სისტემა (ირიგაცია) – ფერმერი ტრადიციულად და ჩვენი შეხედულებით არასწორად მწვანილს რწყავს სათბურში სარწყავი მილით, რაც ინვევს მცენარის ტრავმირებას და იგი ბევრ ენერგიას ხარჯავს დაწ-  
ვენილი მდგომარეობიდან გასწორე-  
ბაზე. პრობლემის გადაჭრა შეიძლება წვეთოვანი და დაწვემების სისტემე-  
ბის დაწერვით.

• არასწორი ვენტილაცია სათბურ-  
ში-სელს უწყობს ჭრაქისა და ნაცარის განვითარებას მცენარეზე. ამისათვის საჭიროა სწორი განიავება.

დღეისათვის არის კომპანიები, რო-  
მლებსაც ხელენიფებათ ბიო ფერმერს გადაწყვეტინონ თითქმის ყველა პრობლემა როგორც კონსულტაციე-  
ბით, ისე პრაქტიკული ინსტრუმენტე-  
ბითა და ტექნოლოგით. მათ შორის არის ჩვენი კომპანია, რომელიც ანარ-  
მოებს თხევად ორგანულ ბაქტერიულ სასუქსა და ბიოპესტიციდებს, რაც სა-  
შუალებას აძლევს ფერმერს მისთვის საინტერესო ფინანსური პირობებით ანარმონს ორგანული პროდუქტი.

ეს საშუალებები შეგიძლიათ გამო-  
იყენოთ ნაკელის მოხმარების შემთხ-  
ვევაშიც, რაც ძირეულად შეცვლის ნაკელის შემცველობას, ხარისხს და მის სასარგებლო თვისებებს. მაგალი-  
თად, თუ ადრე გლეხი ერთ სათბურზე იყენებდა 4 მანქანა ნაკელს, ახლა იგი-  
ვე და უკეთესი შედეგის მისაღწევად საჭირო იქნება ნახევარი ნაკელის რა-  
ოდენობა ბიოსაშუალებებთან კომბი-  
ნაციაში, რაც გაიაფების გარდა ფერ-  
მერს მეტ სარგებელს მოუტანს.

მწვანილზე აღინიშნება სხვადასხ-  
ვა მავნე ორგანიზმების გავრცელება,



სოკოვანი დაავადებებიდნ ამ კულტუ-  
რებზე აღინიშნება თეთრი სიდაბლუ, ნაცა-  
რი, ფუზარიოზი, სეპტორიოზი და სხვ.

რაც დიდ ზიანს აყენებენ მათ, ინვე-  
ვენ მოსავლის შემცირებას და ხარის-  
ხის გაუარესებას.

ფუზარიოზი ინვევს ფესვების სი-  
დაბლუს, მცენარეთა ფესვთა სისტე-  
მა სუსტდება და ადვილად ითხრება ნიადაგიდან. ხშირად ადგილი აქვს მათ გამუქებას.

მწვანილის ფესვთა სისტემის ლპო-  
ბას ინვევს აგრეთვე რიზოქტინიოზი, ალგერნარიოზი, ასკოხიტოზი, პითი-  
უმი და სხვ.

ნაცარი მორუხო თეთრი ფიფქის სახით ვლინდება ფოთლებსა და ღე-  
როებზე. მის განვითარებას ხელს უწყობს მაღალი ტენიანობა, არას-  
წორი ვენტილაცია და ჭარბი რწყავა, რომლის დროსაც მცენარეები უფრო ნაკელებ გამდლებას ავლენენ მიკრო-  
ორგანიზმების მიმართ.

სათბურის პირობებში, რწყვის რეჟი-  
მის დარღვევისას, ხშირად ადგილი აქვს დაავადების სწრაფ გავრცელებას.

სეპტორიოზი ინვევს ფოთლების თეთრ სილაქავეს, მწვანილს უკარ-  
გავს სასაქონლო ღირებულებას, მისი მასიური გავრცელებისას კი ადგილი აქვს ფოთლების მასიურ ცვენასაც.

მავნებლებიდან თითქმის ყველან გვხვდება ბუგრები, რომლებიც წუნით აზიანებენ მცენარის მინის ზედა ორგანოებს, ინვევენ ფოთლების დეფორმაციას (დახუჭუჭებას), გადააქვთ სოკოვანი და ვირუსული დაავადებები. სათბურის პირობებში ისინი ინტენსიურად მრავლდებიან და იძლევიან 12-14 თაობას.


ხვატარები ძირითადად ფესვის ყელის და ახალგაზრდა ფესვებს აზიანებენ. მატლები ღრღნიან ვეგეტირებულ ნაზარდსაც, ხოლო მცენარე იღუპება.

ბალინჯოები ძირითადად გავრცელებულია როგორც ლია, ისე დასურულ გრუნტში, წუნით აზიანებენ მინისზედა ორგანოებს, ინვევენ მცენარეთა ზრდაში ჩამორჩენას, ნაზი ფოთლების დეფორმირებას და საბოლოოდ მათ ჭრობას.

ხერხიერი გვხვდება როგორც ლია, ისე დასურულ გრუნტში, თუმცა ლია გრუნტში უფრო მეტი მავნებლობით

ხასიათდება. ისინი ღრღნიან მცენარის ყველა ორგანოს და დიდ ზიანს აუვნებენ მას.

მავნე ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით აუცილებელია თესლის თესვისწინა დამუშავება ბიო-



მავნებლებიდან გავრცელებულია ბუგრები, ხვატარები, ხერხიერი, ბალინჯო და სხვ.

ფუნგიციდების და ბიოინსექტიციდების კომბინირებული ნაზავით.

ამ სნარის დასამზადებლად 1 ლიტრი წყალში ვხსნით 10 მლ. ფიტოკატენას, 20 მლ. ბიოკატენას, 20 მლ. ლეპიდინს და 20 მლ. ტურინგინს.

აღნიშნულ ნაზავში ვათავსებთ 1 კგ-თესლს 12 სთ-ის ექსპოზიციით, რომ შემდეგაც ვაშრობთ და ვთესავთ.

სავეგეტაციო პერიოდში უნდა ჩატარდეს წამლობა აღნიშნული პრეპარატების კომბინირებული ნაზავით, რომელსაც ემატება 1% ორგანიკას სამუშაო ხსნარი.

იმედს ვიტოვებთ, რომ ეს სტატია პრაქტიკულად დაეხმარება საქართველოს ფერმერებს აქტიურად აუბან მხარი მსოფლიო ტენდენციას ბიომეურნეობების შექმნასა და ჩამოყალიბებაში, რაშიც ჩვენ მათ კვალიფიციურ თანადგომასა და ხელშეწყობას ვპირდებით.

**ბარლი მიმრის,**  
**მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის**  
**ცენტრის „ბიოაგროს“ დირექტორი;**

**ზარა გარელი,**  
**სამეცნიერო ხელმძღვანელი;**  
**ლია რაზაბაზარი,**  
**ლაბორატორიის უფროსი**

## — გიორგი გორგაძე —



## გიორგი გორგაძე მეურნეობათა პროცესიაცია

გიორგი გორგაძე მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ ზორბერთა გაურთისებასა, რომელის მიზანი სიცოცხლი-სუნარის (მდგრადი) გიორგი გორგაძეს განვითარებისა და სოფლის მოსახლეობის აძლიერების გაზრდის გზით გარემოს დაცვა და საძართვებლოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგრამაროვის გაუმჯობესება. ასოციაციის სამოქადაგო პრინციპებია: რვენის ტრადიციებს მისადაგებული თანამედროვე აზროვნება; სოფლის მოსახლეობის აძლიერი ჩართვა ძვირდეს ცხოვნებასა და განვითარებაში; ზეობრიობა; თანამედროვეობა სტავლასა და ქვედებაში; გარემოსდაცვითი ეთიკა და აკრიზესიონალიზატი.

### რატომ ვირჩევთ გიორგი გორგაძეს?

საქართველო მთიანი აგრარული ქვეყანაა, რომელიც მდიდარი სასოფლო-სამეურნეო ტრადიციებითა და კულტურული ფლორის მრავალფეროვნებითაა გამორჩეული. ჩვენი ქვეყნის მრავალფეროვანი გარემო პირობები მრავალი სხვადასხვა კულტურის მოსაყვანადაა ხელსაყრელი. საქართველოს კარგად იცნობენ მაღალი ხარისხის პროდუქციით: ღვინით, ხილით და ბოსტნეულით. მთავრიანი ლანდშაფტი და დანაწევრებული მინის ფართობები ქართველ გლეხს ხელს არ უწყობს გაზარდოს წარმოება, მიიღოს მოგება და გლობალურ სასაქონლო ბაზარზე კონ-



კურენტუნარიანი გახდეს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართულ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას გაუჭირდება კონკურენცია გაუწიოს ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის პირობებში წარმოებულ იაფ პროდუქტებს.

„ელკანას“ თვალსაზრისით, საქართველოს სოფლის მეურნეობა, სადაც ტრადიციულად ქვეყნის სამუშაო ძალის ნახევარზე მეტია დასაქმებული, მაღალი ხარისხის ბიოპროდუქციის წარმოების დიდი პოტენციალია. ბიობაზარი ერთადერთი ბაზარია მსოფლიოში, რომელიც, ეკონომიკური კრიზისისა და სხვა ბაზრების შემცირების ფონზეც კი, განუხრელად იზრდება.

## რას გულისხმობს ტერმინი “შილებიურნეობა”?

ბიომეურნეობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ისეთი სისტემაა, რაც გამორიცხავს ქიმიური სასუქების, პესტიციდების, აგრეთვე გენეტიკური ინჟინერიის მეშვეობით მიღებული ორგანიზმებისა და პროდუქტების გამოყენებას; იგი კანონით რეგულირდება და გულისხმობს, რომ მეურნეობის მართვისა და საკვების წარმოების მეთოდები მსოფლიოში აღიარებულ სტანდარტებს შესაბამებოდეს. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა უმრავლესობა ტერმინს – „ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტი“ არამართებულად მიიჩნევს და, შესაბამისად, მას პროდუქციის სისუფთავის აღსანიშნავად პრაქტიკულად აღარც გამოიყენებენ.

ბიონარმოებას ქვეყნები სხვადასხვა ტერმინით განსაზღვრავენ: გერმანულ და ფრანგულენოვან ქვეყნებში იყენებენ ტერმინს – „ბიოლოგიური“ (biologische, biologique), ესპანურში – „ეკოლოგიური“ (ecologico), ხოლო ინგლისურენოვან ქვეყნებში იხმარება ტერმინი – „ორგანული“ (organic).

საქართველომ გერმანულ-ფრანგული მოდელი აირჩია და კანონით დაადგინა ტერმინები – „ბიოპროდუქტი“, „ბიონარმოება“. ამასთან, საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, ბიოსერტიფიკატის არმქონე პირის მიერ ეტიკეტზე ისეთი წარწერის გაკეთება (სიტყვათა და შესიტყვებათა ნებისმიერი კომბინაცია, სადაც განსაზღვრებად იქნება „ეკო“, „ბიო“, „ორგანული“ და სხვ.), რაც მომხმარებელს აფიქრებინებს, რომ პროდუქცია წარმოებულია ბიონარმოების სტანდარტების შესაბამისად, კვალიფიცირდება როგორც ფალსიფიკაცია და ისჯება კანონით.

### „ელკანას“ შესახებ

ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია – ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ 1994 წელს დაფუძნდა. ამ პერიოდში ქართული სოფელი საწარმოო საშუალებების უქონლობასთან ერთად ინფორმაციისა და ცოდნის სრულ დეფიციტს განიცდიდა; ქვეყნაში არ მუშაობდა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინსტიტუტი, რომელიც ფერმერებს კვალიფიციური სასოფლო-სამეურნეო რჩევებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით დაეხმარებოდა. ასოციაცია „ელკანა“ სწორედ ფერმერთა დასახმარებლად შეიქმნა და მისი საქმიანობა თავდაპირველად მხოლოდ ფერმერთა სამრჩევლო მომსახურებით შემოიფარგლებოდა. ამჟამად ორგანიზაციაში ექვსი განყოფილებაა: სამრჩევლო, ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობის, აგრარული მრავალფეროვნების დაცვის, სოფლის, ტურიზმისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების (რომელიც აერთიანებს ტრენინგცენტრს, საგამომცემლო, ადვოკატირებისა და ლობის ქვეგანყოფილებებს), აგრეთვე ადმინისტრაცია და ფინანსური განყოფილება.

ორგანიზაციამ მუშაობა 9 წევრი ფერმერის მომსახურებით დაიწყო, თანდათან გაფართოვდა და 2012 წლის მონაცემებით ასოციაცია 900-ზე მეტ წევრს აერთიანებს, მათ შორის 17 ფერმერთა ჯგუფს, 12 ფერმერულ ასოციაციას, 3 ფონდს, 18 საწარმოს და 2 ფერმერთა კოოპერატივს. ასოციაციის წევრი, განურჩევლად სქესის, ასაკის, შრომისუნარისანობის ან ეთნიკური წარმომავლობისა, შეიძლება გახდეს საქართველოს წებისმიერი მოქალაქე, რომელიც დაწესებულია საქართველოში მდგრადი ბიომეურნეობების განვითარებითა და გარემოს დაცვით.



1996 წლიდან „ელკანა“ ორგანული სოფლის მეურნეობის მოძრაობის საერთაშორისო ფედერაციის (IFOAM) წევრია. IFOAM-ის სტანდარტებისა და ევროკავშირის რეგულაციის მოთხოვნების გათვალისწინებით, ასოციაციამ შეიმუშავა და რეგისტრაციაში გაატარა ბიოაგრონარმოების სტანდარტი, რომლის დაცვა ასოციაციის წევრი მეურნებისათვის სავალდებულოა. სტანდარტი „ელკანას“ ძირითადი სამუშაო დოკუმენტია, რომელიც შემდგომში რამდენჯერმე განახლდა და რომლის მოთხოვნების გათვალისწინებით „ელკანას“ წევრი ფერმერები მრავალფეროვან და ხარისხიან პროდუქციას აწარმოებენ.

წევრი ფერმერების პროდუქციის ბაზარზე შესაბამისი სტატუსით („ბიო“) განთავსებას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და სერტიფიცირების სისტემის ჩამოყალიბება სჭირდებოდა. „ელკანას“ ძალისხმევითა და შვეიცარიის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით დაფუძნდა ბიოსერტიფირების ორგანო შპს „კავკასსერტი“, რომელმაც 2008 წელს გერმანიის აკრედიტაციის ორგანოს (DAP) აკრედიტაცია მოიპოვა, ხოლო 2011 წლის ბოლოდან „კავკასსერტი“ ევრორეგულაციით დამტკიცებულ სერტიფიცირების ორგანოთა ნუსხაში მოხვდა და მის მიერ გაცემული ბიოსერტიფიკატი ევროპის ბაზარმა აღიარა. ბოლო მონაცემებით საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ფართობების 0.06% (1042 ჰა) სერტიფიცირებულია, როგორც „ბიო“ (გაშლი, ბრონეული, ხურმა, ყურძენი, მარცვლოვნები, პარკოსნები, ეთერზეთოვანი კულტურები).

2007 წლიდან „ელკანა“ სამრჩევლო მომსახურებისა და ტრენინგცენტრის საქმიანობის სფეროებში ხარისხის მართვის ISO 9001/2000 სერტიფიკატს ფლობს. მასერტიფიცირებელი კომპანია (Social-Cert-Ltd, მიუნხენი, გერმანია) ადასტურებს, რომ „ელკანაში“ არსებობს და მოქმედებს სისტემა, რომელიც ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას უზრუნველყოფს.

ფერმერთათვის დამატებითი შემოსავლების გაზრდისა და ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზებისთვის 2006 წლიდან „ელკანა“ სოფლის ტურიზმის განვითარების პროგრამის ფარგლებში ტურიზმის ბიზნესით დაინტერესებულ იმ ფერმერებთან მუშაობს, რომლებსაც აქტიურ საინიციატივო მოქალაქეების და აგრეთვე ადმინისტრაცია და ფინანსური განყოფილება.



აციამ ოჯახური სასტუმრო სახლების სტანდარტიც შეიმუშავა. საქართველოს ყველა რეგიონიდან დღეს 150-მდე საოჯახო სასტუმრო სახლი „ელკანას“ წევრია. მათი დიდი უმრავლესობა უკვე აკმაყოფილებს მომსახურების მინიმალურ მოთხოვნებს, ხოლო ნაწილი უკვე „1 მზის“ სერტიფიკატის მფლობელია და სტუმრებს მაღალი ხარისხის მომსახურებას სთავაზობს.

ბიომეურნეობების განვითარების ხელშეწყობის პარალელურად „ელკანა“ ტრადიციული აგრარული მრავალფეროვნების დაცვისა და მდგრადი გამოყენების საკითხებზეც მუშაობს. ამ მიმართულებით ორგანიზაციის ამ ჯერ კიდევ 1996 წელს დაიწყო მოქმედება. 2004-2009 წლებში „ელკანამ“ GEF/UNDP დაფინანსებული პროექტი „საქართველოს აგრობიომრავალფეროვნების აღდგენა, კონსერვაციი და მდგრადი გამოყენება“ განახორციელა, რომლის ფარგლებში აღდგენილია და ფერმერთა მეურნეობებში უკვე ითესება ძველი ქართული პარკოსანი და მარცვლოვანი კულტურები, მათ შორის ისეთი უძველესი ხორბლები, როგორიცაა დიკა და ახალციხური წითელი დოლი. დღეისათვის აღდგა პურის ცხობის ტექნოლოგიაც და ბაზარზე „დოლის პური“ გამოჩნდა.

2011 წელს „ელკანას“ ინიციატივით და საქართველოსა და სომხეთში ნიდერლანდების სამეცნის საელჩოს სოციალური გარდაქმნების პროგრამის (MATRA) დაფინანსებით დაიწყო პროექტი „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი შინაური ცხოველების კონსერვაცია და მდგრადი გამოყენება საქართველოში“. შინაურ ცხოველთა საკონსერვაციო ფერმა ზემო ხოდაშენში 2012 წლის გაზაფხულიდან ფუნქციონირებს და იქ უკვე გამრავლებულია კახური ღორი, ხევსურული ძროხა, მეგრული თხა, ქათმის ადგილობრივი პოპულაციები. „ელკანა“ გეგმავს შინაურ ცხოველთა ადგილობრივი ჯიშების კონსერვაციის პროგრამის ფარგლებში, ერთის მხრივ, საქმიანი კონტაქტები დაამყაროს იმ ფერმერებთან, რომლებიც დაინტერესებული არიან ადგილობრივი ჯიშების მოშენებით და, მეორეს მხრივ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებთან, პირველ რიგში საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტთან. ასევე იგეგმება ადგილობრივი ჯიშებისა და მათი პროდუქტების პოპულარიზება.

2013 წელს ფერმერთა ჯაუფს, რომლებიც ჩართული არიან საფრთხის წინაშე მყოფი მინაური ცხოველების კონსერვაციის საკითხებში, შემდგომი გამრავლების მიზნით, გადაეცათ კახური გოჭები, ქართული პოპულაციის წინილები და მეგრული თხა. ფერმერები მზად არიან გაამრავლონ ეს ცხოველები და შემდეგ მეზობლებსაც გადასცენ.

2013 წლის 30 ივნისს საქართველოს მთავრობამ მიიღო დადგენილება „ბორნარმობების შესახებ“, რაც ხელს შეუწყობს მეტიინტერესი გაჩნდეს ბიომეურნეობის, როგორც ბიზნესის მიმართ, გაიზარდოს მომზმარებლის მოთხოვნა უსაფრთხო, ხარისხიან საკვებზე. ვიმედოვნებთ, უახლოეს მომავალში საბაზრო სტანდარტების შესაბამისი ხარისხიანი ქართული ბიოპროდუქცია თავის ადგილს დაიმკვიდრებს ადგილობრივ და ევროპულ ბაზრებზე.

**განახლის გიმარტინი**,  
„ელკანას“ საზოგადოებრივი  
ურთიერთობების განყოფილების ხელმძღვანელი

## საერთაშორისო გირჩვით

# კატუბლის გასხვალა

საჭიროა თუ არა ალუბლის გასხვლა – საჭიროა და, აგავე დროს, ძალია აუცილებელია! გასხვლის პროცესის სცორად ნარმართვისას, ზრდის სიძლიერების და მსხმიარობის გათვალისწინებით, მნიშვნელოვნების უმჯობესდება მცენარის სიცოცხლისუნარისანგა, იზრდება მსხმიარობა და დიდად ხანგრძლივი განვითარება მცენარის აროგული ულოცვისას და ბაზარზე „დოლის პური“ გამოჩნდა.

გასხვლის დროს მიყენებული ჭრილობების შეხორცება – არასწორია წარმოდგენა, თითქოს გასხვლამ შეიძლება მიყენებული ჭრილობების რთულად შეხორცება – ე.წ. წებოსდენა გამოინვიოს. ეს მოსაზრება ძირითადად ეფუძნება იმ ფაქტს, რომ ხშირ შემთხვევებში სხლავენ ასაკოვან, უკვე დაავადებულ მცენარებს, რომლებიც გასხვლის გარეშეც განიცდიან წებოსდენას. სალი ალუბლის ხეებზე, კარგი მოვლის პირობებში, სხვლის დროს სწორად გაკეთებული

ჭრები უფრო სწრაფად და უკეთესად ხორცდება, ვიდრე ვაშლის ხეებზე.

ალუბლის ხის გასხვლა დარგვის მომენტში – გაზაფხულზე თუ წერილი დარგვა დროულად მოხერხდა და წერილი სალი, დაუზიანებელი და ეარგად ნაზარდია, პირველი გასხვლა დარგვისთანავე უნდა ჩატარდეს. თუ დარგვის პროცესი დაგვიანდა და მცენარის კვირტები დაბერილია, გასხვლის პროცესი უჯვობესია გადავიდოთ მომავალი წლისათვის ან ამოვჭრათ მხოლოდ

ზედმეტი ყლორტების ნაწილი ისე, რომ არ დავამოკლოთ დარჩენილი ყლორტები. დარგვის პირველ წელს მცენარის ყლორტებზე, თუ მათ შევჭრით, ხშირად იღვიძებს მხოლოდ საზრდელი კვირტები; უმეტეს შემთხვევაში ეს კვირტები ხმებან, განსაკუთრებული არის მცენარის განვითარებული, გავალი, გვალვიანი პერიოდია.

ალუბლის მცენარის გასხვლის საუკეთესო პერიოდი – შესაძლებელია თუ არა ალუბლის გასხვლა კვირტების დაბერვის მომენტში? ალუბალი უნდა გაისხლა გაზაფხულზე (თებერვლის ბოლოს – მარტის დასაწყისში), ყინვების ჩავლის შემდეგ. ასალგაზრდა ნარგაობა აუცილებლად კვირტების დაბერვამდე (გალვიძებამდე) უნდა გაისხლას. დაგვიზებული გასხვლის შემთხვევაში ყლორტები

ბი ხმობას არ იწყებს, მაგრამ იგვიანებს მათი ზრდა-განვითარება. მსმოარე მცენარეები კარგად იტანენ დაგვიანებულ გასხვლასაც კვირტების დატერვის (გაღვიძების) შემდეგაც თითქმის ყვავილობის პერიოდამდე. მეცნიერი ზამთრის პირობებში, როდესაც შეინიშნება მცენარის ნაწილების ყონვით დაზიანება, უმჯობესია გასხვლა გადაიდოს კვირტების დაბრვამდე, როდესაც შესაძლებელია დაზუსტება, მცენარის რომელი ნაწილები დაუზიანებია ზამთრის ყინვებს. რა ნიშნით შეიძლება განისაზღვროს კვირტების დაბრვა? – კვირტი მოსვენების პერიოდში დაფარულია მუქი ნაცრისფერი, მუქი ყავისფერი საფარით, კვირტის დაბრვისას მერქნის ქერცლებს შორის ჩნდება ღიამწვანე ფერის ზოლები, შემდეგ კი კვირტის ზემოდან გამოჩნდება ფოთლის მწვანე წვერი.

ალუბლის მცენარის წლიური ნაზარი კარგი და სტაბილური მოსავლის საწინდარია.


იმისათვის, რომ ალუბლის ხემ რაც შეიძლება დიდი ხნის განმავლობაში შეინარჩუნოს უხვი მსხმოიარობა და კარგად დატოტიანდეს, საჭიროა ინტენსიური მოვლა და გასხვლის პროცესის დროულად ჩატარებით წლიური ნაზარდების შენარჩუნება: ბუქების ფორმებზე - 35-40 სმ სიგრძეზე, ხე-მცენარეებზე - არანაკლებ 30 სმ სიგრძის. სწორი გასხვლის შედეგად მცენარის ნაზარდებზე უფრო მეტი რაოდენობით ჩაისახება თაიგულის კვირტები, რაც მომავალი წლის მოსავლის გარანტია.

როგორ ჩავატაროთ ალუბლის პირველი გასხვლა დარგვის შემდეგ, საჭიროა თუ არა ჩინჩხის ტოტების დამოკლება?

დარგვის შემდეგ, პირველივე გასხვლისას, რომელსაც ატარებენ ხე-მცენა-

რის ფორმირებისათვის, დადგინდება, მიღებული ნაზარდებიდან რომელი უნდა დარჩეს ცენტრალურ გამაგრძელებლად, რათა ჩინჩხის ტოტებისა და მცენარის ფორმა კარგად განვითარდეს.

მცენარის ჩახშირებული ვარჯი რომ გახალვათდეს, მიზანშენილია ჩინჩხის მოვაცილოთ ზედმეტი ტოტები არა მე-



**პირველი გასხვლა დარგვის შემდეგ**  
მარცხნივ: გასხვლამდე; მარჯვნივ: გასხვლის შემდეგ.  
პუნქტირით ნაჩვენებია წარმოიშვილი ნაწილები.

ზობელი, არამედ ერთიანეთისაგან 8-15 სმ-ით დაშორებული კვირტებისაგან. მეზობლად განვითარებული კვირტებისაგან ნაზარდების ჯგუფების შერჩევისას, სასურველია სამზე მეტი ყლორტის დატოვება.

ნაზარდები სწორად უნდა იქნეს განლაგებული სივრცეში. პირველ რიგში ამოიჭრება ყველაზე ქვემო განტოტება (ა-1) იმ ვარაუდით, რომ მცენარეს უნდა ჰქონდეს 25-40 სმ სიგრძის შტამბი. შემდეგ შედარებით სუსტი და ნაკლებად საიმედონია განლაგებული (ა-2). განტოტებებისაგან, რომლებიც განლაგებულია ერთმანეთის პარალელურად

და ძალზე ახლოს, უნდა დავტოვოთ შედარებით ძლიერი ნაზარდები, რომელიც შტამბს უფრო მცირე კუთხით უკავშირდება და უფრო კარგადა განლაგებული მეზობელი ტოტების მიმართ. ასევე შტამბის პირველ განტოტებამდე, შტამბზე დარჩენილ ჩინჩხის ზედმეტი ტოტებს ვჭრით რგოლზე (ა-2). დარჩენილი ჩინჩხის ტოტები უნდა დავაკოლოთ, თუ ეს აუცილებელია ზრდაში გათანაბრებისთვის სუსტ ნაზარდოან შედარებით (ბ). გასხვლის შედეგად ყველა ნაზარდების დაბოლოება დაახლოებით ერთ ზომაზე უნდა დადგეს, ხოლო ცენტრალური გამაგრძელებელი ჭარბობდეს მათ 80-ით, მცენარის სიძლიერის მიხედვით. ახალგაზრდა ნაღაობაზე ჩინჩხის ტოტების დამოკლება აუცილებელია. პირველი გასხვლისას მნიშვნელოვანი დამოკლება წინაპირობაზე ზედმეტი რაოდენობის ძლიერი 2-წლიანი ნაზარდის მონესრიგებისა; ამის შეუსრულებლობა ინვენტ ვარჯის ჩახშირებას. ამ ტოტების მნიშვნელოვანი ნაწილი შემდეგი სხვლისას მაინც ამოსაჭრელი გახდება.

თუ ნაზარდების უმეტესობა თანაბრადა გაზრდილი და ნაკლებია ცენტრალურ გამაგრძელებულზე, შემოვიფარგლობ მხოლოდ ზედმეტი და არასასურველი მიმართულებით განვითარებული ნაზარდების ამოჭრით. თანაბრად განვითარებული ნაზარდები უნდა დავაკოლოთ, თუ ისინი სასურველი სიგრძისაა, მაგრამ საჭიროა მათი გამაგრება. გასხვლის დროს არ უნდა დავტოვოთ ზედმეტი, უნაყოფო ნახილები, რომლებიც სწრაფად ხმება, ხელს უშლის შეხორცებას და შეძლება გახდეს წებოს დენადობის მიზეზი.

**მთა თოვლითი,**  
**„ელკანას“ მრჩეველი მეხილების დარგში**

## გამოხაზურა

# ტყის ჩასურსების გამოყანებისა და კვლავნარმოების რეგიონული პროცესები

## საჭარის ტყების გამოყანებისა და კვლავნარმოების პროგნოზები

მოკლედ! შესანიშნავი სამეცნიერო ნაშრომია. გაფრთხილებთ! თუ დროულად არ მივხედავთ აჭარის ბუნებასა და მის გვირგვინს – ტყებს, ასევე წლობით ნალობლიავებ ბუნების ძეგლებს – რელიეტებს (რელიეტი ლათინური სიტყვაა რელიცტუმ – ნარჩენი, სამეული რელიეტები კოლხეთში ძელქვა, წაბლი. ქართული ენციკლოპედია) და სხვა მრავალ სიმდიდრეს დავკარგავთ, რომლებიც ჩვენმა ნინაპრებმა კარგად შემოგვინახეს. სტატიის ავტორები გვაფრთხილებენ, თუ დროულად არ მივხედეთ ამ პრო-

ლემას, შთამომავლობისთვის შესანახი მრავალი რელიეტი აღარ დაგვრჩება. ქართველთა საუბედუროდ, მე-20 საუკუნე და 21-ე საუკუნის დასაწყისი კარგს არაფერს გვიქადის. მიზეზი რუსეთთან ომი, ჩვენი უპასუხისმგებლობით გამოწვეული ეკომიგრაცია და ათეულათასობით ეკომიგრანტია.

საუბედუროდ, მომავალს კარგი პირი არ უჩანს. ქვეყანაში მეწყერი და ნუალდიდობები გახშირდა. ამას თუ ხუდონჰესაც დავუმატებთ, არავინ იცის რა მოხდება!



ავტო და სარკინიგზო ავარიების დროს დამნაშავე მძღოლს და მეისრეს თუ მაშინვე სჯიან, მიკვირს, ტყეების უსისტემი გაჩანაგების გამო მთავრობიდან რატომ არავინ ისჯება?! ამას ხომ სოფლების ნგრევა და ადამიანთა მსხვერპლიც მოჰყება ხოლმე.

წყალდიდობამ სურამთან რამდენიმე ადამიანი შეიწირა. მეცნიერებმა დაადგინეს, რომ მიზეზი ტყეების ძირითადი ფუნქციის – ნიადაგდაცვის და წყალმარევულირებელი ფუნქციის დაკარგვაა. პასუხი არავის უგია, რადგან სატყეო მეურნეობის სისტემა მთლიანად მოშლილი და განადგურებული იყო.

შურნალ „საქართველოს სატყეო მოამბის“ 2013 წლის აგვისტოს წომერი მხოლოდ წოებრის დასაწყისში გამოვიდა, ისიც ენთუზიასტ მეტყევეთა შემწებით. გასულ წლებში არსებობდა შესანიშნავი, პოპულარული შურნალი

„საქართველოს ბუნება“... შემდეგ გაზეთი „ეკოლოგი“... დღეს ამ დღეშია უურნალი „სატყეო მოამბე“. როდემდე შეიძლება ასე გაგრძელება?

გაჭირვებიდან გამოსვლა ისევ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილა მეორემ იყისრა. „ეკოლოგიურ ვითარებას პატრიარქის მიერ დაარსებული ფონდი მოაგვარებს“ – იტყობინება გაზეთი „საქართველოს რესუბლიკა“ (23 ოქტომბერი).

„სატყეო მოამბის“ წომერში განხილულია მსოფლიოს მეტყევეობაში არსებული კლასიკური ჭრები ნლოვანებისა და ფერდობთა ქანობების მიხედვით, რადგან საქართველოში ყველა ჭრა, როგორც მთავრიან ქვეყანაში, მხოლოდ და მხოლოდ აღდგენითა. მთავარი სარგებლობის ჭრის დროსაც კი ვითვალისწინებთ ტყის ფართობებზე ტყის აღდგენას.

ტყელმა გამოცდილმა მეტყევებმა ლერი ჭოჭუამ და რეზო ობოლაძემ ლაკონურად განმარტეს ყველაზე კლასიკური ჭრა ერთის გარდა – ე.წ. სოციალური ჭრა, რომელიც რატომდაც სოციალისტურთან ასოცირდება, მაგრამ სოციალიზმის დროსაც კი ასეთ უმსგავსობას ვერავინ გაბედავდა, რადგან ეს ნიშნავს ჩვენი ტყეების სრულ განადგურებას. ალბათ ამიტომა, ბატონში ლერიმ და ბატონმა რეზომ ე.წ. სოციალურ ჭრასთან მიახლოებული სპეციალური ჭრა და მისი მიზანი, რომ შემოგვთავაზეს.

უბედურება ისაა, რომ ქვეყანაში შექმნილი კრიზისები არ მთავრდება. (ეკოლოგიური, ენერგეტიკული თუ ფინანსური), რასაც თან ტყეების გაჩეხვა-განადგურება ახლავს. ხსნა კი ჯერ არსად ჩანს.

**ორისტან ჩრდილიშვილი,**  
საქართველოს დამსახურებული მეტყევე

## მაცხოველეობა

# ჯიშიანი ფური გაზრდილი წველადობის საწილავია

ფურიდან მარცხელური პროდუქციის მიღება ტექნიკური, ვეზერიცარულ-სანიტარული, ზოროფერიცარული, საერთო პროდუქციული და ეპიზოოტის საწილადოების დამსახურების შეუსრულებლად გაუძლებელია. ფურის პროდუქტების საწილავი გაზრდილი წველადობის საწილავის ხელში მიმდინარეობს.

სახელმწიფომ უნდა დააფინანსოს სანაშენე საქმის დეპარტამენტი, რათა მას საშუალება პერნების საოჯახო და ფერმერულ მეურნეობების დაინერგოს მეცნიერების მიღწევები და უცხოეთის გამოცდილება. პირველ რიგში, უნდა აღვადგინოთ ფურების ხელოვნური დაოცენება, უარი უნდა ვთქვათ უჯიშო მნარმოებლებით ფურების თავისუფალ დაგრილებაზე. დღეისათვის საქართველოში ფურების და დეკეულების დაგრილებაზე. დღების თვითნებურად, სოფლის ნახირებში გაშვებულია არასრულნლოვანი

და არასრულფასოვანი დაუკოდავი მოზრები, რომლებიც დეკეულებისა და ფურების დაგრილებას ახდენენ. ეს გარემოება უარყოფითად მოქმედებს ძრობის ჯიშურ გაუმჯობესებაზე და მიღებული თაობა ხასიათდება ძალიან მცირე წველადობით. ამიტომაცა, რომ საქართველოში ფურების წველადობა წელინადში 800-1000კგ-ის ფარგლებში მერყეობს მაშინ, როდესაც განვითარებულ სახელმწიფოში ფურების საშუალო წველადობა წლიურად 6000-10000კგ-ია. ასეთი ჩამორჩენილობიდან თავის დაღწევა

შეიძლება მაშინ, თუ ფურებისა და დეკეულების დათესვლას ვაწარმოებთ ხელოვნურად, მაღალპროდუქტიული კურობის სპერმით, ანდა ვიყოლიებთ ჯიშიან მაღალპროდუქტიულ კურომნარმოებლებს. უნდა გამოვიყენოთ ხელზე დაგრილებისათვის ფურის მიყვანა კუროსთან. ფურის მაკეობის ხანგრძლივობა 270-285 დღეა.

საქართველოში რელიეფური და ბუნებრივი კლიმატური პირობების მიხედვით მეძროხეობის განვითარება განსხვავებულ მიღვომას მოითხოვს. ქალაქების მიმდებარედ და კურორტების ახლოს გავზარდოთ მეტი მერძეული ჯიშის ფურები; ახლა მეცხოველეთა ძირითადი ამოცანა უნდა გახდეს მოუხდელი რძით და რძის პროდუქტებით მოსახლეობის მომარაგება. ამ ზონაში დღეისათვის საო

ჯახო და ფერმერულ მეურნეობებში ზოგიერთთვები ცდილობენ მოაშენონ წაბლა კავკასიური, ველის წითელი, ლატვიური წაბლა, შავჭრელი, ჰოლ-შტინური ჯიშის პირუტყვი. ამ ჯი-შების ფურების მონაწველი ჩვენთან 2000-3000კგ-ს არ აღემატება მაშინ, როდესაც მათი ნლიური წველადობა თავიანთ სამშობლოში 5000-10000კგ-მდეა. ამის მიზეზი ის არის, რომ ჩვე-ნი ფერმერები ვერ უზრუნველყოფენ პირუტყვის სრულფასოვან კვებას და მოკლა-შენახვას.

კავკასიონის და აჭარის მთიანეთის ზონაში, სადაც ცხოველთა საკვების 80-85% ბუნებრივი საკვების სავარ-გულებიდან მიიღება, თივის დამზა-დება და ბინებთან მიტანა ძლიერ გაძნელებულია. აქ უმთავრესად გავ-რცელებულია ადგილობრივი მთის ძროხა. სხვა კულტურული ჯიშის პი-რუტყვის მოშენება შეუძლებელია რთული რელიეფური პირობების გა-მო. ქართული მთის ჯიშის პირუტყვის გამრავლება უნდა მოხდეს ხალასი მოშენების გზით, მაღალპროდუქტი-ული ფურებისა და კურორების შერ-ჩევით და შეწყვილებით. შეჯვარები-სათვის მიზანშენონილი იქნება ქარ-თული მთის პირუტყვის შეჯვარება ჯერსიულ ჯიშთან. ამ ჯიშის წლიური წეველადობა 4000კგ-ია 5-6% ცხიმით. ამასთანავე, ხასიათდება წერილნა-ყოფიანობით (ხბოს წონა დაბადები-სას 22-25კგ.) ხბო სწრაფად იზრდე-ბა, დეკეული ადრე მავდება და ორი წლის ასაქში ხბოს იგებს. მოგებისას გართულებები გამორიცხულია. და-სავლეთ საქართველოს სარძოო და მომთაბარეობის ქვეზონაში, რომე-ლიც მოიცავს კოლხეთის დაბლობის ცალკეულ რაიონებს, სადაც ფურე-ბის შენახვა სტაციონალურად ხდება და მისდევენ მომთაბარეობას, მეგ-რული წითელი საქონელი ფარბობდა. მათი სულადობა უკანასკნელ წლებში მკვეთრად შემცირდა. მათი გამრავ-ლება უნდა ვაწარმოოთ შერჩევა გა-დარჩევის გზით ხალასად.

აქაურმა ფერმერებმა უნდა აღადგინონ ძველი ტრადიციები, გამოიყენონ ალპური და კოლხეთის დაბლობის საძოვრები. მართალია, აქ ფურუების მონაცველი მცირეა, მაგრამ მომთაბარეობის პირობებში პროდუქცია ძლიერ იაფი და მომგებიანია. ამავე ზონაში შესაძლებელია სტაციონარული შენახვით მოვაჭენოთ ჰოლშტინური ჯიშის პირუტყვი. ამის საკუეთე-

სო მაგალითია სენაკის ფერმა, სადაც ფურების ლაქტაციური მონაწველი 5500კგ-ზე მეტია. ფურის მაღალპ-როდუქტიულობის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაღალხარისხიანი საკვების დამზადებით (თივა, სილოსი, სენაჟი, ძირსვენა-ბალჩული, კონცენტრატი) და სრულფასოვანი ულუფით. მაკე ფურის წველა მოგებამდე 2 თვით ადრე უნდა შევწყვიტოთ. შემდეგ მშრალობს პერიოდში საჭიროა კარგი კვება და მოვლა, რათა ის მოგების პერიოდში სანაშენე შეხორცებაში იყოს. დაგვიანებული გაშრობა (40 დღეზე ნაკლები) იწვევს ხბოს წონის 10-15%-ით, წველადობის 15-20%-ით შემცირებას. ფურის წველადობა მოგებიდან 300-305 დღე გრძელდება. ამ პერიოდის მანძილზე იძლევა დიდი რაოდენობით რძეს. პირველი 100 დღის განმავლობაში მონაწველი მთელი ლაქტაციური მონაწველის 40-50%-ს შეადგენს, შემოდგომის 100 დღისა - 30-35%-ს და ბოლო თვეების მონაწველი - 20-25%-ს. ფურის განწველა მოგებიდან



განრიგით წველა ზუსტად იმავე დროს ხდება. წველის დაწყებამდე საჭიროა ჩატარდეს ცურის მოსამზადებელი მასაჟი. ის ხდება აუჩქარებლად, ხელების მოსმით ხან მარჯვენა და ხან მარცხენა მხარეს, სიგრძეზე და სიგანეზე. შემდეგ ცურის მაღლა არტყმით ისე, როგორც ხბო აკეთებს, ასევე ხდება ცურთითების მასაჟი ხელის მოჭერით ისე, რომ რძე არ გამოვიდეს. წველის ბოლოს საჭიროა კვლავ ცურის მასაჟი. ცნობილია, რომ ცურში რძის უკანასკნელი ნაკადი 9-10% ცხიმს შეიცავს და მისი ჩამონველა მნიშვნელოვნად ადიდებს მოწვევილი რძის ცხიმის შემცველობას. ცურის გულმოძგინე მასაჟი განსაკუთრებით საჭიროა ლაქტაციის დასაწყისში პირველნაყოლი და ახლად

მოგებული ფურებისათვის. ფურების წველის პროგრესული მეთოდია მექანიკური წველა. კარგად განვითარებული ქვეყნების მეძროხეობის ფერმებში ფურებს ხელით არ წველიან, ჩვენთან კი ფურების წველა ძირითადად ხელით ნარმოებს. ეს მძიმე და შრომატევადი საქმეა. ფურის სარძეო პროდუქტიულობაზე გავლენას ახდენს: მექანიზრება, ჯიში, პირველი მოგების ასაკი, ფურების შენახვის პირობები, მოგების სეზონი, ფურის ცოცხალი მასა, ლაქტაციის პერიოდი და კვება. ზაფხულის პერიოდში რაციონის საფუძველს შეადგენს მწვანე საკვები, რომელსაც ცხოველი იღებს საძოვარზე ძოვებით ან საკვებურიდან. მაღალმოსავლიან საძოვარზე ძოვებისას ფურები დღე-ღამეში მოიხმარენ 60-70კგ მწვანე ბალახს, ხოლო საკვებურიდან 100კგ-მდე ახლად გათიბულ ბალახს. ზაფხულის პერიოდში, თუ მწვანე საკვების უკმარისობაა, ფურს დამატებით აძლევენ სხვადასხვა სახის საკვებ საშუალებებს. მაგალითად, 200კგ ცოცხალი მასის მქონე ფურის დღიური მონანვე-



ლ 10კგ-ია. დღე-ლამეში საჭიროა 7,6 საკვები ერთეული 800გრ მონელება-დი პროტეინი, 50გ კალციუმი, 30გრ ფოსფორი, 60გრ სუფრის მარილი, 35კგ წვნიანი საკვები (სილოსი, ჭარ-ხალი, კარტოფილი) უხეში საკვების საშუალო ნორმა 6კგ, მაქსიმალური ნორმა 11კგ, სრულფასოვანი კომბი-საკვები ყოველ ლიტრა მოწველილ რძეზე 150გრ. უფრო მეტი წონისა და წველადობის ფურებს შესაბამისად ესაჭიროებათ მეტი საკვები. მერძე-ული მეცხველეობის ეფექტურობა დიდად არის დამოკიდებული საძოვ-რული კვების ორგანიზაციაზე, რად-გან წლიური მონაწველის 50-60%-ს

ცხოველების ვეტერინარიულ შე-მოწმებას. ფურების წველადობის გადიდება მიიღწევა უხვი კვებით, დროული წველით, ცურის გულმოდ-გინე მასაჟით და კარგი მოვლით. განწველის პერიოდში განისაზღვრება კვების ნორმა იმ ვარაუდით, რომ მან მოგვცეს დამატებით 4-6კგ რძე. საკვების ავანსად მიცემა მოგებიდან 12-15 დღის შემდეგ იწყება, როდესაც აღდგება ცურის ნორმალური მდგო-მარეობა. მაგალითად, თუ ფური ჩვე-ულებრივ ინველის 10კგ-ს, საკვებს აძლევენ 14კგ რძეზე. თუ ფური უხვ კვებას წველადობის გადიდებით პა-სუხობს, მას აძლევენ უფრო მეტ

საკვებს. იმ შემთხვევაში, თუ დამა-ტებითი საკვების მიცემა არ მოქმე-დებს ფურის წველადობის გადიდე-ბაზე, საკვების რაოდენობას კი არ ამცირებენ, არამედ ცვლიან საკვე-ბი ულუფის შემადგენლობას ისეთი საკვებით, რომელიც ხელს უწყობს წველადობის გადიდებას (საკვე-ბი ჭარხალი, ტურნეფსი) ცილოვანი კონცენტრატებით, საკვები საფუ-არით, კარგი ხარისხის თივით. თუ ზაფხულში ფურებს საძოვარზე საკ-ვები არ ჰყოფნით, მათ დამატებით აძლევენ კონცენტრატებს. ჯიშიანი ფურების ყოლა ყოველი ფერმერის ნატვრაა, მაგრამ მათი შენახვის პი-რობებიც გამორჩეულია. ისინი ვერ იტანებ მოუვლელობას, შიმშილს და უყურადღებობას. ცხოველთა პერს-პექტიული ჯიშების გავრცელება და მაღალი პროდუქტიულობის მიღწევა სოფლის ორგანობას ძირითად საქ-მიანობად უნდა იქცეს.

**ცულის განისაზღვრება**,  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
სოფლის მეურნეობის მინისტრის  
მოადგილე, ვეტერინარიის  
მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი

## აქციური თავა

# რა უაირატესობა მიენიჭოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს

კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საძმია-ნებისთვის, ქონების გადასახადით არ იგეზრება;

მოგების გადასახადით არ იგეზრება სასოფლო-სამეურნეო საძმიანობით მი-ლაგული გამოსავალი და გრანტი;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გა-დასახადის ზღვარი ცლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის სარგებლობები იმ საგადასახადო შეღა-ვათვითაც, რომელიც სოფლის მიურნებასთან მიმართებაში მოქმედებს.



სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუ-სის მინიჭების პროცესი დეკიმბრიდან დაიწყება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, სამინისტრო „კოოპერატივების მოტობლოკებითა და ხელის სათესით უზრუნველყოფის პროექტს“ განახორციელებს. ამასთან, კოოპერატივს გრანტის მიღების შესაძლებლობა ექნე-ბა. განსაზღვრულია კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება. ასევე კოოპერატივები საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ.

საქართველოში ფერმერული მეურნეობებისა და კოო-პერატივების განვითარება ევროკავშირის ერთ-ერთი რე-კომენდაციაა. ევროპის სამეზობლო პროგრამა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარებისთვის – ENPARD-ის ფარგლებში საქართველო 2013-2016 წლებში 40 მილი-ონ ევროს მიიღებს.

საქართველოს პარლამენტმა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონი“ 2013 წლის 12 ივლისს მიიღო. კანონის მიხედვით, შეიქმნა საჯარო სამართლის



იურიდიული პირი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო“, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.

„საქართველო მცირემინიანი ქვეყანაა. თავის დღოზე გაუაზრებლად ჩატარებული მინის რეფორმის შედეგად ძალიან დანაწევრდა მინები. მოსახლეობის 90 %-ზე მეტს მფლობელობაში აქვს მხოლოდ 2 ჰექტარამდე ფართობის სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთები, რომელზე მუშაობაც არარენტაბელური და არაეფექტურია. აღნიშნული პრობლემების მოგვარების და მცირე ფერმერთა დახმარების მიზნით დაინტენი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შექმნის საკანონმდებლო ინიციატივაზე. სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და პარლამენტის აგრარული კომიტეტის ერთობლივი მუშაობის შედეგად პარლამენტმა მიიღო კანონი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ, რის საფუძველზეც ჩვენ შევქმნით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო. ახალშექმნილი სამსახურის ძირითად მიზანს წარმოადგენს ფერმერთათვის ისეთი მექანიზმების შეთავაზება, რომელიც ხელს შეუწყობს კოოპერატივების გრძელვადიან განვითარებას და მათ წარმატებულ მუშაობას. პირველ ეტაპზე მთელი ქვეყნის მასშტაბით დაინტენდა ფართომასშტაბიანი საინფორმაციო კამპანია, რათა გლეხებს დეტალურად ავუსტანათ, როგორ უნდა მოხდეს კოოპერატივის შექმნა, რა დადებითი მხარეები აქვს და რა სარგებლობას მოუტანს მათ კოოპერატივში გაერთიანება. მიმდინარე წლის დეკემბრიდან კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო ფერმერთა გაერთიანებებისთვის სტატუსის მინიჭების პროცეს-საც დაინტენდებს,“ – განაცხადა სოფლის მეურნეობის მინისტრმა შალვა ფიფიაშვილი.

მინისტრის თქმით, კოოპერატივების ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს: სოფლად დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას; თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვას; მინების გამსხვილებას, კონსოლიდაციას; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციასა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში განევრიანება ნებაყოფლობითია; მისი მართვა დემოკრატიული პრინციპით ხორციელდება; ყველა წევრი თანასწორია; მნიშვნელობა არა აქვს, თუ რა რაოდენობის ქონებით შევა გლეხი კოოპერატივში – 100 ჰექტარისა

და 1 ჰექტარის მფლობელი გადაწყვეტილებას ერთნაირად იღებს. ერთ წევრს ერთი ხმა აქვს.

რა პროგრამების განხორციელებას აპირებს სახელმწიფო კოოპერატივების ხელშესაწყობად? სოფლის მეურნეობის სამინისტრო „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოტობლოგებითა და ხელის სათესით უზრუნველყოფის პროექტს“ განახორციელებს. პროექტი ითვალისწინებს კოოპერატივებისთვის 1700 ერთეული მოტობლოკისა და 2000 ხელის სათესის შეღავათიანი პირობებით, ან ლიზინგით (გრძელვადიანი იჯარა-გამოსყიდვის უფლებით) გადაცემას;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სარგებლობს უპირატესობით, მიიღოს გრანტი (საჩუქარი); განსაზღვრულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებში დასაქმებულების უფასო სწავლება-გადამზადება და კვალიფიკაციის ასამაღლებელი სხვა პროგრამები; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, როგორც გაერთიანება, კრედიტუნარიანად ითვლება და საკრედიტო რესურსი მისთვის უფრო ხელმისაწვდომია; რა საგადასახადო შეღავათებით ისარგებლებენ კოოპერატივები?

კოოპერატივის ქონება, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის, ქონების გადასახადით არ იბეგრება;

მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი და გრანტი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივისთვის არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომელიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

როგორ შევქმნათ კოოპერატივი? კოოპერატივის შექმნისთვის საჭიროა გლეხების გაერთიანება დარგების მიხედვით.

მაღალმთიან რეგიონში კოოპერატივის წევრთა რაოდენობა 3-ზე, საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე კი 5-ზე ნაკლები არ უნდა იყოს;

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს: 18 ხელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში და ფლობს პაის.

**ქართული პრესის მასალების მიხედვით**

# სართულრისო რკინიგზა უნაკლო უდი იყოს

მოწევე საუკუნის ოთხმოციან წლებში ახალქალაქისა და საერთოდ თრიალითის მოსახლეობამ გარაბლა-ახალქალაქის რკინიგზის „ზარ-ზეიმით“ გახსნით შესანიშნავი საჩუპარი მიიღეს, მაგრამ სისარული ნაადრევი აღმოჩდა. პირველივე თოვლა რკინიგზის მუშაობას წარტილი დაშვა. გარდა შთაგაფლივა, რომ მას მხოლოდ ზაფხულში უდი ცეცხლითი იყო.

შეიქმნა კომისია და, როგორც მეტყველე, მეც მომეცა უფლება მასში მონანილეობა მიმეღონ და შეფერხების მიზეზები დამედგინა.

შეფერხების ძირითადი მიზეზი კი ის აღმოჩნდა, რომ თრიალეთის ამ მშვენიერ მხარეში არ იყო გაკეთებული (გაშენებული) თოვლამდამცავი ტყის დაცვითი ნარგაობა. გარდა აღნიშნულისა, მშენებლობის დროს დაშვებული იყო ელექტროარული შეცდომები. კერძოდ: გორაკებისა და ბორცვების მოსწორება- გადათხრის მაგიერ რკინიგზის ვაკისი გაყვანილი იყო ამ წინალითი შუახაზის გაჭრით ისე, რომ ზოგან მისი გაჭრილი კედლის სიმაღლე 2-3 მეტრსა და მეტსაც შეადგენდა, რომელიც პირველმა მოსულმა თოვლამა და ნამჟერმა ამოავსონ და მატარებლისთვის გაუვალი აღმოჩნდა.

ყარსი-ახალქალაქის რეინიგზის სამუშაოების დაწყებისათვის ამ და ადრე გამოვლენილ ნაკლოვანებებზე მინდოდა მშენებლებისთვის მეთქვა ჩემი აზრი, გაეთვალისწინებინათ, რომ აღარ მომხდარიყო მსგავსი დარღვევები. რაც მთავარია, საჭიროდ მივიჩნიე აზრი გამეზიარებინა თოვლასაცავი ტყის ზოლების შექმნის თაობაზე, რადგან თრიალეთის კლიმატური პირობები მნიშვნელოვან მოთხოვნებს აყენებს მერქნიან სახეობათა შერჩევისას ზღვის დონიდან სიმაღლეების მიხედვით. თვითონ ახალქალაქი ზღვის დონიდან 1760 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს და ხანგრძლივი უსვთოვლიანობითა და მაკაცრი ზამთრით ხასიათდება. აქ აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა 38 გრადუსს შეადგენს.

თოვლასაცავი ტყის ზოლის გაშენებისას საჭიროა აღნიშნული კლიმატური პირობების გათვალისწინება და შესაბამისი დასარგავი მერქნიანი სახეობის მასალის შერჩევა ზღვის დონიდან სიმაღლის მიხედვით. ვფიქრობთ, რომ დაცვითი ზოლი უნდა იყოს არანაკლებ 3-4 მეტრივი და რაც მთავარია, ნინვოვანი სახეობების რაოდენობა უნდა შეადგენდეს არა ნაკლებ 60-70%-ს, ხოლო ფოთლოვანები - 40-30%-ს.

ნინვოვანი სახეობებიდან საჭიროდ მიმართა: კავკასიური ფიჭვის გაშენება 1000 მეტრის ზევით, რადგან დაბლა ავადდება ე.წ. „ევეტრიით“, შავი ფიჭვი 1500 მეტრ სიმაღლემდე, კიბარის პირიზონტაური 1300 მეტრამდე სიმაღლეზე. მხოლოდ ერთი სახეობაა კედარი, რომელიც 3000 მეტრამდე ნებისმიერ სიმაღლეზე შეიძლება გაშენდეს.

ფოთლოვანებიდან: მუხა მთის ანუ აღმოსავლეთის. ნეკერჩხალი მაღალი მთის, პანტა, არყი, მთრთოლავი ვერხვი და იასამანი. გასაშენებელ სახეობათა არასწორმა შერჩევამ შეიძლება გამოიწვიოს გამოუსწორებელი შედეგები. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია, რომ თოვლასაცავი ტყის ზოლები უნდა გაშენდეს მშენებლობის წინსწრებით ან უკიდურეს შემთხვევაში მშენებლობის პარალელურად, რადგან დაცვითი ტყის ზოლის დამცავი ფუნქციის შესრულებას არანაკლებ 5-6 წელი ესაჭიროება. მანამდე კი თოვლასში ადგილებში რეინიგზის დაცვა უნდა მოხდეს ე.წ. დამცავი ფარებით, რომელიც რთული და ძვირი სიამოვნება.

ყველაფერი ამასა და სხვა ნებისმიერ შეკითხვებზე პასუხის გაცემა მინდოდა მშენებლობის ხელმძღვანელი პირებისთვის, რაც ჩემი მრავალგზის მცდელობის მიუხედავად ვერ მოვახერხე, ის კი შევძელი გამეგო, რომ მშენებლობას

ანარმოებდა საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტრო, რომელმაც შესანიშნავი გზები გააკეთა, მაგრამ რატომლაც გამნვანების გარეშე.

ამ რომ წლის წინათ თოვლდაცვითი ტყის ზოლების გაშენების თაობაზე ტელეფონით დამიკავშირდა პიროვნება, რომელმაც თავი პროექტის ავტორად თუ თანაავტორად გამაცნო. იმის გამო, რომ მე ახლადნამერაციელი ვიყავი, არ შემეძლო მასთან შეცვედრა და ვთხოვე ჩემთან მობრძანება. შევთანხმდით, რომ მეორე დღეს მოვიდოდა ჩემთან, მაგრამ ტყუილად, დღემდე ჩემთვის არავის მოუკითხავ.

დღეს საქართველოში მერქნიან სახეობათა სარგავი მასალის გაზრდის საკითხი სანერგების არარსებობის გამო თითქმის შენყვეტილია და რამდენად გასაკვირია, რომ ახალქალაქიურის რეინიგზის მშენებლობაზე თანხების ეკინომიის გაკეთება სარგავი მასალის გაზრდაზე იქნა გათვალისწინებული, როცა ნერგების ლირებულების გადახდა გამოტანისას კი არა, გაშენების მეორე წელს მათი გაბარების პროცენტის მიხედვით წარმოებს. ამის გამოა, რომ ყარსი-ახალქალაქის რეინიგზის მშენებლობა უკვე მთავრდება და თოვლასაცავი ზოლები კი თითქმის არ არსებობს. შედეგს ზამთარი და თოვლი გვეტყვის.

ნათელად „მუნის ირჯერ მეტი ებარჯებოდა“. ღმერთო, შენ დაგვიფარე უარესისგან!

თუმცა, გამოცდილება და გული სხვას მეუბნება.

**თბილისის ჩარითავის მიზანი, საქართველოს დამსახურებული მეტყველე**




**MASCHIO**

**GASPARDO**

არჩევანი, რაც თქვენ გჰირდებათ





შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოზე“ ხელმოწერა გრძელდება!

ჩამოიცერეთ  
შურნალი

# ეპროექტი სკოლის გვერდი

გაიგეთ მათი სასოფლო-სამეურნეო კულტურაების მოვლა-მოყვანის, თანამედროვე  
ფერიებისა და ფერმელობიერის, ცხოველთა მოვლისა თუ აგრარული სფეროს სხვა  
საინიციატივო საკითხებზე

მთელი წლით შურნალის გამოვერა ღირს 24 ლარი, 6 თვეში – 12 ლარი.

შურნალი გამოვერა შეგიძლიათ პრესის გავრცელების საგანგოვანის

ოლგაშვილის ([www.elva.ge](http://www.elva.ge)) ვებგვერდით. ტელ.: (032) 2 38 26 73 / (032) 2 38 26 74; (032) 2 38 26 76.

ასევე „საქართველო+“-ის რაიონულ რედიტარში ტელ.: (032) 2 51 85 18.

ან შურნალ „ახალ აგრარულ საქართველოს“ რედაქციაში. ტელ.: 599 16 18 31

[agroasca@gmail.com](mailto:agroasca@gmail.com)

